პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დღიური

— ლანკაშირის მრეწველებმა ლოკაუტი გამოუცხადეს 300.000 მუშას.
— საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში.
— განდის ცდები ინგლისის იმპერიალიზმთან შესათანხმებლად.
— „როტე ფანე" საფრანგეთის ახალი მთავრობის შესახებ.
— დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი.

პარასკევი, 30 იანვარი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 25 (2980)

უდიდესი ყურადღება სახსრების მობილიზაციას

ფულადი სახსრების მობილიზაცია უმნიშვნელოვანესი კამპანიაა, რომელიც ბევრად განსაზღვრავს ჩვენი საფინანსო პოლიტიკის მტკიცედ გატარებას. საბჭოთა ხელისუფლებამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში დიდი გამარჯვება მოიპოვა, დამკვრელი კვარტალის საფინანსო გეგმა შესრულებულ იქნა უემისიოთ, ფულის ახალ ნიშნების გამოუშვებლად. ეს შესაძლებელი გახდა უმთავრესად იმის შემდეგ, რაც პარტიამ და ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს გადამჭრელი ზომები ბრუნვაში არსებული ფულის ნიშნების მაქსიმალური მობილიზაციისა და მათ მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

ცხადია, ჩვენ ამ მიღწევებით ვერ დავკმაყოფილდებით. ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა ფულადი სახსრების დასაგროვებლად. ეს მით უფრო უნდა ითქვას საქართველოზე, სადაც ამ სახსრების მობილიზაციის გეგმა არ არის შესრულებული: ის აქ გატარებულია 84 პროცენტით.

აქედან შესაფერი დასკვნა უნდა იქნას გამოტანილი. საჭიროა მუშაობის გაათკეცებული ენერგიით გაშლა, რომ არა თუ შევსებულ იქნას არსებული დანაკლისი, არამედ გეგმა გადაჭარბებითაც შევასრულოთ. პირველად ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ კამპანიის მნიშვნელობის ფართო პოპულარიზაციას. არ უნდა დარჩეს ქალაქისა და სოფლის არც ერთი მშრომელი, რომელსაც არ ეცოდინება ფულადი რესურსების მობილიზაციის უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის შემდეგი წარმატებით განვითარებისა და მშრომელი მასების ყოფა - ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებისათვის. ამასთან მშრომელთა დარაზმვა და თვითმოქმედება ამ საქმეში მოისუსტებს. საჭიროა წინასწარი მუშაობის ჩატარება, აუცილებელია ფართო სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის გაშლა ადგილებზე.

ამით უნდა ავხსნათ ის არანორმალური მდგომარეობა, რომ ავტონომიური რესპუბლიკები და მთელი რიგი რაიონები სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ფულადი რესურსების გეგმათა შესრულებაში. ასე, მაგალითად, იმ დროისათვის, რომელსაც ჩვენ ვუკეთებთ ჯამს, ძლიერ ჩამორჩებიან აჭარისტანი, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, შიათურის რაიონი, ხონის, ხარაგოულის, ჩხოროწყუსი, მცხეთის, ზემო-თიანეთის, ქვემო-სვანეთის, ბორჯომის და მარტვილის რაიონები.

აშკარაა, ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მთელ რიგ ადგილობრივმა ორგანოებმა საკმაოდ ვერ გაითვალისწინეს ფულადი რესურსების მობილიზაციის სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს კამპანია მათ მიაჩნიათ სახვათაშორისო საქმეთ. ამასთანავე ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანოებმა დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინეს ფულადი სახსრების შეგროვებისადმი. მეტად არადამაკმაყოფილებელია პროფესიონალური კავშირის და კომკავშირის მონაწილეობა ამ საქმეში. ამდენადვე შეუწყნარებელი გულგრილობა გამოიჩინეს ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში საკოლმეურნეო ცენტრმა, საბინაო კავშირმა და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ცენტრმა. მთავარი იმედი დამყარებული იყო და არის თვითმიმდინარეობაზე. არ ყოფილა ძიებული საჭირო კონკრეტული ზომები, არ გადადგმულა ენერგიული ნაბიჯები, რომ საერთო ღონისძიებების გარდა, რომელთაც ატარებს პარტია და ხელისუფლება, ადგილობრივად ეწარმოებიათ ენერგიული მუშაობა ფულადი სახსრების შეგროვების დასაჩქარებლად.

მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმი, რომელიც წინააღმდეგია ჩვენი მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისა და რომელიც ებრძვის დამკვრელობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, და, საერთოდ, შრომის ორგანიზაციის ყოველგვარ ფორმებს, მიმართულს პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა დაჩქარებით და წარმატებით გადაჭრისაკენ, ცხადია, ფულადი სახსრების მობილიზაციის წინააღმდეგიც არის. პარტიის დირექტივებისადმი უყურადღებობა, უინიციატივობა, „ობიექტიურ დაბრკოლებათა" საფარველის მოშველება და საკუთარი უმოქმედობის გამმართლებელი სხვა ამგვარი საშუალებანი ოპორტუნიზმის ნამდვილი გამოხატულებაა პრაქტიკაში. პარტია მას დაუნდობლად ებრძოდა წარსულში და ასევე შეებრძოლება მომავალშიც.

მათ წინააღმდეგ, ვინც თავიანთი უმოქმედობით და თვითმიმდინარეობაზე დანდობით ჩაშლის ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმას, მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები. სასამართლოს ორგანოებმა, პროკურატურამ და მილიციამ ამ მხრივ მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ.

უნდა აღინიშნოს საფინანსო ორგანოების სუსტი მუშაობა ფულადი რესურსების დაგროვების დარგში. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ რაც შეიძლება დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას საფინანსო ორგანოების მუშაობა, გაძლიერებულ იქნას ეს ორგანოები ახალი მუშაკებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, ადგილობრივ ორგაოებს გაათკეცებული ენერგიით მართებთ მუშაობა, რადგან წარსული კვარტალის გეგმა ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი დანაკლისით დავამთავრეთ. მთელი ძალღონე, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ფულადი თანხების მობილიზა[illegible]დეს წინ. არ უნდა დარჩეს არც ერთი საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არც ერთი მშრომელი, რომელიც უცხოველეს მონაწილეობას არ მიიღებს ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა და საბჭოებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ამ მხრივ, გამოიჩინონ მეტი თაოსნობა და ინიციატივა. ფულადი სახსრების მობილიზაცია უნდა გადაიქცეს ნამდვილ მასიურ კამპანიად, რომელიც დასახული მთავარი მიზნის — ფულადი რესურსების შეგროვების — გარდა ხელს შეუწყობს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ფართო პოპულარიზაციას. ეს კი შესაძლებელი იქნება, თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დაუზოგავ ბრძოლას გამოუცხადებენ ლიკვიდატორულ განწყობილებას ამ საქმეში და ნამდვილ ბოლშევიკურ თაოსნობას გაუწევენ საქმეს.

მთლიანად შევასრულოთ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების საწარმოო პროგრამა

სახკომსაბჭოსთან არსებულ შესრულების კომისიის დადგენილება

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დირექტივების შესრულების შესახებ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოების დარგში

მოსკოვი, 29 იანვარი. შესრულების კომისიამ მოისმინა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების ამხ. მ. **კაგანოვიჩის, შვიდტის** და **სტრელცოვის** ცნობა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1930 წლის 25 ოქტომბრის იმ დირექტივის შესრულების შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოება, კომისიამ მოიწონა ამ საკითხის გამო საბჭოთა კავშირის მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ 18 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება და დაადგინა:

1. დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოების საქმეში, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარებისათვის, მთელმა რიგმა ორგანოებმა უდიდესი ბიუროკრატიზმი გამოიჩინეს.

შესრულების კომისია განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დამზადების საქმეში არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა გამოიჩინა ამხ. **დოგადოვმა** (სახ. მეურნ. უმ. საბჭოს თავმჯდომარის ყოფ. მოადგილემ), რომელსაც სახკომსაბჭომ 1930 წლის 25 ოქტომბერს პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დამზადებისათვის, „ვატო"-ს გამგეობამ, კერძოდ „ვატო"-ს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრიევმა, რომელიც სახკომსაბჭოს აღნიშნულ დადგენილების თანახმად, პირადად პასუხისმგებელია ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების საწარმოებლად ნახაზების და ტექნ. პირობების თავის დროზე დამზადებისა და დამუშავებისათვის, აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ლითონის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარემ ბაზუევმა.

2. ამის გამო განსაკუთრებულ კვარტალში ჩაშლილი აღმოჩნდა სათადარიგო ნაწილების წარმოების პროგრამა, კერძოდ, ტრაქტორებისა „ინტერნაციონალის" და „ჯონ დირ"-ის სათადარიგო ნაწილების წარმოების პროგრამა. 1 იანვრისათვის „ინტერნაციონალ"-ის სათადარიგო ნაწილების წარმოების პროგრამა შესრულებულია 3,7 პროცენტით, „ჯონ დირ"-ის—0.4 პროცენტით.

აღმოჩნდა, რომ არ არის განხორციელებული მთავრობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი:

ა) ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოების რამოდენიმე ქარხანაში თავმოყრის ნაცვლად, შეკვეთა 90 ქარხანაშია დანაწილებული;

ბ) სახკომსაბჭოს სპეციალური მითითების მიუხედავად, ტრესტ „ვატო"-სათვის არც ერთი ქარხანა არ გადაუციათ;

გ) დაუშვებელ უთანხმოებას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებს შორის შედეგად მოჰყვა ის, რომ შეკვეთების ნაწილი ქარხნებს შორის დღემდეც არ არის განაწილებული;

დ) „ვატო"-ს გამგეობამ არ უზრუნველჰყო ტრაქტორების სათანადო ნაწილებისათვის ნახაზების და ტექნიკური პირობების თავის დროზე დამზადება და დამუშავება, განსაკუთრებით ტრაქტორების „ინტერნაციონალ"-ის და „ჯონ დირ"-ის მწვავედ დეფიციტიური დეტალების დარგში.

3. დაევალოთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეასრულონ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1930 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება, უზრუნველჰყონ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების პროგრამის შესრულება, კერძოდ, უზრუნველჰყონ სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი ქარხნები საჭირო ნახაზებით და ნიმუშებით, აგრეთვე მიაღწიონ სათადარიგო ნაწილების ხარისხის სერიოზულ გაუმჯობესებას და მათი წარმოების თვითღირებულების შემცირებას.

4. მიენდოს საბჭოთა კავშირის მუშგლეხინის სახალხო კომისარიატს—დააწესოს ყოველდღიური კონტროლი ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოების შესახებ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების ფაქტიურ შესრულებაზე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ტრაქტორებს „ინტერნაციონალ"-ს და „ჯონ დირ"-ს.

შესრულების კომისიის თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
შესრულების კომისიის მდივანი
ი. მეჟლაუკი.

1931 წლის 28 იანვარი.
მოსკოვი—კრემლი.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა

კაპიტალისტურ ქვეყნებთან

საბჭოთა შესყიდვები საზღვარგარეთ წლითი წლობით იზრდება

ლონდონი, 28 იანვარი. ინგლის-რუსეთის სავაჭრო პალატა აქვეყნებს ცნობებს საბჭოთა კავშირის შესყიდვათა შესახებ საზღვარ-გარეთ. პალატის ცნობით, საბჭოთა შესყიდვები ინგლისში 1929-30 წელს, 1928-29 წელთან შედარებით, **გაიზარდა 55,3** პროცენტით და უდრის 15.395.000 გირ. სტერლინგს. შესყიდვები **გერმანიაში გაიზარდა 17,4 პროც.** და უდრის 22.930.000 გირ. სტერლინგს. (ადს).

ინგლისის მრეწველებმა ლოკაუტი გამოუცხადეს 300 ათას მუშას

მუშების ულტიმატუმი რეფორმისტულ პროფკავშირს

ამსტერდამის ინტერნაციონალის პროფბიუროკრატები „ეძებენ საშუალებებს" უმუშევრობის შესამცირებლად

ლეიბორისტები ცდილობენ ჩამოაგდონ ზავი კაპიტალსა და შრომას შორის

ლონდონი, 28 იანვარი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თემთა პალატაში განიხილდა კამათი იმ კანონის შეცვლის ირგვლივ, რომელიც შეეხება პროფკავშირებს და კონფლიქტებს მრეწველობაში. კამათის დროს ბოლდუინმა შეიტანა წინადადება—უარყოფილ იქნას ახალი კანონპროექტი. მოელიან, რომ მთავრობისათვის უზრუნველყოფილი იქნება უმნიშვნელო უმრავლესობა. ლიბერალების უმრავლესობამ გადაწყვიტა თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან (ადს).

ლანკაშირელები მედგრად იცავენ თავიანთ პოზიციებს

ლონდონი, 28 იანვარი. ბამბის მრეწველობის ლანკაშირის მრეწველთა კავშირმა გამოაცხადა ლოკაუტი და განაცხადა, რომ ლოკაუტი იმ დრომდე დარჩება ძალაში, ვიდრე მუშები უფლებას არ მისცემენ ფეიქართა ასოციაციის აღმასკომს—დაიწყოს მოლაპარაკება მრეწველებთან. **ლოკაუტი უკვე ვრცელდება 300.000 მუშაზე.**

მაკდონალდმა სათათბიროდ მიიწვია პროფბიუროკრატები და მრეწველები. ამგვარად, დაიწყება მოლაპარაკება, რაც აკრძალულ იქნა მუშების უკანასკნელი კენჭის ყრით.

საგაფიცვო კომიტეტები, უმცირესობის მოძრაობის ხელმძღვანელობით, განაგრძობენ კამპანიას საერთო გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ ლანკაშირში. მუშების მასიურმა მიტინგმა ქალაქ ნელსონში გაგზავნა დელეგაცია, რომელმაც პროფკავშირს წარუდგინა შემდეგი მოთხოვნები: გატარებულ იქნას სრული გაფიცვა, შეუწყდეს ელექტრონის მიწოდება იმ საწარმოებს, რომლებიც შტრეიკბრეხერთა შრომით სარგებლობენ, და მიეცეს ინსტრუქცია ტრანსპორტის მუშებს, რომ მათ უარი სთქვან საფეიქრო საწარმოოთათვის სამსახურის გაწევაზე. დელეგაციამ განაცხადა, რომ თუ რეფორმისტები უარს იტყვიან მოთხოვნების შესრულებაზე, მაშინ საგაფიცვო კომიტეტი თვით გაატარებს ცხოვრებაში ამ მოთხოვნებს.

ბარნოლდში 1000-ზე მეტი მუშისაგან შემდგარი პიკეტი უდარაჯებდა შტრეიკბრეხერებს, რომელნიც პოლიციას სპეციალური ტრამვაით უნდა გამოეყვანა. ხელისუფლებამ განკარგულება გასცა ტრამვაის მოძრაობის სრულიად შეწყვეტის შესახებ (ადს).

ამსტერდამის პროფბიუროკრატების „რეცეპტი" უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად

ბერლინი, 28 იანვარი. პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალისა და მე-2 ინტერნაციონალის კომისია გამოვიდა განცხადებით მსოფლიო ეკონომიური კრიზისისა და მსოფლიო უმუშევრობის საკითხის შესახებ. განცხადებაში ჩამოთვლილია რეცეპტები უმუშევრობისა და ომის წინააღმდეგ. რეცეპტები კმაყოფილდებიან იმ მოთხოვნებით, რომლებიც კაპიტალისტურ მთავრობებს უნდა წარედგინოთ. ამ მოთხოვნების მთავარი პუნქტია—შემოღებულ იქნას ხუთდღიანი კვირა და დაწესდეს ორმოცსაათიანი სამუშაო დრო. მაგრამ ამავე დროს მიჩქმალულია საკითხი შრომის ხელფასის წინანდელი განაკვეთის შენარჩუნების შესახებ ხუთდღიანი კვირის დროს. მაშასადამე, ლაპარაკია შემოკლებული კვირის შემოღებაზე შრომის წინანდელი ხელფასის დაუტოვებლად.

„კომისიის მთელი განცხადება,—აღნიშნავს „როტე ფანე",—ნაკარნახევია მხოლოდ შიშით უმუშევრობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის—25 თებერვლის წინაშე, როცა მთელი ქვეყნის პროლეტარები ქუჩაში გამოვლენ და მოითხოვენ სამუშაოს და პურს და გამართავენ დემონსტრაციებს შიმშილისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ" (ადს).

განდი ოცნებობს ინგლისის იმპერიალიზმთან შეთანხმებაზე

ბრძოლა არა დამოუკიდებლობისათვის, არამედ მარილზე მონოპოლიის გასაუქმებლად

ლონდონი, 28 იანვარი. [illegible]ფმა განდიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ სამოქალაქო ურჩობის კამპანია ინდოეთში გაგრძელდება იმ დრომდე, სანამ არ იქნება განთავისუფლებული ყველა პოლიტიკური პატიმარი და არ იქნება გაუქმებული ყველა საგანგებო ბრძანებები.

განდიმ განაცხადა, რომ სანამ მეფის მოადგილე არ მოახდენს იმ პოლიტიკის ლიკვიდაციას, რომელსაც მთავრობა ადგია კონგრესის მიმართ, მანამ შეუძლებელია სამოქალაქო ურჩობის კამპანიის შეწყვეტა, ვინაიდან სამოქალაქო ურჩობის კამპანიას მიეცა პროტესტის ხასიათი „მთლად იმ ხელოვნური პირობების წინააღმდეგ, რომლებიც შექმნილ იქნა მეფის მოადგილის ბრძანებებით". „იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცნობილი იქნება, რომ მაკ[illegible] განცხადება [illegible] პრინციპისათვის,—სთქვა განდიმ,—ნაციონალური კონგრესი არც შეკავშირების უფლებაზე და არც დამშეულ მილიონების უფლებაზე—მოიპოვონ მარილი. თუ ეს ელემენტარული უფლებები აღიარებული იქნება, მაშინ საგანგებო ბრძანებათა უმრავლესობა გაუქმებულ უნდა იქნას. რაც უნდა დიდი იყოს ინგლისსა და ინდოეთს შორის შეთანხმების მიღწევის სურვილი, საზოგადოებრივი აზრი ვერ შეურიგდება იმ ბოროტებას, რასაც წარმოადგენს უცხოელთა ტანისამოსი და მარილის მოპოვების აკრძალვა".

„მე არ მივიღებ მონაწილეობას—დაასრულა განდიმ,—ზავის დადებაში თუ არ იქნება დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი ის საკითხები, რომლებსაც აქ შევეხე" (ადს).

არც ერთი მუშა ახალ სესხზე ხელის მოწერის გარეშე

სესხის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში"-ს საკონტროლო ციფრების შესრულების თვითშემოწმება

მოსკოვი, 29 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულმა სახკრედიტის ხელშემწყობმა ცენტრალურმა კომისიამ წინადადება მისცა ადგილობრივ ხელშემწყობ კომისიებს—ჩაატარონ სესხის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში"-ს საკონტროლო ციფრების შესრულების ფართო თვითშემოწმება. საჭიროა ფაბკარკომების და საკოლმეურნეო აქტივის დახმარებით გამოირკვეს; წარმოადგენენ თუ არა ყველა მომუშავენი ხელისმომწერლებს, როგორ სრულდება დავალება ხელმოწერის საშუალო ჯამის მხრივ, თავის დროზე შეაქვთ თუ არა შესატანი საკრედიტო დაწესებულებებში. საკავშირო პროფსაბჭოს დაევალა ამ მუშაობაში ჩააბას პროფორგანიზაციები და უზრუნველყოს სესხზე ხელის მოწერა ყველა მუშა-მოსამსახურის მხრივ (ადს).

პროფორგანიზაციების მუშაობა უნდა გარდაიქმნას

საკ. პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე

მოსკოვი, 29 იანვარი. მეტალისტები პირველნი შეუდგნენ თავიანთი პროფორგანიზაციის პრაქტიკულ გარდაქმნას საკავშირო პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. 27 იანვარს გაიხსნა მეტალისტების ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დაამტკიცა სქემა კავშირის გაყოფისა შვიდ პროფორგანიზაციად:

1) შავი მეტალურგიის მუშათა კავშირი ცენტრალური კომიტეტის და უკრაინის რესპუბლიკანური და ურალის საოლქო კომიტეტების მეთაურობით.

2) ელექტრო - ტექნიკური მრეწველობის და ელექტრო-სადგურების მუშათა კავშირი, რომლისთვისაც უნდა შეიქმნას სამი საშუალო საფეხური—უკრაინის რესპუბლიკანური კომიტეტი, მოსკოვის და ლენინგრადის საოლქო კომიტეტები. დანარჩენ საწარმოებს უშუალოდ სამსახურს გაუწევს ცენტრალური კომიტეტი.

3) სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირი—ერთი საშუალო საფეხურით უკრაინის კომიტეტის სახით.

4) საერთო მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირი 19 საშუალო საფეხურით—სრულიად უკრაინის კომიტეტი. მოსკოვის, ლენინგრადის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ურალის, ჩრდილოეთ-კავკასიის, ამიერ-კავკასიის, დასავლეთის, ივანოვოკის, შუა-ვოლგის, ქვემო-ვოლგის, ბელორუსიის, ცენტრალური შავმიწიანი ოლქის, დასავლეთ ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთის, შუა-აზიის, ყირიმის, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთ-ციმბირის საოლქო კომიტეტები.

5) სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირი.

6) საავტომობილო - სატრაქტორო მრეწველობის მუშათა კავშირი. ორივე კავშირს უშუალოდ ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტი.

7) ფერად ლითონების ამოღების და გადამუშავების მრეწველობის მუშათა კავშირი, რომლის სტრუქტურაც გამოირკვევა ახლო მომავალში.

პლენუმმა საჭიროდ სცნო კავშირის რეორგანიზაცია დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს აპრილისა, ხოლო იმ ოლქებში, სადაც თესვა უფრო ადრე იწყება,—არა უგვიანეს მარტის პირველი რიცხვისა. საკავშირო პროფსაბჭოს წინაშე დაისმება საკითხი საორგანიზაციო ბიუროს დაუყოვნებლივ შექმნის შესახებ ახლად დაარსებულ კავშირებისათვის (ადს).

დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 29 იანვარი. 26 იანვარს პლენუმმა მოისმინა მოხსენება პროფკავშირების 1931 წლის ბიუჯეტის შესახებ. 27 იანვარს მოსმენილ იქნა „ცენტროსოიუზ"-ის თავმჯდომარის ამხ. **ბადაევის** მოხსენება და ამხ. **ვლადიმიროვის** (საკავშირო პროფსაბჭო) თანამოხსენება ქალაქის მახლობელ მეურნეობათა გაშლის შესახებ 1931 წელს. რადგან საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. **პოლონსკი** გადაყვანილ იქნა სხვა სამუშაოზე, პლენუმმა საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში აირჩია სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის თავმჯდომარე ამხ. **ანცელოვიჩი**. პლენუმმა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებად დაამტკიცა მეტალისტთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ბულატი**, მოსკოვის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნოსოვი**, ქიმიკოსთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ჟურავიჩი** და მშენებელთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **რიაბოვი**. პლენუმმა ამხ. **უგლანოვი** განთავისუფლა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის დახურვის წინ ამხ. **შვერნიკმა** აღნიშნა, რომ მხოლოდ თავისი მუშაობის სწრაფად გარდაქმნით შესძლებენ პროფკავშირები ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანების გადაჭრას (ადს).

საკავშირო კომკავშირის პირველი პლენუმი

მოსკოვი, 29 იანვ. საკავშირო კომკავშირის მე-9 მოწვევის ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **კოსარევი**. კომკავშირის მე-9 მოწვევის ცენტრალური სარევიზიო კომისიის პირველმა პლენუმმა კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. **კოზლოვი** (ადს).

ინგლისის კომპარტიის გავლენა იზრდება

ლონდონი, 28 იანვარი. ინგლისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს სამხრეთ-უელსის სამთამადნო მუშების უკანასკნელი გაფიცვის შეფასებას. პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ გაფიცვის დროს კომპარტიის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად საგრძნობლად გაძლიერდა კომპარტიის და უმცირესობის მოძრაობის გავლენა და ხელმძღვანელი როლი და შეიქმნა ბაზა ბრძოლის შემდგომი მომზადებისათვის, იმ ბრძოლის, რომელიც დაიწყება 4 მარტს, როცა ძალაში უნდა შევიდეს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება.

რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ თუმცა ბრძოლის დროს პოლიტბიურო მოითხოვდა გაფიცვის მიმართ დამოუკიდებელი მუშური ხელმძღვანელობის განხორციელებას, მან მაინც თავდაპირველად სათანადოდ ვერ შეაფასა ვერც ეკონომიური კრიზისის სიღრმე, ვერც სამთამადნო მუშების ბრძოლის უნარი. ამბების მსვლელობამ დაგვანახა, რომ საკმაო ყურადღება არ ექცეოდა პროფინტერნის მე-5 კონგრესის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციას და განხორციელებას. გაფიცვის დროს კომპარტიის დამოუკიდებელი როლი მეტ წილად გამოუაშკარავებელი დარჩა. ამ გადამწყვეტ მომენტში დაიწყო შინაპარტიული დისკუსია. მის დამახასიათებელ მხარეებს წარმოადგენდა თავდასხმა პარტიის გენერალურ ხაზზე და პარტიულ ხელმძღვანელობაზე და ცდები ყოველგვარი ინციდენტის გამოყენებისა იმ მიზნით, რომ დაეფარათ ბრძოლის განგრძობისაკენ მიმართული სამთამადნო მუშების მოწოდების ნამდვილი მისწრაფებების [illegible] უქონლობა.

დასასრულ რეზოლიუცია სახავს სამხრეთ უელსის პარტორგანიზაციების მუშაობის დაუყოვნებლივ გარდაქმნის გეგმას (ადს).

აფერისტები

საფრანგეთის მენშევიკურ პარტიაში

პარიზი, 28 იანვარი. დეპუტატთა პალატის სოციალისტურმა ფრაქციამ გამოიძია სოციალისტი დეპუტატების მუტეს და ურონ მოქმედების სკანდალური ფაქტები. მათ ბრალდებათ მონაწილეობის მიღება ფინანსიურ კომბინაციაში, რომლის დროსაც აფიორას ეწეოდნენ „ბაქოს ნავთის კომპანიის" არარსებული აქციებით. ფრაქციამ უდანაშაულოდ სცნო სოციალისტი დეპუტატები.

„ლიუმანიტე" აქვეყნებს იმის უტყუარ საბუთებს, რომ მუტე არა თუ მონაწილეობდა ფინანსიურ აფიორებში, არამედ მას მჭიდრო კავშირი აქვს აქტიურ თეთრგვარდიელებთან. გაზეთს მთლიანად მოჰყავს მუტეს მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელიც გაგზავნილი იყო ცნობილი თეთრგვარდიელის პუტილოვის სახელზე. ამ წერილში სრულიად გარკვევით არის ლაპარაკი „ბაქოს ნავთის კომპანიის" არარსებული აქციების გამოყენებაზე (ადს).

ამხ. მამია ორახელაშვილი—ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობისაგან ამხ. შალვა ზურაბის-ძე ელიავას განთავისუფლების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: განთავისუფლებულ იქნას ამხ. **შალვა ზურაბის-ძე ელიავა**, თანახმად მისი თხოვნისა, ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი.
ქ. თბილისი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ივანე (მამია) დიმიტრის-ძე ორახელაშვილის დანიშვნის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დაინიშნოს ამხ. **ივანე (მამია) დიმიტრის-ძე ორახელაშვილი.** ა.-კ. ს. ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი.
ქ. თბილისი.



ამხ. მამია ორახელაშვილი

ამხ. მამია ორახელაშვილი

ამხ. მამია ორახელაშვილი დაიბადა 1883 წელს ყოფ. შორაპნის მაზრის სოფ. საქარაში, ღარიბ გლეხის ოჯახში.

განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც გადავიდა პეტერბურგის სამხედრო-საექიმო აკადემიაში.

გიმნაზია რომ გაათავა, უკვე სოც.-დემოკრატი იყო, ხარკოვში ასრულებდა ტექნიკურ ფუნქციას სოც.-დემოკრატიულ ჯგუფთან, ჰყავდა სტუდენტთა წრე, რომლებთანაც მეცადინეობდა ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე.

პარტიის განხეთქილებამ ამხ. ორახელაშვილს პეტერბურგში მოუსწრო. ის დაუყოვნებლივ მიემხრო ბოლშევიკურ ფრთას.

1903 წლის ზაფხულზე მისცეს პასუხისგებაში სამხედრო სასამართლოს წინაშე იაროსლავთან ბანაკად მდგარ სამხედრო ნაწილში მომხდარ არეულობისათვის. 1906 წელს, უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, დაპატიმრებულ იქნა, 8 თვე გაატარა წინასწარ პატიმრობაში და ეტაპით გამოიგზავნა თბილისში, სადაც გასამართლებულ იქნა სოც.-დემოკ. ბოლშევიკების კავკასიის კავშირის აველაბრის სტამბის საქმის გამო.

სამხედრო-საექიმო აკადემია ამხ. ორახელაშვილმა დაამთავრა 1908 წელს და, როგორც სტიპენდიანტი, სამხედრო ექიმად გაგზავნილ იქნა იმიერ-კასპიის ოლქსა და სპასეთში. ამ პერიოდში ის თანამშრომლობდა ადგილობრივ და სატახტო ქალაქების პროგრესიულ პრესაში (კორესპონდენციები ბოლშევიკურ გამოცემებში).

1913 წლიდან ამხ. მამია ორახელაშვილმა განაახლა პარტიული მუშაობა ქუთაისში.

თებერვლის რევოლიუციამ მას მოუსწრო იმპერიალისტური ომის ფრონტებზე, სადაც მან სამი წელიწადი დაჰყო. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მუშაობდა კავკავში, მონაწილეობას იღებდა გაერთიანებული სოც.-დემოკ. ორგანიზაციის გათიშვაში და ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნაში. იყო პარტკომიტეტის თავმჯდომარედ, მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ—მუშათა და ჯარისკაცთა გაერთიანებულ საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს განადგურების შემდეგ კონტრ-რევოლიუციონერებმა დააპატიმრეს, მაგრამ მალე განთავისუფლებულ იქნა სხვა ამხანაგებთან ერთად. ამხ. ორახელაშვილს გაცოფებულმა ოფიცრობამ სიკვდილი მიუსაჯა და იგი იძულებული გახდა კავკავიდან დროებით მიმალულიყო. იქიდან ის გადმოვიდა თბილისში და მუშაობდა ბოლშევიკების პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტში. 1918 წლის მაისს, საოლქო კომიტეტის დადგენილებით, ამხ. ორახელაშვილი დაბრუნდა კავკავში, მაგრამ ყაზბეგში მენშევიკებმა დააპატიმრეს და დააბრუნეს უკან, თბილისში. განაგრძობდა მუშაობას პარტიის ქუთაისის ბიუროში, დაპატიმრებულ იქნა და მცირედი გამოკლებით 14 თვეს დაჰყო ქუთაისის მენშევიკურ საპყრობილეში, საიდანაც სხვა ამხანაგებთან ერთად ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ ამხ. მამია არჩეულ იქნა რ. კ. პ. ცენტ. კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრად და უნდა წასულიყო ჩრდილოეთ-კავკასიაში, მაგრამ, საქ. კომპარტიის ც. კ-ის შუამდგომლობით, საქართველოში იქნა დატოვებული ც. კ-ის თავმჯდომარედ და პარტიული გაზეთის რედაქტორად.

მენშევიკების მხრივ დევნის გამო ამხ. ორახელაშვილი იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო და ამ სახით განაგრძობდა მუშაობას ც. კ-ის ხაზით და უძღვებოდა პარტიულ გაზეთს, გამომცემლობას და სხვ.

1920 წლის იანვრის დამლევს ის ბაქოში გადავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა საბჭოთა თბილისში, სადაც მუდმივად პარტიულ და საბჭოთა მუშაობაზე იმყოფებოდა.

დასაწყისში ამხ. ორახელაშვილს ეჭირა რევკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, შემდეგ—საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შექმნის მომენტიდან (1922 წ.) 1927 წლის ივნისამდე იყო ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ და ამავე დროს მუშაობდა პარ[illegible] ხაზით როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი (1921 წ. აგვისტოდან 1922 წ. დეკემბრამდე) და საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი (1922 წ.).

1926 წლის დეკემბრიდან ამხ. მამია ორახელაშვილი კვლავ აირჩიეს საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნად და პირველ ხანებში ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობასაც ასრულებდა.

გარდა ამისა, გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს დაარსებიდან 1924 წლამდე და 1925 წლის აპრილიდან 1928 წლის იანვრამდე ამხ. ორახელაშვილი იყო საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ორგანოს პასუხისმგებელ რედაქტორად.

საქ. კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობაზე ამხ. ორახელაშვილი არჩეულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრობის კანდიდატად, ხოლო მე-15 ყრილობაზე კ. კ-ის წევრად.

საბჭოთა კავშირის საბჭოების მე-3 ყრილობის დროიდან ის იყო ცაკის პრეზიდიუმის წევრად.

1930 წლის [illegible] „ზარია ვოსტოკა"-ს პასუხისმგებელი რედაქტორია.

თესლის დროზე შეგროვება გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა

კოლმეურნეობებს გაზაფხულის სათესლე ფონდი შეგროვილი აქვთ მხოლოდ 75 პროცენტით.—15 პროცენტიანი დამზღვევი სათესლე ფონდის შეგროვება საგრძნობლად შენელდა.—ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებს დღემდე არ შეუდგენიათ გაზაფხულის თესვის გეგმა

მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის თესვის ჩასატარებლად დროზე მოვამზადოთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები

როგორ ვართ მომარაგებული თესლით

საქართველოს მიწსახკომის გეგმით 1931 წლის გაზაფხულზე ითესება 100.000 ჰექტ. სოია—თესლით კი ეს ფართობი მომარაგებულია დღემდე მხოლოდ 65 პროცენტით. აღნიშნული არეს დასათესავათ საჭიროა —50.000 ცენტნერი თესლი. ადგილებზე რაიკავშირის საწყობებში დაგროვილია 35.000 ცენტნერამდე, დანარჩენი კიდევ უნდა შეგროვდეს.

საჭიროა ადგილებზე მიწადმოქმედების ორგანოების მეტი ყურადღება სოიას თესლის შეგროვებისათვის.

საჭიროა აგრეთვე ადგილების ინიციატივა, რომ **სოიას თესლის ფონდი შექმნან კოლექტივებმა.** ადგილებზე ამის შესაძლებლობა არის. სარაიონო კოლმეურნეობების კავშირმა ინიციატივა უნდა გამოიჩინოს და დაჩქარებით შეაგროვოს კოლექტივებში საჭირო სოიას თესლი.

არახისი (მიწის თხილი—ჩინეთის კაკალი) უნდა დაითესოს 900 ჰექტ. საჭიროა 600 ცენტნერი თესლი. ადგილებზე შეგროვილია კოოპერაციის მიერ 700 ცენტნერამდე თესლი, მაგრამ როგორც ადგილებიდან მიღებული მასალები მოწმობენ ეს თესლი არ არის საკმაოთ კარგი და მოითხოვს გადარჩევას. თესლი მეტწილად [illegible]. საჭიროა გაძლიერებული ყურადღება იმისათვის, რომ თესლი დაუყოვნებლივ იქნას გადარჩეული. რაც დანაკლისი იქნება ადგილობრივ უნდა იქნეს გამოძებნილი და შეგროვილი.

ზოგიერთ კოლექტივებში (ხონში, სამტრედიაში, ლაგოდეხში, ქუთაისში და სხ.) აქვთ თავისი თესლი. საჭიროა იგი შენახულ იქნას წესიერად და გამოიყენონ სათესლეთ. არ ვარგა, როდესაც კოლექტივი თესლის ცენტრიდან მიღების მოლოდინშია და აგვიანებს თესვას.

კენაფი 14000 ჰექტარი უნდა დაითესოს, თესლით კი არ არის ეს არე უზრუნველყოფილი.

საჭიროა კოოპერაციამ ამ თავითვე იზრუნოს კენაფის თესლის შემოსატანად.

ლობიო 25.000 ჰექტ-ზე ითესება, თესლი არა აქვს მოსახლეობას საკმაოთ, წარსული წლები ლობიოს დარგში მოუსავლიანი იყო. საჭიროა შემოიზიდოს 45.000 ცენტნერი ლობიოს თესლი, წინააღმდეგ შემთხვევაში ლობიოს თესვის გეგმა ჩაიშლება.

მართალია, უკანასკნელად მიღებული დასტურით „სოიუზხლებ"-იდან საქართველოს მიეცემა მოთხოვნილი 4.500 ცენტნერი ლობიო, მაგრამ ეს სათესლეთ არ ვარგა ჩვენი ჰავა, ჰაერის და ნიადაგის პირობებში. საჭიროა ადგილებზე მისი გადაცვლა ადგილობრივ ჯიშის სათესლე ლობიოზე. ამისათვის [illegible] ეს სათესლე უნდა მიეცეს, ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ რომ ადგილობრივი სათესლე ლობიო გადაარჩინონ შჭამისაგან და მთლიანად სათესლეთ გამოიყენონ.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაშია კართოფილის თესლის საქმე. საჭიროა 20.000 ჰექტარის დასათესად 2 მილიონ ფუთამდე სათესლე კართოფილი. ადგილობრივ მოსახლეობას აქვს საკუთარი თესლი 1.300.000 ფუთამდე, დანარჩენი 700 ათ. ფუთამდე უნდა შემოიზიდულიყო, მაგრამ როგორც ირკვევა ეს კართოფილი არ შემოიზიდება; თუ ამ თავითვე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები, თესვის გეგმაც ჩაიშლება.

ბოსტნეულის თესლით ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით ნაწილობრივ ადგილებზე დამზადებით. ნაწილობრივ თესლი მიღებული იქნება საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან. როგორც ამიერ-კავკ. მიწსახკომის ცნობიდან სჩანს, 1.000 ჰექტარისათვის საჭირო ბოსტნეულის თესლი ჩვენთვის გამოგზავნილია რუსეთიდან.

კარგი მდგომარეობა გვაქვს საკვები ბალახების და სილოსის ნათესებისთვის საჭირო თესლზე.

შედარებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს ხორბლეულის და სიმინდის სათესლე მასალით უზრუნველყოფის საქმეში.

დღეისათვის შეგროვილია საკოლმეურნეო 100 პროცენტიანი დასათესავი ფონდის მხოლოდ 75 პროც. მაშინ, როდესაც ეს ფონდი 15 იანვრისათვის მთელი 100 პროც. უნდა შეკრეფილიყო.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ადგილობრივ ხელუხლებელი სასოფლო დამზღვევი 15 პროცენტიანი ფონდის შეკრეფის დარგში. ეს ფონდი შეგროვილია მხოლოდ 37 პროცენტით მაშინ, როდესაც იგი 1 თებერვლისათვის მთელი 100 პროც. უნდა შეგროვილიყო.

ადგილები საკმაოდ არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ **წელს ხორბლეულის სათესლე მასალა სესხად და აგრეთვე ნაღდ ანგარიშზე არავის არ ეძლევა.** მთელი ყურადღება უნდა იქნას მიქცეული ადგილობრივი ფონდების შეკრეფაზე და მათი დასათესავად გამოყენებაზე.

თუ ამთავითვე არ იქნება გაძლიერებული მუშაობა ადგილობრივათ სათესლე ფონდების შეკრების საქმეში—თესვის კამპანიის სასურველად ჩატარება შეუძლებელი გახდება.

ადგილები უპირველესად ყოვლისა უნდა იმზადონ ზემოთ ჩამოთვლილი თესლეულის მასალებად და მის წესიერად განაწილებ[illegible]

ს. ე—ძე.

ეხმარებიან თესვის კამპანიას

(ქუთაისი)

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით, ქუთაისის სარაიონო პროფსაბჭომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები. 16 იანვრიდან სოფლად გაიგზავნება იარაღ-მანქანების ხუთი სარემონტო ბრიგადა.

მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში (კენდირ-რამის მეურნეობა, მაღლაკის ფერმა, ანარია და სხვ.) ფართოდ იშლება სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა; გამოყენებული იქნება მთელი რიგი ნაცადი ფორმები. ს. პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება ერთი ტრაქტორის შეძენის შესახებ. ტრაქტორი გადაეცემა სოც. შეჯიბრებაში გამარჯვებულ საბჭოთა მეურნეობას, ან კოლექტივს. სოფლად ამ კამპანიის ჩატარების დროს გაიგზავნებიან პასუხისმგებელი ამხანაგები.

კა—ლი.

კომკავშირი გაზაფხულის თესვის ფრონტზე

(წერილი თელავიდან)

მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარების და კოლმეურნეობათა მშენებლობაში ძირითადი გარდატეხის უზრუნველსაყოფად თელავის პარტიული და საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა დროზე დაიწყეს სამზადისი. სარაიონო მიწადმოქმედების განყ. შეიმუშავა გეგმა, რომელიც მოწონებულ იქნა პარტ-რაიკომის ბიუროს მიერ და დაეგზავნა სარაიონო ორგანიზაციებს.

გეგმა ითვალისწინებს ნათესების სივრცის გაზრდას 28,8 პროცენტით და მოსავლიანობის აწევას 10 პროცენტით. სულ კი რაიონში დაითესება 12270 ჰექტარი, კერძოდ კომკავშირის რაიკომის ღონისძიებები გაზაფხულის თესვის კამპანიის შემდეგი:

ორგანიზაციული ღონისძიებანი

მობილიზაცია გაუკეთდება საქალაქო აქტივიდან 50 კომკავშირის წევრს და გაიგზავნება სოფლად ადგილობრივ ორგანიზაციებზე თესვის კამპანიის პერიოდში ხელმძღვანელობის გასაწევად. გაიგზავნება ექვსი კულტ-ბრიგადა და ორი ხელოსანთა ბრიგადა ხანგრძლივი დროით მანქანა-იარაღების შესაკეთებლად.

თვითეული ქალაქის უჯრედები აიღებენ შეფობას სოფლის უჯრედებზე, ორგანიზაციულ და პრაქტიკულ დახმარების გასაწევად. ფართოდ გაიშლება სააგიტაციო მუშაობა, კედლის გაზეთების გამოშვება, ლოზუნგებისა, საღამო-გასართობების მოწყობა და სხვ.

კონტრაქტაცია

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით რაიონის გეგმა ითვალისწინებს ტექნიკურ კულტურების მთლიანად დაკონტრაქტებას, მხოლოდ მარცვლეულ კულტურებზე კონტრაქტაციაა 20 პროცენტით.

ამისათვის თვითეულ კომკავშირელს ევალება პირველ რიგში დასდოს კონტრაქტაცია და ფართოდ გაშალოს სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში კონტრაქტაციის მნიშვნელობის გასარკვევად.

აქეთივე პრაქტიკული ღონისძიებებია მოკრებული მესაქონლეობის, მეფრინველეობის და მებოსტნეობის დარგში.

ზემოაღნიშნულ მუშაობის ნაყოფიერად ჩატარების მიზნით, ეწყობა ხუთდღიანი სარაიონო აგრო-რწმუნებულთა კურსები, რომელშიაც 50 პროცენტი კომკავშირელია.

კოლმეურნეობათა მშენებლობა

რაიონში დღემდე 24 კოლმეურნეობაა, მათში გაერთიანებულია 350 კომკავშირელი, რაიკომი თესვის კამპანიასთან და კოლმეურნეობების სანიმუშო საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით თავს აცხადებს დამკვრელად, რისთვისაც ლოზუნგია: „დამოუკიდებელი მეურნე კომკავშირელის გაერთიანება კოლმეურნეობაში სავალდებულოა".

ამ პერიოდში უნდა გაიზარდოს კომკავშირელთა რიცხვი კოლმეურნეობაში 35 პროცენტამდე. კომკავშირის უჯრედების ინიციატივით, ფშაველში, ხოლდაშენში, კონდოლში, დაარსდება ახალი კოლმეურნეობა. კამპანიის პერიოდში ჩატარდება კოლმეურნეობებზე კულტ. დახმარების „ორკვირეული".

აგრო.-კულტურული ღონისძიებები

რაიონში გეგმით იწმინდება პური და ქერი 16.800 ფუთი, აქედან კომკავშირის ინიციატივით 8000 ფუთი, შეწამლული იქნება სარაიონო გეგმით პური და ქერი — 20271 ფუთი, აქედან კომკავშირის ინიციატივით 9.000 ფუთი.

გაზაფხულზე მოსალოდნელია კალიის გაჩენა, რისთვისაც კომკავშირი მობილიზაციას უკეთებს 600 კ.კ. წევრს. სავალდებულოდაა დადგენილი აგრეთვე სასუქების გატანა მინდორ-ვენახებში.

თესვა

კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით მოიხნება 102 ჰექტარი, ცალკე კულტურების მიხედვით, ხორბალი—60 ჰექტ., ქერი—10 ჰექტ., სიმინდი—15 ჰექტარი, ფეტვი—10 ჰექტარი, საქონლის საკვები—2 ჰექტ., კართოფილი—5 ჰექტ., რომლის მთლიანი შემოსავალი გადირიცხება საყოველთაო სწავლების ფონდში. რაიონში მოეწყობა 15 შაბათობა ქვრივ-ობლების, წითელ არმიელთა ოჯახების მიწების მოსახნავად.

სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა

გაზაფხულის კამპანიის უკეთ ჩატარების მიზნით, უჯრედებში და უბნებში ახალგაზრდობაში ფართოდ გაიშლება სოც. შეჯიბრება, დამკვრელობა და ჩამორჩენილ სოფლების საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანა, გამარჯვებულ უჯრედებზე რაიკომი აწესებს გარდამავალ ჯილდოს. თელავის რაიკომი სოც. შეჯიბრში იწვევს სიღნაღის და გორის რაიკომებს.

ალ. მეტ.

მუშათა სარემონტო ბრიგადები სოფლად

(წერილი გორიდან)

გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, **გორის რაიონის სოფლებში იგზავნებიან მუშათა სარემონტო ბრიგადები, რომლებიც შეაკეთებენ სას.-სამ. იარაღ - მანქანებს.**

ბრიგადები გაგზავნა გორის პროფსაბჭომ და სარეწაო კოოპერატივის გამგეობამ. გორის რაიონში აგრეთვე მოვლინებული არიან სოფლებში გასაგზავნად ბრიგადები თბილისის პროფსაბჭოს და საშეფო ორგანიზაციის მიერაც.

მუშათა სარემონტო ბრიგადები უკვე გაემგზავრნენ ადგილებზე; ისინი ენერგიულად შეუდგნენ სას. სამ. იარაღ - მანქანების შეკეთებას როგორც კოლმეურნეობებში, ისე ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებში.

ოთარა [illegible]

პარტიული მშენებლობა

დაუზოგავი ბრძოლა კულაკების აგენტებს

მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტებს და მათთან შემარიგებლებს

ჭიათურის რაიონში პარტიის ზოგიერთი წევრები უხეშად ამახინჯებენ პარტიის ხაზს: იბრძვიან კოლექტივების წინააღმდეგ, ხელს უშლიან ხორცის და სიმინდის დამზადებას, საბჭოს წევრებად ასახელებენ კულაკებს და ილაშქრებენ ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების წინააღმდეგ. — ტყვრის (ზესტაფონის რაიონი) აგურ-ქარხნის კომუჯრედი უგეგმოდ მუშაობს. — სოფ. ფარცხანაყანევში (ქუთაისის რაიონი) ღარიბ გლეხის მეურნეობამდე დაიყვანეს ხორცის დამზადების გეგმა; კულაკები უარს აცხადებენ დავალების შესრულებაზე, მათ წინააღმდეგ ზომებს არავინ ღებულობს.

მემარჯვენე ოპორტუნისტები გარიცხული არიან პარტიიდან

(ლენინის რაიონი)

საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიონის სარაიონო საკონტროლო კომისიამ ამა წლის 12—13 იანვარს, სოფ. მარტყოფში და ნორიოში მოაწყო პრეზიდიუმის სხდომა. ადგილობრივ კომუჯრედის რამოდენიმე წევრი ხელს უშლიდენ კოლმეურნეობათა განმტკიცებას, გამოდიოდენ კოლექტივებიდან და აწყობდენ მის წინააღმდეგ ინტრიგას.

მარტყოფის კოლექტივის ყოფილი თავმჯდომარე **იაგორ მეფურიშვილი** (პარტიის წევრი 1919 წ.) კოლექტივის თავმჯდომარეობის დროს, კოლექტივში არ შეიტანა თავისი ბაღი, რომლიდანაც სამასი ფუთი ყურძენი მოუდის ყოველწლიურად. მან განუცხადა კოლექტივის წევრებს: **„ეს ბაღი მე მესაჭიროება, მისი შემოსავლით უნდა აღვზარდო ბავშვები სკოლაშიო“** და სხვა. ამის შემდეგ ის გამოდის კოლექტივიდან და თან გამოჰყავს მუშა-საქონელი და აბარებს შესანახად კულაკის შვილს. **„მე გამოვედი კოლექტივიდან იმიტომ, რომ რამოდენიმე წევრებმა მომიწყვეს ინტრიგა, ვინაიდან მე საშუალო გლეხი ვარო“.** აცხადებს მეფურიშვილი.

კოლექტივიდან გამოსვლის შემდეგ ის აშკარა ბრძოლას უცხადებს მას, ავრცელებს სხვადასხვა ჭორებს ახალი თავმჯდომარის და კოლექტივის წევრების წინააღმდეგ.

საინტერესოა გადავავლოთ თვალი მის წარსულს: მეფურიშვილი ორჯერ იყო გამორიცხული პარტიიდან 1923—25 წლებში, სხვადასხვა დანაშაულობისათვის, მაგრამ ყოველთვის მოახერხა აღდგენა, ვინაიდან ის ასაღებდა თავს ღარიბ გლეხად და წარმოების მუშად. სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ მას ქონებია ვაჭრობის დიდი ხნის სტაჟი.

მეფურიშვილი მესამეჯერ ირიცხება პარტიიდან, როგორც ყოფილი ვაჭარი, კოლექტივიდან გამოსვლისათვის და როგორც მემარჯვენე გადახრების გამტარებელი პრაქტიკაში.

საკონტროლო კომისიამ გარიცხა პარტიიდან **დიმიტრი ყურაშვილი** (მჭედელი — თვითმწარმოებელი) და **ალექსანდრე ქავთარაძე,** რომლებმაც არ ისურვეს თავიანთი ქონების გაერთიანება კოლექტივში. ყურაშვილი აცხადებს: **„რატომ შევიტანო ჩემი სახელოსნო კოლექტივში, როდესაც თითო ჩაქუჩის დარტყმაზე 40-50 მან. შემომივაო. შემოსავალი მე თვით მჭირდებაო“.**

ალექსანდრე ქავთარაძე კოლექტივის მიერ გაგზავნილი იყო სატრაქტორო კურსებზე, შეისწავლა თუ არა მან ხელობა, მაშინვე ჩააბარეს ტრაქტორი და დაუნიშნეს კარგი ჯამაგირი, ქავთარაძემ ტრაქტორი გამოიყენა თავის საჭიროებისათვის, არ ისურვა კოლექტივში შესვლა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ის კოლექტივის აქტიური მოწინააღმდეგეც გახდა, მან ფარულად დასწვა კოლექტივის ხუთასი ფუთი თივა, რაზედაც გამსახლში ამოჰყო თავი.

აღნიშნული ფაქტები მაგალითი უნდა იყოს პარტიის ყველა წევრებისათვის. ის კომუნისტი, რომელიც კოლექტივის გარეთ დარჩება მას არ შეუძლია პარტიაში დარჩეს. ეგრეთვე სასტიკად უნდა დაისაჯონ ისინი, რომლებიც კოლმეურნეობის მშენებლობას ხელს უშლიან და ექცევიან კულაკების გავლენის ქვეშ.

ს. მეგრელიშვილი.

ვინ უშლის ხელს პარტიის პოლიტიკის გატარებას სოფლად

(ჭიათურა)

ჭიათურის რაიონის ზოგიერთი კომუნისტები დახმარების მაგივრად ხელს უშლიან სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიების გატარებას, ექცევიან კულაკობის გავლენის ქვეშ და მის დასაცავად გამოდიან კრებებზე.

სოფ. ხრეითის კომუჯრედის ბიუროს წევრი **თომა მიხეილიძე** კოლექტივში არ შევიდა, ეწევა აგიტაციას კოლექტივის წინააღმდეგ, სიმინდის და სოიას დამზადების დროს გაილაშქრა მიმაგრებულ ამხანაგის წინააღმდეგ და შექმნა ჯგუფი მუშათა ბრიგადების სოფლიდან გასადევნად. მიხეილიძე ლოთობს, ისვრის რევოლვერიდან და აშინებს ღარიბ და საშუალო გლეხობას, არჩევნებზე საბჭოს წევრად ასახელებდა კულაკებს.

ამავე სოფელში მცხოვრები, პარტიის წევრი, **დიმიტრი სპირიდონის ძე მიხეილიძე,** — სიმინდის დამზადების დროს გეგმის კულაკურ მეურნეობამდე დაყვანის წინააღმდეგ გამოვიდა. კომუჯრედის კრებაზე ხორცის დამზადების გეგმის დამუშავების შემდეგ დ. მიხეილიძემ შეატყობინა კულაკებს მათზე ხარების და ძროხების შეწერა და ურჩია საჩქაროდ გაყიდვა. კულაკები ეცადენ საქონლის გაყიდვას, მაგრამ ვერ შესძლეს. მან შესძლო კოლექტივიდან გამოეყვანა 7 ოჯახი — მისი ნათესავები და მეზობლები.

ხრეითის სას. საბჭოს თავმჯდომარე დათიკო ერმილეს ძე ქართველიშვილმა ჩაშალა სიმინდის და სოიას დამზადების გეგმა, სიმინდის დამზადების გეგმა დაიყვანა საშუალო გლეხობამდე, დამზადებულ სიმინდიდან თვითონ მიითვისა 25 ფუთი სიმინდი. ჩაშალა ფულადი სახსრების მობილიზაცია, გლეხებს ურჩევდა ფული მიებარებიათ კულაკებისათვის და იქიდანვე ესესხებიათ. ქართველიშვილის კულაკურ ელემენტებთან კავშირის დაჭერისა და მასებისაგან მოწყვეტის გამო ხრეითის თემი ძალზე ჩამორჩა მიმდინარე კამპანიების გატარებაში. ქართველიშვილმა მოითხოვა კულაკობის განთავისუფლება ხორცის დამზადებიდან, მისი აზრით კულაკი „ცოდვაა“-ო.

ძირითადი კოლექტივიზაციის თემში — არგვეთში — მცხოვრები **დავ. გვიანაძე** (პარტიის წევრი) კოლექტივში შესვლის მაგივრად აწარმოებს ბრძოლას კოლექტივის წინააღმდეგ. არჩევნების დროს, მოითხოვდა კულაკის არჩევას საბჭოს წევრად. როცა თავისი ვერ გაიტანა დაემუქრა მიმაგრებულ ამხანაგს და კრება დემონსტრატიულად დატოვა. გლეხობაში აწარმოებდა აგიტაციას, რომ მათ სიმინდი არ ჩაებარებიათ დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის.

ამავე თემში მცხოვრები **ანტონ ლობჟანიძე** (პარტიის წევრი) გვიანაძესთან ერთად აწარმოებს ბრძოლას კოლექტივში გაერთიანებულ ღარიბ გლეხების წინააღმდეგ. ისინი შეეცადნენ ამომრჩეველთა კრებაზე ღარიბების და მოჯამაგირის კანდიდატურის მოხსნას და კულაკის არჩევას. ის სისტემატიურად თვრება კულაკების ოჯახში და მთვრალი რევოლვერით აშინებს სოფლის ღარიბ მოსახლეობას.

კოლია ტყავაძე თოსების ძე (პარტიის წევრი) შეგროვილი სოია არ შეიტანა სათანადოთ, ჩაყარა სარდაფში, რის გამოც გაფუჭდა 186 ფუთი სოია. მიმაგრებულ ამხანაგებს საბჭოთა არჩევნების დროს ხელს უშლიდა, დავალებებს იღებდა, შესრულებაზე კი არ ფიქრობდა. გლეხობაში ავრცელებდა კოლექტივის საწინააღმდეგო ხმებს.

კაცხის თემის კომუჯრედის მდივანი **პლატონ კაპანაძე** იცავს თავის მამას — მღვდელს.

ასეთია ჭიათურის რაიონში მყოფ ზოგიერთ მუშაკების მუშაობა, აღნიშნულ პირებმა სათანადო პასუხი უნდა აგონ პარტიის საკონტროლო კომისიის წინაშე.

ხერ-რი.

უმოქმედო კომუჯრედი

(ზესტაფონის რაიონი)

ტყვრის აგურ-ქარხნის კომუჯრედის მუშაობის გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები კომუჯრედის მუშაობაში. 14 თვის განმავლობაში ბიუროს სხდომა მოწვეული იყო მხოლოდ 4 ჯერ. 1929 წლიდან დღემდე კომუჯრედს კრება ჰქონდა 8-ჯერ, ამათში 5 დახურული და 3 ღია.

უჯრედი არ აწარმოებდა გეგმიან მუშაობას და არ ჰქონდა სამუშაო გეგმა. კომუჯრედი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა სოც. შეჯიბრებას და დამკვრელობას, ცუდათ არის დაყენებული მუშათა კვების საკითხი, მუშებს არა აქვთ სათანადო ბინები და სხვა.

ტყვრის აგურ-ქარხნის კომუჯრედის ასეთი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. კომუჯრედს ჯერ კიდევ არ შეუცვლია მუშაობის ძველი ფორმები. ამიტომ უნდა მოხდეს ტყვრის აგურ-ქარხნის მშენებლობის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობის ფორმების და მეთოდების სრული გარდაქმნა. პროფკავშირმა, რომელსაც დღემდის ტყვრის აგურ-ქარხანაში ბევრი არაფერი არ გაუკეთებია, უნდა გააძლიეროს ადგილობრივ ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობა. პროფკავშირმა უნდა მიამაგროს ერთი პასუხისმგებელი მუშაკი, რათა ადგილობრივ ორგანიზაციის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული.

ადგილობრივი მუშკოოპის გამგეობის კომფრაქციამ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები მუშების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის, მოიმარაგოს იმდენი სურსათ-სანოვაგე, რამდენიც ეჭირვება ტყვრის აგურ-ქარხნის მშენებლობაში ჩაბმულ მუშათა მასებს.

პირველ ყოვლისა უჯრედში წარმოებული უნდა იქნეს გეგმიანი მუშაობა, გეგმაგარეშე მუშაობა არც ერთ შემთხვევაში არ არის დასაშვები. შედგენილი უნდა იქნეს სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა გამოხატავდეს წარმოების მუშაობის შინაარსს, მის მთავარ დამახასიათებელ ნიშნებსა და თვისებებს.

პარტუჯრედმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას. ამისთვის პარტუჯრედმა უნდა გაშალოს მუშათა და ინჟენ.-ტექნიკოსთა მასაში სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა, როგორც ინდივიდუალურად, ასე კოლექტიურად.

პარტუჯრედი სხდომებს უნდა იწვევდეს რეგულიარულად — სისტემატიურად. კრებებზე დამუშავებული უნდა იქნეს საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების საკითხები.

კომუჯრედის ბიურომ უნდა აწარმოოს სისტემატიური შემოწმება, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში უჯრედის მიერ მიღებული დადგენილებები.

კომუჯრედმა, მუშებთან ერთად, სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოოს [illegible], დაუდევრობის, მაცებლობის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ჯანსაღი ბოლშევიკური თვითკრიტიკით ძირშივე უნდა აღმოიფხვრას ყოველივე ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან მშენებლობის ნორმალურ მუშაობას.

კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ორ ფრონტზე ბრძოლა, უჯრედმა ძირშივე უნდა აღკვეთოს მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნიზმის გამოხატულებანი პრაქტიკაში და მათდამი შემარიგებლობა.

შ. გვაუთუა.

მემარჯვენე გადახრა პრაქტიკაში

(ქუთაისის რაიონი)

სოფელ ფარცხანაყანევში (ქუთაისის რაიონი) ადგილი აქვს პარტიული ხაზის უხეშად დამახინჯებას. კულაკები თავისუფლად ახერხებენ მტკიცე დავალებების შესრულების თავიდან აცილებას. ისინი დავალების შესრულებაზე უარს აცხადებენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ღებულობენ. სულ საწინააღმდეგოს ვხედავთ ღარიბ და საშუალო გლეხობის მიმართ. უკანასკნელთ ეძლევა მტკიცე დავალება განსაზღვრულ რაოდენობით, განსაზღვრულ ვადაში შესასრულებლად.

სოფ. ფარცხანაყანევში ამჟამად მიმდინარეობს ხორცის დამზადება. ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივების თანახმად მტკიცე დავალება ეძლევა მხოლოდ კულაკურ და შეძლებულ გლეხობას, დანარჩენებისათვის დამზადება ნებაყოფლობითია, მაგრამ ადგილობრივი კომუჯრედის მდივნის შვანგირაძისათვის ეს სავალდებულო არ არის. მას პარტიის დადგენილება სხვაგვარად ესმის. მაგალითად: გლეხ **პორფილე ციბაძეს** (საოჯახო-სამეურნეო გადასახადს არ იხდის, როგორც ღარიბი გლეხი) შეაწერეს ორი ძროხა და ერთი ღორი. ამდენივე შეაწერეს კულაკ **სპირიდონ კილაძეს.** საინტერესოა ჩაბარების მეთოდი. ღარიბ გლეხ ციბაძეს ერთი ძროხა უკვე მიაყვანინეს, დანარჩენის ჩაბარებისათვის უკანასკნელი წინადადება აქვს მიცემული, კულაკ კილაძეს კი ჯერ არც ერთი დავალება არ შეუსრულებია. მან მოაწყო ქეიფი, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ფარცხანაყანევის ხელმძღვანელებმა და მათ შორის უჯრედის მდივანმა — შვანგირაძემ. ამის შემდეგ გათამამებული კულაკი უცდის პურმარილით შეძენილ მეგობრის დახმარებას.

ასეთი მაგალითები ფარცხანაყანევში არა ერთი და ორი არის.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და სასტიკად დაისაჯონ მემარჯვენე იდეოლოგიის პრაქტიკაში გამტარებლები.

ვ. ც-ძე.

ბოლშევიკურად გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი

სასილოსო შენობების უქონლობის გამო კასპის ცემენტის ქარხნის მუშაობა ფერხდება

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, ავეჯეულობის ფაბრიკაში და სუხიშვილის სახელობის ქარხანაში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის არაფერი გაკეთებულა

კასპის ცემენტის ქარხნის მუშაობა ფერხდება

ამჟამად კასპის ცემენტის ქარხანას უკვე დამზადებული აქვს 500 ვაგონი ცემენტის ნახევარ ფაბრიკატი, ე. წ. კლინკერი. ქარხანა მოკლებულია საშუალებას დაუყოვნებლივ შეუდგეს კლინკერის მთელი მარაგის გადაფქვას (კლინკერის გადაფქვის შემდეგ ღებულობენ წმინდა ცემენტს), რადგანაც ცემენტის შესანახი ადგილი ქარხანას არ გააჩნია.

ქარხნის მშენებლობის დაწყებისას გათვალისწინებული იყო ცემენტის შესანახი სილოსების მოწყობაც, მაგრამ ქარხანა უკვე მეორე თვეა მუშაობს და სილოსები დღესაც არაა მოწყობილი. სულ აგებული უნდა იყოს 8 სასილოსო შენობა, სადაც შესაძლებელი იქნება 45.000 კასრი ცემენტის შენახვა.

სილოსების თავის დროზე აუგებლობის გამო, რაზედაც შესაფერი პასუხი უნდა აგოს ქარხნის ამგებმა ორგანიზაციამ, ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა მოეწყო დროებითი ხის მასალისაგან მოწყობილი სილოსი, სადაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ 10 ვაგონი, ანუ დაახლოებით 1.000 კასრი ცემენტის შენახვა.

კასპის ცემენტის ქარხანამ უკვე კარგა ხანია დაამზადა აღნიშნული რაოდენობის ცემენტი, აავსო დროებითი სასილოსო კოშკები და რადგან ცემენტის შესანახად მას სხვა ადგილი არ აქვს, იძულებული გახდა მუშაობა შეეკვეცა. გარდა ამისა კასპის ცემენტის ქარხნის სრულ ამუშავებას აბრკოლებს ცემენტის მოსათავსებელი კასრების (ბოჩკების) და ტომრების სიმცირე. ცემენტზე მოთხოვნილება დიდია, მაგრამ ქარხანას არ შეუძლია მოთხოვნილების დაკმაყოფილება ცემენტის ტომრების და კასრების უქონლობის გამო.

გარდა რკინის გზის უწყებისა, საქ. სახელმწიფო სამრეწველო-სააღმშენებლო ტრესტისა და რამოდენიმე სხვა სააღმშენებლო ორგანიზაციისა, თითქმის არც ერთი დიდი აღმშენებლობა არ ღებულობს ვაგონებში ჩაყრილ შეუფუთველ ცემენტს. წვიმიან ამინდში შეუძლებელია ვაგონიდან ცემენტის გადმოტვირთვა. ვაგონში ჩაყრილ ცემენტზე ძნელია ე. წ. პასპორტის დაწებება, ესე იგი ცემენტის ხარისხის აღნიშვნა და სხვ.

სილოსების დაუმზადებლობის გამო, ქარხანაში დაუქმებულია ერთი წისქვილი და 1 ღუმელი. სულ ქარხანაში დადგმულია ორი წისქვილი და ორი ღუმელი. თვითეულ წისქვილს დღე და ღამის განმავლობაში შეუძლია გადაფქვას 1200 ვაგონი კლინკერი, ანუ მოგვცეს 1200 ვაგონი წმინდა ცემენტი. თვითეული ღუმელი დღე და ღამის განმავლობაში ამზადებს 1000 კასრ კლინკერს.

ქარხანას შეუძლია ამუშაოს ორივე ღუმელი ერთად და დღე-ღამის განმავლობაში მოგვცეს 2.000 კასრი კლინკერი, მაგრამ სასილოსო შენობების უქონლობის გამო ჯერ არ გადაუფქვავთ კლინკერის ის რაოდენობაც კი, რომელიც უკვე გამზადებულია. კლინკერის უკვე არსებული მარაგი (500 ვაგონი, ანუ 60.000 კასრი) ქარხნის წისქვილებს დატვირთავს ერთი თვით.

კასპის ცემენტის ქარხანას მიცემული აქვს მტკიცე დავალება, რომ ყოველთვიურად გამოუშვას 60.000 კასრი პორტლანდცემენტი. ეს დავალება ქარხანამ ვერ შეასრულა იანვარში და ვერ შეასრულებს ვერც თებერვალშიაც თუ არ დაჩქარდა სასილოსო შენობების მოწყობა.

„სოიუზსტროიმატერიალი“, რომლის გამგებლობაშიაც გადავიდა კასპის ცემენტის ქარხანა, უნდა მიიღოს ზომები ქარხნის უზრუნველყოფისათვის ცემენტის შესანახი და [illegible] კასრებითა და ტომრებით. მიმდინარე წლის 1-ლი კვარტალისათვის კასპის ცემენტის ქარხანას მიეცემა მხოლოდ 82.000 ტომარა, რაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული შესაფერი ღონისძიებები.

დ. ლ.

ხარისხისათვის ბრძოლა დაივიწყეს

ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის ქარხნის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ არ შესდგომია პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების აღრიცხვას. ხარისხის მაჩვენებლობის აღრიცხვა სწარმოებს 1930 წ. დეკემბრიდან, ისიც მხოლოდ 2 საამქროში. ამ ორი საამქროს პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები ასეთია: ჩამომსხმელ საამქრომ დეკემბერში გამოუშვა სულ 23,3 ტონა თუჯი და აქედან ცუდი ხარისხის იყო 181 კ. გრამი. ქარხნის მექანიკურმა საამქრომ დეკემბერში გამოუშვა 24.600 მანეთის პროდუქცია. აქედან ცუდი ხარისხის იყო 94 მანეთის პროდუქცია. ასეთია პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები ჩამომსხმელსა და მექანიკურ საამქროებში. დანარჩენ საამქროებში პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები ადმინისტრაციას არ მოეპოვება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის ძირითადი პროფორგანიზაციის ხაზით არავითარი მუშაობა არ ჩანს გაშლილი ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში. ქარხკომს არა ჰყავს გამოყოფილი ხარისხისათვის მებრძოლი ბრიგადები და არ განუხილავთ ლენინგრადის „ელექტრო აპარატი“-ს ქარხნის მუშების და ინჟენერ-ტექნიკოსთა მოწოდება ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ქარხნის პროფორგანიზაციამ საჩქაროდ უნდა მოჰკიდოს ხელი ხარისხისათვის მებრძოლი ბრიგადების ჩამოყალიბების საქმეს.

ა—ძე.

ცირკულიარებს ელოდებიან

მთელ რიგ ქარხნებში პროფორგანიზაციებს არ დაუმუშავებიათ „ელექტროაპარატის“ ქარხნის მუშების და ინჟენერ-ტექნიკოსების მიმართვა პროდუქციის ხარისხისათვის ლაშქრობის მოწყობის შესახებ.

მაგალითად, აბრეშუმის ახალი ფაბრიკის, ავეჯეულობის და ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის ქარხკომების თავმჯდომარეებმა არაფერი არ იციან და არც ფიქრობენ ჯერ-ჯერობით „ელექტროაპარატის“ მეტად მნიშვნელოვან მიმართვისადმი გამოხმაურებას. ისინი კავშირის გამგეობიდან ელოდებიან ცირკულიარებს. გამგეობები კი ჯერ არ განძრეულან.

ამასთან, აბრეშუმის ფაბრიკის ფაბკომის თავმჯდომარეს ვერას დროს ვერ ნახავ თავის ადგილზე. მუშები აცდენენ სამუშაო საათებს ფაბკომის თავმჯდომარის ძებნაში.

ავეჯეულობის ფაბრიკის ფაბკომის თავმჯდომარე შეკითხვაზე, თუ რა გააკეთა მან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში, ის პასუხის გაცემას არ კადრულობს. პროფორგანიზაციების ასეთ ბიუროკრატულ მოქმედებას ბოლო უნდა მოეღოს.

ადგილობრივი პარტიული და პროფორგანიზაციები ფართოდ უნდა გამოეხმაურონ ლენინგრადის მოწინავე „ელექტროაპარატელების“ მუშების და ინჟენერ-ტექნიკოსების მიმართვას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. მობილიზაცია უნდა უქნან მუშათა ფართო მასებს პროდუქციის ხარისხისათვის საბრძოლველად. ავეჯეულობის ფაბრიკისა და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ფაბკომების თავმჯდომარეები კი პირიქით იქცევიან.

ალ. ნი.

გეგმის შესრულებას ჩამორჩენ

(საჭილაოს ხე-ტყის ქარხანა)

საჭილაოს ხე-ტყის ქარხნის ხელმძღვანელობა ძალიან მოისუსტებს, როგორც ცენტრიდან, ისე ადგილობრივადაც. ქარხანაში არ არის ფართოდ გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. მასების აქტივობას ჩამორჩა ხელმძღვანელობა. ქარხანას არ აქვს ნედლი მასალა. არის შემთხვევა, როცა საჭილაოს ხე-ტყის ქარხანა თვეობით ჩერდება, იმისათვის, რომ სახერხი ნედლი მასალა არ მოეპოვებათ. მუშები არ იცნობენ საწარმოო-საფინანსო გეგმას. დამკვრელი კვარტალის გეგმა საჭილაოს ხე-ტყის ქარხანამ შეასრულა მხოლოდ 69 პროც. ასეთი ჩამორჩენა უნდა მიეწეროს ქარხნის ადმინისტრაციის და პარტ და პროფორგანიზაციების უპასუხისმგებლობას. ქარხანა მოუმზადებლად შეხვდა ხუთწლედის მესამე წელს. საჭიროა ეხლავე მოხდეს გარდატეხა მთელ მუშაობაში. ყურადღება უნდა მიექცეს სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლას, მუშათა მომარაგების გაუმჯობესებას, მუშების ბინებით უზრუნველყოფას.

კომუნარი.

მუშაობის მაღალი ტემპებით შევასრულეთ დავალებები

(ბამბის ფაბრიკა)

ბამბის ფაბრიკაში სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ფართოდ არის გაშლილი. ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია 12 დამკვრელი ბრიგადა, რომელშიაც გაერთიანებულია მუშების 100 პროცენტი. ბრიგადების სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ყავთ ერთიმეორე საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფაბრიკის მუშებმა განსაკუთრებულ კვარტალში ენერგიული მუშაობით გეგმების ყველა მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებისათვის მიიღეს ჯილდო ძაფის სართავი ფაბრიკისაგან. ამ მიღწევების განმტკიცებისათვის, ბამბის ფაბრიკის მუშებმა კიდევ უფრო გააძლიერეს სოციალისტური შრომის ფორმები სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, რასაც ამტკიცებს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის იანვრის ორი დეკადის გეგმების შესრულება.

პირველ დეკადაში ფაბრიკას გეგმით უნდა დაემზადებია 27216 კილოგრამი ბამბა, ფაქტიურად დაამზადა 28849 კ.გ. ბამბა. გეგმა შესრულებულია 106,0 პროც., ჰიგროსკოპიული ბამბის დამამზადებელ საამქროს უნდა დაემზადებია 2914 კ.გ. ჰიგროსკოპიული ბამბა, ფაქტიურად დაამზადა 2396 კ.გ. გეგმა შესრულებულია მხოლოდ 82,2 პროცენტით. ჰიგროსკოპიული ბამბის საამქროს ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ გეგმის მიხედვით, საამქროში მუშაობა უნდა წარმოებულიყო ორცვლად, მაგრამ ნედლი მასალის უქონლობის გამო 4 დღე მხოლოდ ერთი ცვლა მუშაობდა.

მეორე დეკადაში გეგმით უნდა დამზადებულიყო 27216 კ.გ. ბამბა, ფაქტიურად დაამზადა 25.748 კ.გ. გეგმა შესრულდა 95.6 პროცენტით. მეორე დეკადაში ფაბრიკამ განიცადა ძლიერი დაბრკოლება მაზუთის თავის დროზე მიუწოდებლობის გამო. ჰიგროსკოპიული ბამბა მეორე დეკადაში უნდა დაემზადებიათ 2914 კ.გ. დაამზადეს 2903 კ.გ. გეგმა შესრულდა 99,6 პროც..

სულ, ორივე დეკადაში ფაბრიკას გეგმით უნდა დაემზადებია 54402 კ.გ. ბამბა, ფაქტიურად დაამზადა 54591 კ.გ. ე. ი. ორი დეკადის გეგმა ფაბრიკამ შეასრულა 100,3 პროცენტით.

ჰიგროსკოპიული ბამბა ორ დეკადაში გეგმით უნდა დაემზადებიათ 5828 კ.გ. დაამზადა 5299 კ.გ. გეგმა შესრულდა მხოლოდ 90,9 პროცენტით.

ძაფის სართავ საამქროს გეგმით, ორ დეკადაში უნდა დაემზადებია 8,333 კ.გ. ძაფი, რაც შესრულებულია მხოლოდ 90.3 პროცენტით. ძაფის სართავ საამქროს ჩამორჩენა გამოწვეულია ადმინისტრაციის უყურადღებობით. აღნიშნულ საამქროს მანქანები, საჭიროებდა რემონტს, მაგრამ ადმინისტრაციას ზაფხულის პერიოდში არ უფიქრია მანქანების შეკეთებისათვის. ამის გამო მანქანები ხშირად ჩერდებიან. ამასთან საამქროს პროფორგანიზაცია უყურადღებოთ ექცევა სოცშეჯიბრებას. მუშები არ არიან ჩაბმული შეჯიბრებაში და დამკვრელობაში. არც გეგმა არის დაყვანილი დაზგამდე. ადგილობრივმა პარტუჯრედმა და პროფორგანიზაციამ ფართოდ უნდა გაშალონ სოცშეჯიბრება და გააძლიერონ ბრძოლა უმიზეზოთ სამუშაო საათების გაცდენის, რომელსაც ადგილი აქვს საამქროში.

ა. ჩ—ნი.

შემხვედრი გეგმის შედგენას აგვიანებენ

(ფეხსაცმელების ფაბრიკა)

ამხ. სტალინის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკამ, 1931 წლის საკონტროლო ციფრების მიხედვით უნდა გამოუშვას 12.500.000 წყვილი ფეხსაცმელი. აქედან პირველ კვარტალში უნდა გამოუშვას 229.600 წყვილი ფეხსაცმელი. განსაკუთრებული კვარტალთან შედარებით გეგმა გაზრდილია 49.225 წყვილით. 1931 წელში მთლიანი პროდუქციის გამომუშავება [illegible] ფასებში უნდა იქნეს 4.515.000 მანეთის, აქედან პირველ კვარტალში საერთო პროდუქციის გამომუშავება უნდა უდრიდეს 1.082.100 მანეთს.

განსაკუთრებულ კვარტალთან შედარებით, საერთო პროდუქციის გამომუშავება პირველ კვარტალში გაზრდილია 152.765 მანეთით. შრომის ნაყოფიერება გეგმით მთელ წელში უნდა გაიზარდოს 22 პროცენტით, თვითღირებულება უნდა შემცირდეს 5 პროცენტით და სხვა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ შემხვედრი გეგმების დამუშავება ჯერ-ჯერობით არ სწარმოებს. რადგან ტრესტმა ძალიან დაგვიანებით გადმოსცა ფაბრიკას 1931 წლ. საკონტროლო ციფრები. პროფორგანომ უნდა დააჩქაროს ეს საქმე.

ახ. მუშა.

აფეთქება

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

არ მახსოვს კარგათ, ოთხი თუ ხუთი წლის წინად, ამერიკის ერთ-ერთ შტატში მოაწყვეს გრანდიოზული აფეთქება. ყოველგვარ სენსაციაზე დახარბებულ ამერიკულ და ევროპიულ ბურჟუაზიულ პრესას ამ შემთხვევამ ორი კვირის საზრდო მისცა. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე აფეთქების სამზადისი დამთავრდებოდა, გაზეთებს გულმოდგინეობა არ დაუკლიათ ამ ისედაც არაჩვეულებრივ სანახაობის მიმზიდველობის გასაზვიადებლად.

აბა რა გაღიზიანება სჭირია უქმ ბურჟუების განებივრებულ ცნობისმოყვარეობას?

ხალხი, რომელიც დიოგენის ფარნით კი არა, თანამედროვე აფეთქლერებით (პროჟექტორებით) ეძებს მოსაწყენ და მომაბეზრებელ ყოველდღიურობის კალაპოტიდან ამოვარდნილ ყოველგვარ სენსაციურ გასართობს, უხვად მიაწყდა აფეთქების ადგილს. აფეთქების სანახავად ამერიკის და ევროპის ქალაქებიდან გაემგზავრა მრავალი ათასი ცნობისმოყვარე. გამგზავრებულთა შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებსაც იზიდავდა იმდენად არა სანახაობა და თავის გართობა, რამდენად აფეთქების ორგანიზაციულ-ტეხნიკური მხარე და მისი შედეგები. სხვათა შორის, ამ ამბავმა მიიქცია ცნობილ მეცნიერის პროფ. პ. მელიქიშვილის ყურადღება. მოხუც მეცნიერს აინტერესებდა, თუ როგორ იყენებს დღევანდელი ამერიკა ქიმიის უკანასკნელ მიღწევებს, როგორც ერთი მისი მოწაფე გადმოგვცემს, მელიქიშვილი დაკვირვებით ათვალიერებდა ამ აფეთქების აღწერილობას სამეცნიერო ჟურნალებში და ნატრობდა მსგავსი აფეთქების ორგანიზაციას ჩვენში. რას იფიქრებდა მხცოვანი მეცნიერი, თუ მისი გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ დიდ აფეთქებათა ტეხნიკის და ორგანიზაციის საქმეში საბჭოთა კავშირი დაეწეოდა და წინ გაუსწრებდა ტეხნიკურად დაწინაურებულს — ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ეს წინ გასწრება დღეს უდაო ფაქტია: გასული წლის ზაფხულზე ბუმბერაზობის რეკორდი აიღო აფეთქებამ, რომელიც მოეწყო ჟიგულის მთებში (ვოლგაზე), სადაც 50 ტონა ამონალით პირქვე დაამხეს ქვაკირის უზარმაზარი კლდე.

ჟიგულზე უფრო ნაკლები, მაგრამ თავისი მოცულობით გრანდიოზულ აფეთქების მეორე შემთხვევის მოწმე ვხდებით აქვე, — თბილისის ყურის ძირში — ხევის ერთ პატარა სოფელ არშაში, სადაც 22 ტონა ამონალის აფეთქებით დამხობას უპირებენ ანდეზიტის სალ კლდეს.

ეს აფეთქება არის მეორე შემთხვევა საბჭოთა კავშირში, მაგრამ არა შემთხვევითი გარემოებით გამოწვეული.

ხუთწლედის გაჩაღებულმა ტემპებმა წარმოშვეს აფეთქების გადაუდებელი საჭიროება.

გადახედეთ ა.-კ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო ტრესტის სახელზე გამოგზავნილ შეკვეთების ნუსხას და დარწმუნდებით, რომ ეს ასეა.

— დაგვიმზადეთ 2 ათასი კუბომეტრი ანდეზიტი, იწერება ერთი ქიმიური ქარხანა.

— გამოგვიგზავნეთ 8 ათასი კუბომეტრი, — იწერება მეორე.

— 5 ათასი, — იძლევა შეკვეთას მინერალურ სასუქების დამამზადებელი წარმოება.

— მოგვაწოდეთ 7 ათასი კუბომეტრი, — იტყობინებიან სამეტალურგო ქარხნები.

და ასე ამგვარად შემკვეთელ საწარმოების რიცხვი აღწევს 20-ს, ხოლო შეკვეთილ ანდეზიტის რაოდენობა 100 ათას კუბომეტრს.

დაკვრითი ტემპით შენდებიან ახალი ფაბრიკა-ქარხნები.

დაკვრითი ტემპით უნდა დამზადდეს მათთვის სამშენებლო მასალა. ანდეზიტი მჟავების გამძლე ქვაა, რომლისგანაც კეთდება ქიმიურ-სამეტალურგიო ქარხნების ღუმელები, ქვაბები, აბაზანები.

100 ათასი კუბომეტრი ანდეზიტი! ადვილი სათქმელია!

სად არის იმდენი მუშა-ხელი, რომ კლდეების მკერდებიდან ცალკე ზოდებად გადმოალაგონ ანდეზიტის ფერადი მადანი ათეულ ათას კუბომეტრობით?

მუშა-ხელიც რომ კმაროდეს, რამდენი დრო, ცდა და ლოდინი სჭირია ამ ზოდების გადმოლაგებას?

მოიცდის კი ჩვენი მშენებლობა? მოცდა ეს ხომ შეჩერებას ნიშნავს, ეს ხომ ხუთწლედის ტემპების შენელება იქნებოდა.

რა გამოგვიყვანს ამ ვიწრო ადგილიდან?

— აფეთქება!

აფეთქება არა მარტო ანდეზიტისა, არამედ ყველა იმ კლდოვან ქანების, რომლებიც სამშენებლო მასალას იძლევიან. გუშინ ააფეთქეს ჟიგულის ქვა-კირის კლდე, დღეს აფეთქებენ ანდეზიტს, ხვალ აპირებენ გრანიტის კლდის აფეთქებას ურალში, აფეთქებას ვერ აცდებიან ტუფის, ფიქალის, ბარიტის კლდეები ჩვენში.

საფუძველი დასადები ფაბრიკა-ქარხნების, მუშათა სახლების, ინსტიტუტების, შენობათა კორპუსები მოუთმენლად ელიან ქვებს კედლების აღსამართავად, კირს აგურების შესამტკიცებლად, ფიქალს დასახურავად.

აუცილებელია სისწრაფის გაორკეცება, აუცილებელია ტემპი აფეთქებისა, ე. ი. განუზომელი სისწრაფის ტემპი.

მაშასადამე, სოფელ არშას კლდის აფეთქება ბუმბერაზ აფეთქების მეორე შემთხვევაა, მაგრამ არა შემთხვევით გარემოებით გამოწვეული.

ჟიგულისა და არშას აფეთქება პირველი გაკვეთილია, რომელმაც ჩვენს მუშებს, ჩვენს ინჟინრებს, სპეციალისტთა ახალ კადრებს უნდა შესძინოს პრაქტიკული გამოცდილება, გაწვრთნა და დახელოვნება.

ამ გაკვეთილის მისაღებად არ არის საჭირო ამერიკაში გამგზავრება. აფეთქება აგერ, თბილისის ყურის ძირში — ყაზბეგს ახლო ხდება. მართალია, ეხლა ამ ყურის ძირს ხელით ველარ მიწვდები, — საქართველოს სამხედრო გზატკეცილი ჯვარის გადასავალთან შეკრულია თოვლის ზვინებით, მაგრამ ეს არც იმდენად გადაულახავი დაბრკოლებაა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება, კავკავის შემოვლით მივადგეთ სოფელ არშას.

უდავოა, რომ ეს მოგზაურობა რამოდენიმე საათით მეტ დროს და რამოდენიმე მანეთით მეტ ფულს შეიწირავს, მაგრამ რა არის ეს მსხვერპლი იმ პრაქტიკულ სარგებლობასთან შედარებით, რომელიც ამ აფეთქებაზე დასწრება მისცემს სამთომადნო დარგში მომუშავე სპეციალისტებს, ქიმიკოსებს, სტუდენტებს.

— გავშინჯოთ ჩვენი მატარებლის ვაგონები, — რამდენ კაცს გზავნიან ჩვენი ტრესტები და სამთომადნო ქიმიური ინსტიტუტები?

— ტყვილად თავს შეიწუხებთ. — მითხრა ერთმა ინჟინერთაგანმა, — რასაც ამ ორ კუპეში ხედავ — ესაა ვართ.

იმ ორ კუპეში კი მათი რიცხვი ხუთს არ აღემატებოდა, მათ შორის მხოლოდ ერთი იყო მივლინებული, დანარჩენი ოთხი და სამთო ინსტიტუტის ერთი სტუდენტიც თავისი ხარჯით მოემგზავრებოდნენ.

რასაკვირველია, მხოლოდ მცირეოდენი თანხა, უმნიშვნელო ხარჯი და პატარა თაოსნობა იყო საჭირო სტუდენტთა ექსკურსიის მოსაწყობათ. მაგრამ საქმის ინტერესს სძლია ინერტიულობამ, მოუქნელობამ, მოუსაზრებლობამ, უძრაობამ, გაუბედაობამ, ერთი სიტყვით ყველა იმ ნიშნების ნაკრებმა, რომლებიც ბიუროკრატიზმს ახასიათებს. ეხლა კიდევ უფრო უდავო ჭეშმარიტებათ ხდება ჩვენთვის პარტიის დირექტივა, რომლის შესახებ ყოველდღე გაჰყვირის ჩვენი პრესა და რომლის თანახმად, უწინარეს ყოვლისა, უნდა აფეთქდეს ბოლშევიკური ტემპების შემაფერხებელი ბიუროკრატიზმი.

მართალია, ეს სამშენებლო მასალას არ მოგვცემს, მაგრამ გვიხსნის იმ დაბრკოლებებისაგან, რომლებიც ჩვენს უნარს ასუსტებს სამეურნეო-კულტურულ მშენებლობის მრავალ დარგში. კერძოდ, კადრების მომზადების საქმეშიც.

⁂

— ერთი ჭირი მარგებელია, — გავიფიქრე, როცა კავკავში ჩავედით, რადგან ჩვენი გასვლა ყაზბეგისაკენ შეფერხდებოდა, რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყო სტუდენტობის მთელი ლაშქარი. მანქანა, რომელსაც არშას მივყავართ, ძლივს იტევს თბილისიდან და კავშირის სხვა ქალაქებიდან გამოგზავნილ წარმომადგენლებს.

შესანიშნავი მზიანი დღეა, ნამდვილი გაზაფხულის დარია. ალბად, ასეთ თბილ ამინდში შეიძლება კავკავის ქუჩებზე უპალტოოდ გასეირნება.

მე, რომლის ფიქრებიც ამ ორ დღეს მხოლოდ მოსალოდნელი აფეთქების გარშემო ტრიალებს, თავში უცნაური ფანტასტიური აზრი მომდის: ჩვენდა შეუმჩნევლად ხომ არ მომხდარა ტიტანიური აფეთქება, გეოგრაფიულ სიგრძე-სიგანის ტექტონიური გადალაგება, რომელსაც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ადგილმდებარეობის გადანაცვლება გამოუწვევია; ხომ არ შენაცვლებულა კავკავისა და თბილისის გეოგრაფიული პარალელები? მაშ, რით ავხსნათ ბუნების ასეთი პარადოქსი: იქ — თბილისში ყინვებია, აქ კი კავკავში — 7-8 გრადუსი სითბოა, მზიანი დარია. მხოლოდ სამხრეთისაკენ, კავკასიონის ქედის წინ გაშლილ ველებზე, საითკენაც ჩვენი ავტო მიჰქრის, სდგას ნისლი, მუქი ბურუსი. იგი თხელ ლეჩაქად შემოვლებია მთაგრეხილებს, ბურუსში მთები ლურჯ, მოშავო ლანდებათ სჩანან, გვანან თხელი კარდონის დეკორაციებს, რომელსაც სადაცაა, ჩაუქროლებს ჩვენი ავტო, დაეჯახება, ფეხქვეშ გაიფენს და ზედ გადაირბენს. ანდეზიტის კლდეს, რომელიც ამ დიდი ქედის სულ უმნიშვნელო ქიმს წარმოადგენს, ასაფეთქებლად სჭირია 22 ტონა ამონალი; ეს კარდონის ქედი ლამის ჩვენი მანქანის წერა გახდეს! ასე მგონია.

ნამდვილად, რამდენადაც ჩვენი ავტო წინ მიიწევს, ამ ლანდებს ხორცი ესხმით, ისინი სქელდებიან, მკვრივდებიან, იბერებიან, უზარმაზარი კლდის მასივებათ გვეგებებიან, მრისხანეთ თავზე დაგვცქერენ, გზას გვილობავენ, — „არ გაგიშვებთო“ — გვემუქრებიან. ჩვენი ავტო შეუპოვარი მიცოცავს თაგვივით ხეობის ვიწრო ყელში.

— სად არის გიჟი თერგი?

იგი ძლივსღა სჩანს, მთის პატარა მდინარედ გადაქცეულა, საცოდავად მიბუტბუტებს, თერგი აღარ რბის, აღარ ღრიალებს, მთები ბანს ეუბნებიან, მაგრამ არა მას, არამედ ჩვენი მანქანის გუგუნს.

ერთხელ ჩვენც მოგვცენ ბანი ამ მთებმა. საუკუნოების განმავლობაში განუწყვეტელი ანსამბლი თერგთან მოსაწყენია, სხვა რომ არ იყოს რა. თერგსაც ხომ უნდა მოსვენება? ისარგებლოს სამი თვის შესვენებით, ვიდრე მთის კალთებზე თოვლის დნობა დაიწყებოდეს.

გავცდით დარიალს. შევიჭერით ხევში, მივუახლოვდით სოფელ გველეთს. თავს წამოგვადგა მყინვარი — თავიდან ბოლომდე გათეთრებული, მხოლოდ მის აღმოსავლეთ მკერდზე დაწოლილ გველეშაპს არ მიეკარება თოვლის ზეწარი. იგი ისევ შავად იყურება.

თითქოს მყინვარი აღარ არის წინანდებურად ზვიადი, მრისხანე, მიუკარებელი; თითქოს იგი დადაბლებულა, დაუკარგავს ბუმბერაზობა. ჩემს თანამგზავრს ინჟ. ს. ჯაოშვილს ვერ წარმოუდგენია, რომ მასზე ასვლას ორი დღის ჭაპანწყვეტა სჭირია. მას ჰგონია, რომ მყინვარ წვერზე არბენა ერთი საათის საქმეა. ეს მოჩვენებაა, ილიუზია. რასაკვირველია, მყინვარის წვერი კი არ დაპატარავებულა, რამოდენიმე მეტრით კიდეც ამაღლებულა (ახალი თოვლით). მაგრამ, თუ იგი მედიდურად აღარ გამოიყურება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი უმცროსი თანამოძმენი მთელი თავისი ტანოვანობით ჩვენს ცხვირწინ არიან ატუზული, მყინვარი კი რამოდენიმე კილომეტრით არის დაშორებული; მეორე, იმიტომ, რომ შენელებულა კონტრასტი მყინვარსა და მის გარშემო დარაზმულ მთებს შორის. ზაფხულობით მწვანე და მუქ ტანსაცმელში მორთულ მთების მაყრიონში მყინვარ წვერი სდგას, როგორც თეთრი თმით შევერცხლილი გოლიათი. ეხლა ზამთარში, როცა ყველა ქედები თეთრად არიან შესუდრულნი, სითეთრე არ წარმოადგენს გამონაკლისს.

რატომღაც მყინვარს, ამ მართლაც მთების გოლიათს, ადგილობრივი მცხოვრებლები ხევის პატარძალს ეძახიან. ვერ გამიგია რად დაურქმევიათ მისთვის ეს სახელი? რა მსგავსება აქვს მყინვარწვერის მრისხანებას, გულზვიადობას, მედიდურობას, პატარძალის სინაზეს, მორცხვობასა და მოკრძალებასთან?

ვერ ამიხსნია, ვერ გამიგია ეს სახელი, ეს კი გამიგია და კარგადაც მესმის, თუ რად უყვართ მოხევეებს თავისი პატარძალი. იყო დრო, — მოხევეებს ეშინოდათ მყინვარწვერის ახლოს ვერ ეკარებოდნენ, ფეხს ვერ აბიჯებდნენ მის ფარგლებში (თოვლიან ზოლში), ძრწოდნენ მის ყოველ მოძრაობაზე, თავზარსა სცემდა მისი მკერდებიდან მოხსნილი თოვლის, მიწისა და კლდის ზვავები, იყო დრო, — მოხევეებს მტკიცედ სწამდათ, რომ მყინვარწვერი ადამიანისათვის ფეხშეუდგამია. უცხოელი ალპინისტების გახშირებულმა ლაშქრობამ, მათ მიერ მრისხანე მწვერვალის არა ერთხელ დაპყრობამ გაფანტა ლეგენდა მყინვარ წვერის მიუკარებლობის შესახებ. მოხევეების მოკრძალება და შიში პატარძლის წინაშე მისდამი ტრფობამ შესცვალა. მაგრამ არც მთლად პლატონური და უანგაროა ეს სიყვარული. მის ფლატეებზე და ციცაბოებზე მარჯვეთ მოსიარულე, მუხლ მაგარმა მოხევეებმა ხელი მიჰყვეს გამყოლობას, მეგზაურობას.

მყინვარწვერის სილამაზე და მიმზიდველობა მათთვის შემოსავლის წყაროდ გადაიქცა.

ეხლა, როცა ანდეზიტის წარმოების სახით ხევის რაიონის მცხოვრებლებს უფრო მუდმივი და საიმედო საქმე გაუჩინდათ. მოხევეებმა ზურგი უბრუნეს, მასიურად უღალატეს თავის პატარძალს: გამყოლობისთვის აღარ სცალიათ.

ანდეზიტმა მიიზიდა მთელი ხევის რაიონის მოზრდილი და მოზარდი მუშა-ხელი. ყველა შრომის უნარის მქონე წარმოებაში ჩაება. საექსკურსიო ბაზაზე თავი იჩინა გამყოლების კრიზისმა. ფასების გაორკეცებით ხევის პატარძალმა ხელი მიჰყო მუშა-ხელის გადაბირებას. ანდეზიტზე გახშირდა დეზერტირობა, იმატა სამუშაო დღეებისა და საათების გაცდენამ.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ანდეზიტზე შრომის დისციპლინის დაცემის მიზეზი ზაფხულის პერიოდში მარტო მყინვარწვერი არ ყოფილა. თიბვამ, მკამ, ცხვარში სიარულმა დროებით მრავალი მუშა-ხელი მოწყვიტა ანდეზიტს. საწარმოო-საფინანსო გეგმა საფრთხის წინაშე დადგა. უდავოა, ამ გეგმის ერთ-ერთი ჩამშლელი, მაშასადამე, ხევის რაიონის სამრეწველო განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ბრძანდება მყინვარი, რომელიც „მტრობს“ ანდეზიტის წარმოებას, ხევის რაიონს, მთელი კავშირის სამრეწველო მშენებლობას, რომელიც მოუთმენლად ელის შეკვეთების უნაკლოდ და თავის დროზე შესრულებას.

⁂

მყინვარწვერის ის ქვედა კალთები, რომლის ძირშიც გაშენებული არიან სოფლები გერგეტი, საკიცეტი, გაიშოტენი, არშა ანდეზიტის კლდეებს წარმოადგენენ. ჯერ-ჯერობით მუშაობა მიმდინარეობს არშასა და საკიცეტის კარიერებზე.

მთავარია არშა, რომელიც მდებარეობს თერგის მარცხენა ნაპირზე სიონსა და ყაზბეგს შუა. არშას პირდაპირ თერგს გამოღმა სამხედრო გზატკეცილის პირად მოვაკებული მინდორი ანდეზიტის სამუშაოების საკონცენტრაციო უბანია.

მოულოდნელი, იშვიათი მეტამორფოზა! ერთი წლის წინად იგი მგლების საკონცენტრაციო მინდორი იყო. ზამთრის ღამეში აქ ნადირის შიშით გამოსვლას ვერ ბედავდენ. ეხლა ამ მინდორზე დადგმულია ანდეზიტის სათლელი ფარდულები სამჭედლო და სადურგლო სახელოსნოები, ოთხი დიდი მუშათა სახლი, აგებულია ავტოგარაჟი 45 მანქანისათვის, თავლები და სხვ. შენდება ორი დიდი ქვითკირის მუშათა სახლი, კანტორის, სასადილოს, აბანოს, სამკურნალო პუნქტის, კლუბის შენობა. ამ კვირაში დაიწყება 80 სტანდარტული სახლის აგება. გამოგზავნილი მასალის ნაწილი უკვე მიღებულია. სახლები წელსვე უზრუნველყოფენ ბინებით 4 ათასამდე მუშას. ეს არის უახლოესი სამი თვის მშენებლობის გეგმა. მიმდინარე წლის გეგმა ითვალისწინებს გადააქციოს ეს ადგილი ხევის რაიონის სამთომადნო ცენტრად, კეთილმოწყობილ დაგეგმილ ქალაქად, მცხოვრებთა რიცხვი 14—18 ათასს მიაღწევს.

მაგრამ რა იქნება ახლო მომავალში, ამაზე შემდეგ, ახლა კი განვაგრძოთ საუბარი იმაზე, თუ რას წარმოადგენს არშა ამჟამად.

დღეს აქ მძლავრად ჩქეფს ხუთწლედის ტემპი, პულსი აწეულია, ნერვები ძალზე დაჭიმული, 1500 კაცი ფეხზე დგას, სამზარი განწყობილებაა. მთელი ხევის ვაჟკაცობა აქ არის თავმოყრილი. იანვრის 20-21-ს უნდა ააფეთქონ კლდე, რომელიც ზევიდან გადმოჰყურებს ძირში გაშენებულ სოფელს. საჩქაროდ დგება ბრიგადები მუშებისა, გლეხებისა, კომკავშირლებისაგან. ბრიგადები ეწყობა გვირაბებში ასაფეთქებელი მასალის შესატანად და შემდეგ მათ ამოსავსებათ.

ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს ორი გვირაბი, რომლის გათხრა დაუწყიათ აგვისტოში და დაუმთავრებიათ ორი დღის წინად.

ავიდეთ პირველად ჩრდილო გვირაბის დასათვალიერებლად. იგი შეყვანილია კლდეში, რომლის სიგრძე 200 მეტრს უდრის, სიმაღლე — 100-ს, სისქე გამოურკვეველია.

გვირაბის წინ დაგროვილია ამონალით სავსე თუნუქის ცილინდრები. გუშაგი გვაფრთხილებს, — გავიხადოთ პალტოები, არ მოვსწიოთ პაპიროსი, არ შევიტანოთ ასანთი. ელექტროფარნებით მივიწევთ კლდის სიღრმეში. თავი ეხება ჭერს, ფეხს ელობება აქა-იქ [illegible] გადებული ხის ძელები. გვირაბში ყოველი მხრიდან ჟონავენ წყლის წვეთები. დაწვეთება ხელზე ან სახეზე სიამოვნებას გვაგრძნობინებს, რადგან გვირაბში იმდენად ცხელა, რომ ოფლი მოგვდის, გარეთ კი ამ დროს ჰყინავს. ეხლა უფრო გასაგებია, რად ეტანებოდენ ჩვენი შორეული ველური წინაპრები კლდეებში ღრმად შეჭრილ მღვიმეებს. მაგრამ როგორღა სუნთქავდენ? ლამის სუნთქვა შეგვეხუთოს. ჰაერი არ კმარობს — ასე იტყვის მოხევე.

გვირაბი ტეხილი ხაზით მიიმართება. ჯერ დასავლეთით, მერე ერთბაშად სწორი კუთხით უხვევს სამხრეთისაკენ და შემდეგ ისევ წინანდელი მიმართულებით. ტეხილი გვირაბის გაყვანა ნაკარნახევია იმ მოსაზრებით, რომ კუთხეებმა აფეთქების დროს შეაჩერონ გაზები, რომლებიც აუცილებლად მოაწვებიან გვირაბს, შეეცდებიან მის გაგლეჯას და გარეთ გამოვარდნას.

გვირაბის ბოლო გაგანიერებულია. იქ სდგას გაფისული ყუთი ისეთი ტევადობით, რომ შიგ მოთავსდეს 11 ტონა ამონალი. ყუთის ავსება უკვე დაუწყიათ, იგი ღიაა, ამიტომ გვირაბში სდგას გოგირდის მსგავსი მყრალი სუნი. გვირაბში გაყვანილია ელდენის გამტარებელი ორი წყვილი მავთული. ამ მავთულებმა უნდა გაუჩინონ ცეცხლი ყუთში ჩალაგებულ ვაზნებს, ვაზნები კი დეტონაციით ააფეთქებენ ამონალს. ამ გვირაბის მსგავსად არის გაყვანილი და მოწყობილი სამხრეთის გვირაბიც. განსხვავება ის არის, რომ იგი სრულიად უნოტიო, მშრალია და რამოდენიმე მეტრით ნაკლებია ჩრდილოეთისაზე.

⁂

სპეციალისტებისათვის დიდ ინტერესს შეიცავდა სახელდახელო დადგმულ ელსადგურის დათვალიერებაც. ჩვენ ისიც ვნახეთ, იგი კლდის ზევით, ზეგან მინდორზეა დადგმული. ვიდრე სადგურს მივაღწევდით, ჩვენ სამხრეთის მხრიდან შემოვუარეთ კლდეს და შემდეგ დასავლეთისაკენ მიმავალ ბილიკით ავუყევით აღმართს. ბილიკმა აგვიყვანა ზეგანზე, ახალი თოვლით დაფარულ [illegible], გამოჩნდა ქოხი, ხოლო ქოხს იქით სოფელი თოთი. ქოხიდან მოდიან მეტრნახევრიან ჯოხებზე გაჭიმული მავთულები, რომელთაგან ორი წყვილი კლდის შვეულ სიბრტყით ეშვება სამხრეთ გვირაბში, ხოლო მეორე წყვილი ჩრდილო გვირაბში. ქოხი [illegible]. იგი ძლივს გვიტევს შიგ ჩასულ ხუთ კაცს. მაგიდაზე სდგას ხელით ასამუშავებელი ელექტრომანქანა (აკუმულიატორით). სამხრეთისაკენ ქოხს აქვს პატარა სარკმელი, რომელიც გასცქერის სამხედრო გზატკეცილს, თვით ასაფეთქებელი კლდე ქოხიდან არ სჩანს, რადგან კლდეს ეფარება მის ზევით ამობურცული ზეგანი.

მაგიდაზე დაგვხდა აფეთქების ტეხნიკური ორგანიზაციის აღწერილობა და სქემები. ინჟენრებიც ხარბად დაეწაფენ მათ.

ისინი იშვიათი გულის ყურით ეკიდებიან ამ ახალ საქმეს. იკვლევენ, ამოწმებენ, სინჯავენ ნახაზებს, ფორმულებს და გამოაქვთ თავიანთი დასკვნები. ზოგს ეჭვი შეაქვს [illegible] სისწორეში, მაგრამ ერიდებათ ამ საჯაროთ გამოთქმას, რადგან ამან შეიძლება გააძლიეროს მომუშავე ტეხნიკური პერსონალის ნერვიულობა, რაც, რასაკვირველია, მათ ათ აკლიათ.

⁂

საბჭოთა კავშირის ტეხნიკური ინტელიგენცია — რომ დიდად არის დაინტერესებული ამ აფეთქებით, ეს ნათლად სჩანს იმ ფაქტიდან, რომ მთავარი ქალაქის ქიმიურ, სამეტალურგიო წარმოებებს, სამხედრო ორგანიზაციებს და ინსტიტუტებს გამოგზავნილი ყავთ თავიანთი წარმომადგენლები.

ჩამოსულთა შორის ყურადღებას იპყრობს ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი (სულ 40 კაცი), რომელთაც თავისი ბინა სამეცადინო კაბინეტად გადაუქცევიათ. არ შეიძლება სიხარულმა და აღტაცებამ არ დაგიმორჩილოს, როცა ამ ახალგაზრდებში, ამ უულვაშო ენტუზიასტებში [illegible].

ისინი ხომ ყველანი დაზგის ახალგაზრდა მუშები არიან, რომლებიც დღეს ახალგაზრდა კბილებით ღრღნიან მეცნიერების სალ კლდეს, რომ ხვალ ააფეთქონ ნამდვილი კლდეები და პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ერთად ტეხნიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ სამეურნეო მშენებლობას.

განა შეიძლება გულგრილად შეხედო, როცა გუშინდელი მუშა თავისუფლად ერკვევა რთულ ქიმიურ ფორმულებში და მეცნიერული სიზუსტით ანგარიშობს ასაფეთქებელი კლდის წინააღმდეგობის უნარს, გამოთვლის ამფეთქებელი ნივთიერების სიმკვრივეს, ფორმულების მიხედვით ითვალისწინებს აფეთქების დროს მისაღებ გაზების მოცულობას, აფეთქების ტემპერატურას, დეტონაციის სიჩქარეს, ქიმიური ენერგიის მექანიკურ ენერგიათ გადაქცევას და ყოველივე ამის მიხედვით გამოაქვს დასკვნა, თუ რა ეფექტი უნდა მოჰყვეს მოსალოდნელ აფეთქებას.

ვუმზერ, ვაკვირდები ამ ახალგაზრდებს და ვფიქრობ — რა დიდი ეფექტით, რა გრანდიოზული შედეგითაც უნდა დამთავრდეს ეს აფეთქება, რაა იგი იმ ტიტანიურ აფეთქებასთან, იმ სოციალურ ძვრასთან შედარებით, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედზე საზოგადოებრივი ცხოვრება ისე გარდაქმნა, სოციალური ფენები ისე გაალაგა, რომ ამ მუშებისათვის სულ მოკლე ხანში მისაწვდომი გახადა თანამედროვე მეცნიერების და ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები.

⁂

იანვრის 20, საღამოს დამთავრდა გვირაბების ღვიმეში ჩადგმულ ყუთების ამოვსება ამონალით. ალბად აჩქარებულ მუშაობას და სისწრაფეს უნდა მივაწეროთ, რომ ამონალის გვირაბში შეტანის დროს დაცული არ ყოფილა უშიშროების ტეხნიკა. გვირაბის ისედაც შეხუთული ჰაერი, გაიჟღენთა ამონალის მტვერით, მუშების ხელ-პირი, ტანსაცმელი ყვითლად შეიღება.

ელექტრო შუქურების ნაკლებობის გამო მუშებს თურმე გვირაბის გასანათებლად შეჰქონდათ სანთლის ფარნები, ეს მაშინ, როცა ერთი ნაპერწკალიც საკმაო იყო გამანადგურებელი კატასტროფის დასანთებათ.

სამაგიეროთ სამუშაოების ორგანიზატორებმა გადაჭარბებული სიფრთხილე გამოიჩინეს მავთულში ელდენის გამტარებლობის გასინჯვის დროს.

გამტარებლობის შემოწმება დაიწყო მაშინვე, როგორც კი დამთავრდა ამონალის შეტანა გვირაბის ღვიმეში. უნდა შეემოწმებიათ: ატარებს თუ არა ელდენს გვირაბში გაყვანილი მავთული, მოქმედებს თუ არა ელდენი ფისტონებზე. ფისტონის აფეთქებისთვის საკმაო იყო ერთი ნახევარი ვოლტი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ უმნიშვნელო ძალას არ შეეძლო გამოეწვია მთლიანი აფეთქება (რასაც 50 ვოლტი სჭირდება), ერთი კილომეტრის რადიუსზე მყოფი მთელი სოფლად(?) მოსახლეობა აფეთქების გავრცელების ზონის საზღვარს იქით გადაიყვანეს. გაუხიზნავი არ დაუტოვებიათ არც ერთი მოძრავი არსება, არც ერთი ცხოველი.

ორ საათს გაგრძელდა გამოცდა და ჩვენი წამება თოვლიან მინდორზე, ბნელ სუსხიან ღამეში. მაგრამ გულისწყრომა მალე დაცხრა, რაკი შევიტყვეთ, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ შრომამ ამაოდ არ ჩაუვლია.

მდგომარეობა დაყოვნებას ვერ ითმენდა, იმ ღამესვე უნდა დაწყებულიყო და დაიწყო კიდეც გვირაბების დატენვა ანუ ამოვსება მიწით.

რა იყო ამ დაჩქარების მიზეზი?

თუ ამონალის ჩადებამდე მუშაობის ტემპის აჩქარება ანუ შენელება დამოკიდებული იყო აფეთქების ორგანიზატორთა ნებასურვილზე, ამონალის ჩადების შემდეგ ტემპების განმსაზღვრელი ამონალი შეიქნა.

საქმე ის არის რომ ამონალს, რომელიც აღჭურვილია ამფეთქებლობის დიდი უნარით და აფეთქების დროს იძლევა გაზების დიდ მოცულობას, ახლავს ერთი დიდი ნაკლიც, სახელდობრ ის, რომ ამონალი მალე ნოტიოვდება, მაშასადამე, კარგავს აფეთქების ძალას.

თუ გაიხსენებთ ჩრდილო გვირაბში არსებულ საფრთხეს (ყოველი მხრიდან წყლის წვეთების შეუწყვეტელ დენას) მიხვდებით, მუშაობის დაჩქარების აუცილებლობას, არაჩვეულებრივი სისწრაფის საჭიროებას.

საჭიროა წარმოუდგენელი სისწრაფე, რათა რამოდენიმე საათში გამოიტენოს ორი გვირაბი, რომელთა გათხრასაც 5 თვე ნახევარი მოუნდნენ. ეს იცის ყველამ მოსულმა და დამხდურმა. ამიტომ ყველა მზად არის მონაწილეობა მიიღოს სასწრაფო მუშაობაში.

ახლო-მახლო სოფლების მოხუცი და ახალგაზრდა პირველ დაძახებისთანავე აქ არიან. უკვე შეგროვილია 800-მდე მუშა ხელი, დგება რაზმები, დამკვრელი ბრიგადები, ცხადდება სოცშეჯიბრება, კომკავშირლები ფიცს სდებენ, რომ პირველობას არავის დაუთმობენ. მათი ხელმძღვანელი ამხ. სიმონიშვილი სარდალივით მოუწოდებს თავის ლაშქარს:

— დღეს გამოჩნდება ვინ არის ერთგული,

ხუთწლედისათვის თავდადებული!

იწყება გაალმასებული მუშაობა, ბრიგადები ბრიგადებს სცვლიან. მთლიანად ჯერ 800 კაცის ერთდროულად მუშაობა შეუძლებელია, რადგან გვირაბების სივიწროვე მოძრაობის გაშლის საშუალებას არ იძლევა.

ეწყობა ბრიგადების ცოცხალი კონვეიერი. ხელიდან ხელში გადადის მიწითა და ფუჭი ქანებით სავსე ტომრები, ტომარს ტომარზე ნთქავს კლდის დაღებული ხახა, მუშაპავს მიწის ბელტებსა და ქვის ნამსხვრევებს დაარ ძლება მისი მუცელი, არაქათი ერთმევა ერთმუშავეთა ერთ ჯგუფს, მეორეს, მესამეს მათ სცვლიან ახალი ახალი კადრები.

თავდაუზოგველი გახელებული მუშაობა, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

განუწყვეტელ მოძრაობაში თენდება კიდეც.

გამძაფრება მატულობს, მოუსვენრობა, მღელვარება, ნერვიულობა, მთელი ძალღონის დაჭიმვა აორკეცებს ტემპს, მაგრამ გვირაბების დატენვა ნაშუადღევის 2 საათისთვის მაინც ვერ თავდება.

ჩვენ მოვასწრებთ, თუ ამონალი მოგვასწრებს დანოტივებას? — ეს აზრი აღელვებს ყველას გამოუკლებლად.

შეჯიბრებაა სისწრაფეში არა მარტო ბრიგადებსა და ბრიგადებს შორის, არამედ ყველა ბრიგადებსა და ამონალს შორის.

გვირაბი ივსება მიწით, მაგრამ, ვინ იცის შეიძლება ამონალიც ივსება წყლით.

პირდაპირ ეკრანისათვის შესაფერი სურათია, სადაც მოქმედების თანდათანობით გამძაფრებას მაყურებელი მაქსიმალური მღელვარებამდე შეუძლია მიიყვანოს.

ეს მომენტი (გაჩანებული მუშაობა) გამოხატავს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას.

ბინდდება, გვირაბები კიდევ არ არის ამოვსებული, მოდიან მოხევე ქალები, ითხოვენ მონაწილეობა მიაღებინონ მუშაობაში. ვაჟები შეურაცყოფილი რჩებიან: მათ ეუკადრისებათ ქალებთან მუშაობა! გულისწყრომა იმდენად დიდია, რომ ლამის თავი მიანებონ სამუშაოს. ვაპატიოთ დროებით მოხევეებს ეს ჩამორჩენილობა, სულ ერთი წელიწადიც არ არის, რაც პროლეტარულ ქვაბში იხარშება მათი გონება, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად არ გადახარშულა, რომ ასე ადვილად შეურიგდნენ ქალების მამაკაცებთან გათანაბრებას.

მუშაობა გრძელდება გაორკეცებული ენერგიით. ბნელდება და თავდება კიდეც სამხრეთ გვირაბის დატენვა. სამხრეთელებს ბუქსირზე აყავთ ჩრდილოელები. გაერთიანებულ ბრიგადებს რამოდენიმე იერიშიც და საღამოს 7 საათისათვის მზად არის ჩრდილო გვირაბიც.

მოხევეებმა თავი ისახელეს, ძნელია გამოარკვევა, თუ ვინ ვის აჯობა, ყველა თავდაუზოგველად საქმიანობდა. გამარჯვებულთა შორის გამარჯვებული მაინც კომკავშირული ბრიგადები აღმოჩნდნენ.

შეუპოვარმა ნებისყოფამ, დაუძლეველმა ენტუზიაზმმა თავისი გაიტანა: ყველაფერი მზათ არის აფეთქებისთვის,

იგი აუცილებლად მოხდება, მაგრამ რა დიდი ეფექტიც უნდა მოგვცეს მან, მაინც რა უმნიშვნელოა იგი იმ ტიტანიურ აფეთქებასთან შედარებით, რომელმაც ეს მასა აამოძრავა, საერთო მისწრაფებით გამსჭვა-

კულტურული მშენებლობის საკითხები

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაში გარდატეხა არ მომხდარა

ბდგილობრივი სამეურნეო, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციები საყოველთაო სწავლებისადმი დაუშვებელ დამოკიდებულებას იჩენენ; კოოპერაციამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო მოწაფეთა ფეხსაცმელებით და ტანსაცმელით მომარაგება; სამეურნეო ორგანოებს არ გაუღიათ საყ. სავ. სწავლებისათვის გათვალისწინებული თანხები.

მწვავედ დავარტყათ საყ.-სავალდებულო სწავლების შეუფასებლობის ცდას

დავრაზმოთ მშრომელი მასები საყ.-სავ. სწავლების გატარების გარშემო

საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლება მთელ რიგ რაიონებში დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ მნიშვნელოვან პოლიტიკური ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეს. კიდევ მეტი: ზოგიერთი ორგანიზაციები ვერ აფასებენ საყ. სავალდებულო სწავლების უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას. ადგილობრივი ორგანიზაციების გულგრილობით და საქმისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულებით საყ. სავ. სწავლების გატარება ზოგიერთ რაიონებში საფრთხის წინაშე დგას. სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით; სასოფლო საბჭოები სრულებით არ ზრუნავენ, რომ აღმოუჩინონ რეალური დახმარება სკოლებს ბინების მხრივ. არის შემთხვევები, როცა უბინაოთ მოწაფეები სკოლის გარეშე არიან დარჩენილი, არ არის მოწესრიგებული სკოლების მომარაგების საქმე სახელმძღვანელოებით. სასწავლო ნივთებით და პროგრამებით. სახელგამი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებას ვერ შეხვდა სათანადოთ მომზადებული. მან ვერ უზრუნველყო სკოლები საჭირო სახელმძღვანელოებით, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა საყ. სავალდებულო სწავლების გატარება.

სახელმძღვანელოების ადგილებზე მიწოდების საქმეში მრავალ ნაკლოვანებებს და დაუშვებელ შემთხვევებს აქვს ადგილი. მაგ. ხევის რაიონის კოოპერაციამ ცეკავშირიდან მიიღო წიგნების საკმაო რაოდენობა, მაგრამ წიგნები იაშიკებში გაუხსნელი აწყვია კოოპერატივის საწყობში, ეს იმიტომ, რომ ადგილობრივ კოოპერაციის გამგეობამ არ იცის, როგორ უნდა გაყიდოს წიგნი, რადგან სათანადო ანგარიში მას არ მიუღია. გარდა ამისა, ვლადიკავკავის მისამართით მიღებულ იქნა ხევის კოოპერაციისათვის წიგნები, მისამართი მეტად გაურკვეველი იყო, ამიტომ დაისვა საკითხი წიგნების საჯაროდ გაყიდვის შესახებ, რადგან არ იცოდენ თუ ვის ეკუთვნოდა ის. სახელმძღვანელოების მოწოდების ასეთი მეთოდი არაფრად არ ვარგა.

ზოგიერთ სკოლებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ პროგრამები, რაც მეტად აბრკოლებს სკოლებში ნორმალურ მეცადინეობას.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების წარმატებით გატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფეთა და მასწავლებელთა მომარაგების საკითხს. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დირექტივას—მასწავლებლების და მოწაფეების მომარაგების, კერძოდ ფეხსაცმელებით და ტანსაცმელებით, შესახებ, —ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციები არ ატარებენ ცხოვრებაში, მათ ვერ შესძლეს მოწაფეების და მასწავლებლების პირველ რიგში ფეხსაცმელებით მომარაგება.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო მითითება მისცა ადგილებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაში გარდატეხის მოსახდენად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები ცეკას დადგენილების შესრულებისათვის. სიღნაღის კოოპერაციამ ვერ შესძლო მოწაფეთა და მასწავლებელთა მომარაგება ფეხსაცმელებით. არ არის მოწესრიგებული სკოლებში ცხელი საუზმის ორგანიზაცია, მასწავლებლები [illegible]იანებით ღებულობენ ხელფასს და სხვ.

ყველგან არ არის სკოლის ბინებად გამოყენებული კულაკებისგან ჩამორთმეული სახლები და სხვა.

ასეთი მდგომარეობა უსათუოდ უნდა შეიცვალოს. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საყ. სავალდებულო სწავლების გატარებას.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია:

> **„ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განმტკიცებისა და შემდგომი ზრდისათვის, სასწრაფოდ მოახდინონ შინაური რესურსების და შესაძლებლობათა მობილიზაცია სასკოლო ბავშვების ტანსაცმელით და ფეხსაცმელით უზრუნველსაყოფად; განავითარონ მასების ინიციატივა კულტურულ მშენებლობაში; ამისათვის ფართოდ გამოიყენონ მასიური მუშაობის ფორმები და მეთოდები, სოც. შეჯიბრება, დამკვრელობა, შეფობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, კულტესტაფეტი და სხვ. თვითეული დეკადის ბოლოს მოისმინონ მოხსენებები საყოველთაო სწავლების მსვლელობის შესახებ და ბოლშევიკურად გამოააშკარავონ მემარჯვენე ოპორტუნიზმის პრაქტიკული გამოხატულების ყველა მატარებლები“.**

პარტიის ცეკას ეს დადგენილება კარგად უნდა ახსოვდეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ შეურყევლად გაატარონ ცხოვრებაში საყ. სავალდებულო სწავლების გატარების ხელის შემშლელები მიუდგომლად გამოვააშკარავოთ პრესის ფურცლებზე, მოვახდინოთ მშრომელ მასების ყურადღების მობილიზაცია და დავრაზმოთ ისინი საყ. სავალდებულო სწავლების წარმატებით ჩატარების გარშემო.

ე—რი.

საყ. სავ. სწავლება ყურადღების ცენტრში

(ქუთაისის რაიონი)

ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბრის თვეში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემოწმებამ გამოააშკარავა, რომ ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები დაუშვებელ უყურადღებობას და გულგრილობას იჩენდენ საყოველთაო - სავალდებულო სწავლების და სკოლების პოლიტექნიზაციის საქმისადმი. თავის კონკრეტულ მითითებებში მუშგლეხინი კატეგორიულად მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოეხდინათ მათ გარდატეხა ამ საქმეში.

მას შემდეგ სამი თვე გავიდა, საკითხავია მოხდა თუ არა გარდატეხა ამ საქმეში? გარდატეხა მოხდა, მაგრამ დღემდე მიღებული შედეგები დამაკმაყოფილებელი მაინც არ არის.

სასკოლო ასაკის, და ასაკ გადაცილებულ ბავშვთა აღრიცხვა ჩატარდა. ამ საქმეში პოლიტგანს და განათლების კავშირს დიდი დახმარება გაუწია კომკავშირმა. ნოემბერ დეკემბერში კომკავშირის ინიციატივით მოეწყო დემონსტრაციები, ჩატარდა კრებები ცალკე კავშირების ხაზით და სხვ.

სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლაში ჩაბმა უზრუნველყოფილია, გახსნილია 4 ახალი ოთხწლედი.

პირველ საფეხურის სკოლებში—ახლად გახსნილ ჯგუფებში ჩაბმულია 1.568 ბავშვი. (8-9-10 წ.) ახლად გახსნილ -მე5 ჯგუფში მიღებულია 710 ბავშვი. მაგრამ არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ასაკ გადაცილებულების (11-15 წლ.) და მოზრდილთა სკოლებში ჩაბმის მხრით. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლებზე (კვახჭირი, მუხიანი, წყალტუბო), სადაც ასაკ გადაცილებულთა და მოზრდილ მსმენელთა სკოლებში გამოუცხადებლობა ამ ბოლო დროს გაიზარდა, ამის მთავარი მიზეზი არის სამეცადინო ბინების უქონლობა. (პატრიკეთი, კვახჭირი), უნდა აღინიშნოს აგრეთვე მუშკოოპის და სავაჭროების მიერ მოწაფეთა არადამაკმაყოფილებელი მომარაგება.

სკოლების პოლიტექნიზაციის მიზნით ყველა სკოლები მიმაგრებული უნდა ყოფილიყო სამეურნეო ორგანიზაციებზე.

სკოლებში პოლიტექნიზაცია დღემდე მოუგვარებელია.

არ არის გატარებული აგრეთვე ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, პირველ საფეხურის სკოლების ყველა მასწავლებლებისათვის, რომელნიც კერძო ბინაზე ცხოვრობენ, კომუნალური დახმარების გაცემის შესახებ. ყველა ეს საკითხები აფერხებენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მსვლელობას.

რიონჰესმა, პირველმა საგრენაჟო სადგურმა, წყალსადენის კომიტეტმა და სხვა საწარმოებმა ამ ბოლო დროს თავის თავზე აიღეს სკოლის შენობის გამონახვა, მოწყობა-შეკეთება, ინვენტარის შეძენა, განათება-გათბობა, ფულადი დახმარება და სხვა.

დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე ინდუსტრიალურ ტექნიკუმის ადგკომმა. სოფ. ბანოჯის ოთხწლედს, ქუთაისის პედაგოგიურ კომბინატის ადგკომმა სოფ. გოდოგანს პარტების და სასწავლო ნივთების გაგზავნით, აგრეთვე სარემონტო ბრიგადის მივლინებით სკოლის შენობის შესაკეთებლად და სხვა.

მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა მობილიზაცია უყოს მთელ ძალებს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოთ იმ დაუდევრობას და ჩამორჩენილობას, რომელსაც დღემდე ადგილი აქვს ზოგიერთ ორგანიზაციებში—საყოველთაო სავალდებულო სწავლების საკითხში.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა: ვ. ლალიაშვილი, დ. დოგბანელი.

რა აფერხებს საყ. სავ. სწავლების გატარებას

(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებისათვის მუშა-[illegible] ლთა უფლებების— მუშებთან გათანასწორებისათვის დღემდე არაფერი არ გაკეთებულა. სიღნაღის რაიკოოპორგანოები სრულებით არ ზრუნავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მომარაგებაზე. მაგ. სიღნაღის სამომხ. კოოპ. გამგეობის თავმჯდომარე გურჯ იარალოვი საქონელს ეზიდება კოოპერატივიდან ფარულად სხვაგან, ამის ფაქტები, არა ერთი და ორია. სიღნაღის რაიონში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებისათვის მუშაობა სუსტად სწარმოებდა.

რაიონში არის გახსნილი 78 ჯგუფი (2898 მოწაფით) 8—11 წლის მოწაფის. განათ. განყოფილებას არა აქვს ცნობა იმის შესახებ თუ რამდენი ბავში არის ჩაბმული (11—15 წლის ასაკის) სკოლებში. ზეპირი ცნობებით სკოლებში გაერთიანებულ ასაკგადაცილებულ ბავშვთა 50—55 პროც. სიღნაღლიში კი 15—20 პროც. არ არის ჩაბმული სკოლებში. რაიონის სკოლები, როგორც ოთხწლედები ისე 7 წლედ. არ არიან უზრუნველყოფილნი ბინებით სასკოლო ინვენტარით, გათბობით (მოწაფეებს ცივ ოთახებში უხდებათ მეცადინეობა—ბოდბის ხევის 4 წ. სკოლა), სახელმძღვანელოებით და სხვა, ჯერაც არ არის მიღებული მესამე და მეოთხე ჯგუფის სახელმძღვანელოები. მასწავლებლებს დროზე არ ეძლევათ ხელფასი. მაგალითად: ოქტომბრის და ნოემბრის თვეების ხელფასი მასწავლებლებმა 15 იანვარს მიიღეს.

საკმარისი ყურადღება არ ექცევა სკოლების პოლიტექნიზაციას. სკოლები ჯერ კიდევ არ არიან მიმაგრებულნი კოლმეურნეობებზე და არ აქვთ გამოყოფილი მიწის ნაკვეთები; თუ ავიღებთ ლიკსკოლებს, უნდა ითქვას, რომ არც ამ დარგში არის რამე გაკეთებული, ჯერაც არ არის გახსნილი ლიკსკოლები, თვით სიღნაღში არის რაიონის საცდელი—სანიმუშო 4 წლედი, რომელსაც არა აქვს ბინა, დროებით მოთავსებულია სიღნაღის პედტექნიკუმის შენობებში.

საერთოდ შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ სიღნაღის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმეს ჩაშლა მოელის, თუ დროზე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ი. ელ—ელი.

მოწაფეთა მომარაგება მოუგვარებელია

(სოფ. წყნეთი)

საყ. სავალდებულო სწავლება წყნეთის საბჭოში შემავალ სოფლებში სათანადოთ ვერ არის გაშლილი; სავალდებულო სწავლებაში მოზრდილები არ არის ასი პროცენტით ჩაბმული; სუსტია აგრეთვე ქალების მიზიდვა. ამჟამად გახსნილია ხუთი მოზრდილთა სკოლა, აქედან ერთი ასაკ გადაცილებულების; სკოლებში მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. მოსწავლეები დაკმაყოფილებულნი ყოველგვარ სასწავლო ნივთებით, მომარაგების საქმე მოისუსტებს, როგორც ტანისამოსის და ფეხსაცმლების, ისე სურსათ - სანოვაგის მხრივ.

წყნეთის სასოფლო საბჭოში არის სულ 12 მასწავლებელი. აქედან წყნეთში 8 მასწავლებელია. მასწავლებლებმა თავი დამკვრელად გამოაცხადეს წერა - კითხვის უცოდინარობის მოსპობის და სხვა კამპანიების გატარებაში. ღარიბთა ფონდის გაძლიერების მიზნით, მასწავლებლობას განზრახული აქვს რამდენიმე ფასიანი საღამოს ჩატარება.

გარდა ამისა, საჭიროა წყნეთში კოლმეურნეობის სკოლის გახსნა, ამისათვის გვაქვს შენობა და ბაღი.

სკოლები განიცდიან სათანადო ხელსაწყოების ნაკლებობას, რაც ასუსტებს ბრძოლას სკოლების პოლიტექნიზაციისათვის.

ილია გორდაძე.

მწვავედ დავარტყათ საყ.-სავ. სწავლების შეუფასებლობას

(ხევის რაიონი)

ხევის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას ყველა სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებმა გვერდი აუარეს. ცეკას ბიუროს დადგენილება მხოლოდ პარტრაიკომმა დაამუშავა. საყოველთაო სწავლების სარაიონო შტაბი ქაღალდზე არსებობს, საყოველთაო-სავალდებულო შტაბის თავმჯდომარემ ამხ. ჯარიაშვილმა არ იცის თუ ვინ არიან შტაბის წევრები, არავითარი მუშაობა მას არ ჩაუტარებია. ავალაპარაკოთ ფაქტები:

აღმასკომის პრეზიდიუმზე განათლების განყოფილებამ დასვა საკითხი ს. არხოტის სკოლისათვის ოთახის გამონახვის შესახებ. ეს კი ამხ. ჯარიაშვილის მიერ ხუთჯერ იქნა სხვა სხდომებისათვის გადატანილი და საკითხი ეხლაც უცდის გარჩევას.

აღსაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ჯარიაშვილმა სასკოლო შენობების აგების გეგმა დახია.

კოლმეურნეობის სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლებასთან დაკავშირებით წელს 2 ახალი ჯგუფი გაიხსნა, ჯგუფები ინვენტარით უზრუნველყოფილი არ იყო. სკოლის გამგემ მოითხოვა სკამები, რომელიც აღმასკომს ჰქონდა, გადაეცა სკოლისათვის. აღმასკომის თანამშრომლებმა სკამები სახლებში წაიღეს (ბასილაშვილმა). ეს იმ დროს, როდესაც 40 მოწაფე ფეხზე დამდგარი მუშაობდა სკოლაში. ბასილაშვილი მასწავლებლებს ატყუებს, თუ მასწავლებლობას თავს დაანებებთ 150 მანეთიან ადგილს გიშოვითო. ბასილაშვილი კულაკი ანტისაბჭოთა ელემენტია.

აღმასკომმა აუკრძალა განათლების განყოფილებას ყოველგვარი ცნობების გაცემა, თუ ის პრეზიდიუმმა არ დაამტკიცა. ცნობები და მასალები პრეზიდიუმს უცდის. ცეკას დირექტივა და განათლების კომისრის ბრძანება ოპერატიული ცნობების შესახებ, ასეთ პირობებში არ სრულდება.

სახელმძღვანელოები [illegible] თვეა გამოგზავნილია, ნაწილი წიგნები მიიღო კოოპ. გამგეობამ, რომლის ანგარიში ცეკავშირს ჯერაც არ გამოუგზავნია და ისე წიგნები კოოპერატივმა არ გახსნა. ნაწილი წიგნები ვლადიკავკაზში ეყარა საწყობში და საჯარო ვაჭრობაც კი დაინიშნეთ, რომ ვერ გაიგეს ვისი იყო.

საყოველთაო სწავლებისათვის თანხები იყო გადადებული, მაგრამ არავინ არ იცის, საიდან მიიღება ეს თანხები. სრულიად მოუმარაგებელია მოწაფეობა. ღარიბ მოწაფეებისათვის დახმარება არ სწარმოებს. სკოლებს შეშა არ აქვთ.

ბოლო უნდა მოეღოს ჯარიაშვილის უხეირო მუშაობას. ძირშივე უნდა აღმოიფხვრას პირფარეშული ოპორტუნიზმი, რომელიც აფერხებს საყოველთაო სწავლების გატარებას.

კვ. ფირცხალაიშვილი.

უზრუნველვყოთ მებამბეობის რაიონები საჭირო კადრებით

მებამბეობის რაიონების გამაგრება სპეციალისტებით, პარტიული და კოოპერატიულ-საბჭოთა მუშაკებით ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ითვლება 1931 წელში მებამბეობის განვითარებისათვის მოცემულ დავალების წარმატებით შესრულების საქმეში. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კადრების მხრივ მებამბეობის რაიონებში სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

მებამბეობის რაიონები არაა შევსებული პარტიულ, კოოპერატიულ და საბჭოთა მუშაკებით. სარაიონო ორგანიზაციების მოთხოვნილება მუშაკებზე ძალზე დიდია. ასე მაგალითად, სამუხის რაიონს ესაჭიროება 37 მუშაკი, ბარდინსკის რაიონს—18, ადჟაბედინსკის—17 და სხვ.

უფრო უარეს მდგომარეობაშია აგრონომების და წყალზე მომუშავეთა სპეციალისტების შევსების საქმე. სპეციალისტთა კადრების მომზადებას რესპუბლიკების მიწადმოქმედების კომისარიატები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ.

აზერბეიჯანის მიწადმოქმედების კომისარიატს დღემდე არ მოეპოვება ცნობები სარაიონო მიწადმოქმედების განყოფილებებში სპეციალისტების რაოდენობის და მათი დარგების მიხედვით განაწილების შესახებ.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის ინსტიტუტში სტუდენტთა 53 პროცენტს არამებამბეობის რაიონების მცხოვრებნი შეადგენენ.

უარესი მდგომარეობაა არც ტექნიკუმებსა და ახალგაზრდობის საკოლმეურნეო სკოლებში და მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეშია. აზერბეიჯანში საკოლმეურნეო სკოლები და ტექნიკუმები 2030 კაციდან დაამთავრა მხოლოდ 303 მსმენელმა.

არ არის გეგმიანობა მასიური კვალიფიკაციის მუშაკების მომზადების საქმეში. ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა [illegible] განაცხადა შუა აზიაში სამთვიან კურსებზე 600 გლეხის გაგზავნის შესახებ. ამჟამად ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის მიერ სწარმოებს 960 კაცის მომზადება ნაცვლად გათვალისწინებულ 1500 კაცისა (ადს).

ლა, ენტუზიაზმით აღავსო, რომელმაც ნახევრად პატრიარქალური ხევი ერთი დაკვრით ახალი ცხოვრებისაკენ შემოაბრუნა.

აფეთქება აუცილებლად ამ საღამოს უნდა მოხდეს. ეს სასიხარულოა, მაგრამ ამავე დროს საშინელიც.

ბნელა.

აფეთქება, როგორც იშვიათი სანახაობა, ჩვენთვის დაკარგულია. ჩვენ კიდევ შეურიგდებით ამ დანაკლისს, მაგრამ სახკინმრეწვის ოპერატორები? მათ დანა კბილს არ უხსნის. ერთი კვირა გადააკლეს თავი სამზადისს, არ დარჩენიათ გადაუღებელი სამუშაოებისა და მუშაობის პროცესის არც ერთი დეტალი.

ფინალი, გრანდიოზული ფინალი კი დაიკარგა. ისინი ცრემლ მორეულნი ევედრებიან აფეთქების ორგანიზატორებს გადასდონ დილამდე აფეთქება.

აბა ვინ შეიწყნარებს მათ მუდარას?

ერთი წუთით დაყოვნებაც კი არ შეიძლება.

შტაბიდან მოდის ფიცხელი ბრძანება: დასცალეთ მთელი რაიონი. გასცდით აფეთქების სამოქმედო ზონის ფარგლებს.

ავტო-მანქანები გასახიზნი ხალხით იხუნძებიან.

— ჩააქრეთ სინათლე ყველგან, დაკეტეთ ფანჯრები—მოდის მეორე ბრძანება შტაბიდან.

მივდივართ ქვეითად, აჩქარებული ნაბიჯით, ხანდახან უკან მოვიხედავთ; წყვდიადი. მხოლოდ კლდესთან ობლად ბჟუტავს ორი ფანარი. დუმილი. თოვს. ცრუპენტელის მოსავრელი მყუდროებაა, როგორც ვულკანის ამოხეთქის წინ.

ისმის კივილი, გაბმული მოთქმა. ეს არის ძაღლი, ეს არ არის ადამიანი. ჩანს ძაღლმა არ მიატოვა პატრონის ქოხი, იქნება დაბმულია! პატრონს არ გაახსენდა აშვება. შეიძლება. გაწირა დასაღუპავად.

შევჩერდით გზატკეცილზე. ჩვენსა და კლდის შუა ორი კილომეტრის მანძილი იქნება. პირი კლდისაკენ გვაქვს, მივჩერებივართ კლდესთან მბჟუტავ სინათლეს, სინათლე დაიძრა, ამოძრავდა, ე. ი. კლდეს მოშორდა კაცი, რომელსაც უკანასკნელად მდგომარეობა უნდა შეემოწმებია (რიგზეა თუ არა ყველაფერი?), გაისმა გრიალი ნაღმისა, ეს არის პირველი სიგნალი—იმის ნიშანი, რომ რაზმელებმა დაამთავრეს ახლომახლო სოფლების შემოვლა, გასწმინდეს სოფლები მცხოვრებლებისაგან.

მოუთმენლად ველით მეორე ნაღმის გასროლას. მეორე სიგნალს მოგვცემენ მაშინ, როცა კაცი მოძრავი სინათლით სამშვიდობოზე გავა, როცა იგი მიაღწევს სანაღმე ელსადგურს. მოძრავი სინათლე მოეფარა კლდეს. გულის ხმით ვთვლი მხედველობიდან დაკარგულ კაცის გადადგმულ ნაბიჯებს.

ჰაერი შეარხია ნაღმის მეორე გასროლამ (ე. ი. კაცი მივიდა).

15 წუთის შემდეგ კლდე უნდა აფეთქდეს.

15 საუკუნედ გადაიქცა ეს 15 წუთი, ნერვების დაძაბვა უკიდურეს წერტილს აღწევს, რამდენ ვოლტს უდრის ნეტავი ჩვენი ნერვების ძაბვა?

⁂

დარჩა ერთი წუთი.

— დაკეტეთ პირი, ყურის აპკა არ გაგისკდეთ,—იძლევა ვიღაც რჩევას

ერთი წუთიც და მთელ ამ ხეობას შეაზანზარებს თავზარდამცემი, დამაყრუებელი ხმაური, ამოვარდება ალი, კლდე სივრცეში აყირავდება, წამოვა მაღლა ატყორცნილი ლოდების სეტყვა. ქუხილი შეარყევს მეზობელ კლდოვან მთებს, ამ მთებიდანაც გრიალ-გრიალით ჩამოიშვება მოგლეჯილი ქვების და მიწის ზვავები, ამოვარდება ქარბუქი, ჰაერში დატრიალდება თოვლის, მტვერის, კვამლის და ქვის ნამსხვრევების კორიანტელი.

ერთი წუთიც, და ყალყზე დამდგარი, გაცოფებულ სტიქიის რისხვა შესძრავს ხეობას.

— ყურებს თითი დაუცავით, დააღეთ პირი.—ისევ ბრძანებლობს ვიღაც კეთილისმყოფელი.

მტკიცედ გადავსწყვიტე არც ყური დავიცვა და არც პირი დავაღო.

მაგრამ განცვიფრებისაგან დავაღე ხახა, როცა შემზარავი ხმაურის ნაცვლად შემომესმა მხოლოდ ხუილი შორეული ნგრევისა, ერთ წუთსაც არ გაგრძელებულა ჩამოზვავებული ქვების ხრიალი. ხმაურს ჰაერიც კი არ შეურხევია.

— ნუ თუ ეს არის ყველაფერი? იქნება კლდე არც კი აფეთქებულა?

გავარდა ნაღმი უფრო ძლიერი და ხმიანი, ვიდრე წეღანდელი ლული იყო, ნაღმის გასროლით მოგვცეს სიგნალი, რომ შეგვიძლია უკან დავბრუნდეთ.

სწრაფად შევახტით ავტო-მანქანებს. შემხვედრი ქარი კვამლით, ქვის ნამცეცებით და მტვერით გვივსებდა თვალებს.

ერთ წუთში გავჩნდით კლდის ძირში. სიბნელეა, მაგრამ კარგად ვამჩნევთ ჩამოზვავებულ, ერთი მეორეზე შელაგებულ ვეებერთელა ქვის ზოდებს.

— შედეგი ჩინებულია,—ღიმილით მოგვაგება ეს ამბავი სამუშაოთა მწარმოებელმა ინჟინერმა ზოლოტარიოვმა, მას უკვე მოესწრო ნანგრევების შემოვლა.

ნუთუ?—გავიფიქრე გუნებაში, განა ასეთი უმნიშვნელო გარეგნული ეფექტის შემდეგ, შეიძლება ჩინებული ეფექტის მიღება?

მაგრამ ჩემი ეჭვი გაიფანტა მეორე დილასვე, როცა ვიხილე დიდ-დიდ ზოდებად დაშლილი, პირქვე დამხობილი კლდე. შედეგით კმაყოფილი დარჩნენ ჩამოსული სპეციალისტები. კლდე ჩამოინგრა სწორედ ისე, როგორც აფეთქების პროექტის ავტორები და სამუშაოთა მწარმოებელნი ითვალისწინებდნენ.

კლდეში 22 ტონაზე ნაკლები ამონალი რომ ჩაედვათ, შეიძლება კლდე არ დანგრეულიყო, 22 ტონაზე მეტს კი შეეძლო, კლდე ისე დაენგრია, რომ კლდეს დიდი ზოდების ნაცვლად პატარა ქვები დაეყარა. ეს კი დიდი ზარალი იქნებოდა, რადგან მცირე ზომის ქვები დასამუშავებლად გამოუსადეგარია.

აფეთქების ტექნიკოსებმა გაიმარჯვეს. მათ ბრწყინვალედ ჩაატარეს მეორე გრანდიოზული აფეთქება საბჭოთა კავშირში, ერთი აფეთქებით მათ წარმოებას მისცეს ორი წლისათვის საკმაო დასამუშავებელი მასალა, თითქმის 50 პროცენტით შეამცირეს ანდეზიტის დამუშავების თვითღირებულება და უზრუნველჰყვეს ქიმიურ-სამეტალურგიო ქარხნების მშენებლობის ტემპის დაჩქარება.

— ეფექტი დიდებულია, მაგრამ თუ აფეთქება ამაზე მეტად საშიში არ იყო, რად გადახიზნეს ამდენი ხალხი, მთელი სოფლები?

— იმიტომ, რომ მოსალოდნელი იყო აფეთქებას სულ საწინააღმდეგო შედეგი მოჰყოლოდა, ე. ი. გაზები კლდეს მისწოლოდნენ არა ვერტიკალური, არამედ ჰორიზონტალური მიმართულებით, გამოგლიჯეთ დატეხილი გვირაბები და მართლაც უბედურება დაეტრიალებინათ.

აფეთქებას არავინ დაუზარალებია. ერთი ქოხის კედელიც კი არ გაბზარულა სოფელ არშაში, რომელიც კლდის ძირში მდებარეობს. ლოდების ნიაღვარმა არშას გვერდი აუარა.

ეს არ ესიამოვნათ არშელებს. პირობის ძალით, სოფელი რომ დანგრეულიყო, მათთვის ახალი ქოხები უნდა აეგოთ.

გულდასაწყვეტი არშელებს არაფერი აქვთ. დღეს ისინი უკვე ანდეზიტის საწარმოების მუშები არიან, მუშებისთვის კი იქვე კეთილ-მოწყობილი დაგეგმილი ქალაქი შენდება.

ვ. წულუკიძე.

ყაზბეგი.

აბაშის, სენაკის და ხობის რაიონებში სიმინდის დამზადების ტემპი საგრძნობლად შენელდა

კულაკურ და შეძლებულ ელემენტების მთლიანად გამოაშკარავებით, მათი შესაფერისად დაბეგვრით, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლით, შემხვედრი გეგმების წამოყენებით, ჩამორჩენილ რაიონების საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანით და მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტული დამახინჯებების ძირშივე აღკვეთით—უზრუნველვყოთ სიმინდის დამზადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება

დაუყოვნებლივ მოვახდინოთ გარდატეხა სიმინდის დამზადებაში

სიმინდის დამზადების მიმდინარეობის შესახებ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ცნობები მოწმობენ, რომ უკანასკნელ ხუთდღიურის განმავლობაში დამზადების მიმდინარეობა არ გაუმჯობესებულა. მიმდინარე წლის 25 იანვრისათვის მთელს საქართველოში დამზადებულია —179.448 ცენტნერი სიმინდი,—დამზადების რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულია —57,7 პროცენტით.

უკანასკნელ ხუთდღიურში დამზადების მიმდინარეობა განსაკუთრებით შესუსტდა აბაშის, სენაკის და ხობის რაიონებში; ხოლო საქ. მემინდვრეთა კავშირის ცნობით უკანასკნელ ხუთდღიურში სრულებით შეწყდა სიმინდის დამზადება ხობის და წალენჯიხის რაიონებში.

ამავე დროს არის ისეთი რაიონები, რომელნიც სიმინდის დამზადების გეგმას წარმატებით ანხორციელებენ, ეს რაიონებია: ლანჩხუთი, გორი, ლაგოდეხი, ყვარელი, ჭიათურა და სხვები. ლაგოდეხის და გორის რაიონებს დამზადების გეგმა გადაჭარბებით აქვთ შესრულებული.

იმ რაიონებში, სადაც თავიდანვე დამკვრელი ტემპები აიღეს,—ღარიბი, საშუალო გლეხობა და კოლმეურნეები დარაზმეს კულაკების წინააღმდეგ, მედგარი ბრძოლა აწარმოეს და მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნიზმი ძირშივე აღკვეთეს—სიმინდის დამზადების გეგმა წარმატებით სრულდება. იქ კი, სადაც სიმინდის დამზადებაში პარტიული ხაზი სწორად ვერ გაატარეს და მშრომელი მასები სათანადოდ ვერ დარაზმეს, დამზადების გეგმის შესრულებას გარკვეული საფრთხე მოელის.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონები სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობების გამომჟღავნებას, მათს საკმარისად დაბეგვრას და განსაკუთრებით იმას, რომ კულაკებმა დაუყოვნებლივ შეასრულონ მტკიცე დავალება ზედმეტი სიმინდის ჩაბარების დარგში.

ჩვენი ზუგდიდელი და სამტრედიელი კორესპონდენტების მასალები, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, ადასტურებს იმას, რომ ზოგან კულაკური და შეძლებული მეურნეობანი საკმარისად არ არის გამომჟღავნებული: ზუგდიდის რაიონში ამ უკანასკნელ დღეებში გამოაშკარავებულ იქნა 48 კულაკი და 73 შეძლებული მეურნე, რომელთაც მტკიცე დავალება არ ჰქონდათ მიცემული; სამტრედიის რაიონში, სოფ. ილორში ადგილობრივი კომუჯრედის წევრები და მიმაგრებული ამხანაგები „ამტკიცებდნენ“, რომ მათ კულაკები და შეძლებულები არ ჰყავთ,—სპეციალურ გამოკვლევამ დაადასტურა, რომ სწორედ სოფ. ილორში არის 3 კულაკური და 26 შეძლებული მეურნეობა, რომელთაც სიმინდის დამზადების მტკიცე დავალება უნდა მისცემოდა.

ზუგდიდის და სამტრედიის რაიონები გამონაკლის არ წარმოადგენენ. კულაკები და შეძლებული ელემენტები მთელ რიგ რაიონებში ახერხებენ თავიანთი მეურნეობის ექსპლოატატორული ნიშნების დაფარვას და მტკიცე დავალების მიცემიდან თავის დაძვრენას. კულაკობა ამას ახერხებს იქ, სადაც მახინჯდება პარტიის კლასობრივი ხაზი და პრაქტიკაში ადგილი აქვს მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრას,—სადაც დარაზმული არაა მოჯამაგირეობა, ღარიბობა და სადაც განვითარებული არ არის ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

სიმინდის დამზადების მიმდინარეობას აბრკოლებს „მემარცხენე“ ნახტომებიც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგან ადგილი აქვს დამზადების გეგმის ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობამდე დაყვანის ცდებს: სოფ. კინჩხაში (ხონის რაიონი) მტკიცე დავალება მისცეს ღარიბს და საშუალო გლეხებს; იმავე სოფელში მხოლოდ 8 ფუთი სიმინდი შეაწერეს ცნობილ კულაკს — ივანე კუხალაშვილს, რომელმაც წელს კერძო ბაზარზე გაყიდა 120 ფუთამდე სიმინდი.

სიმინდის დამზადების წარმატებით დამთავრების უზრუნველყოფა მოითხოვს ზემოხსენებულ დამახინჯებების დაუყოვნებლივ აღკვეთას. საჭიროა ამ დამახინჯების მატარებელთა „გამოაშკარავება და მათი უყოყმანოდ გამორიცხვა პარტიის და კომკავშირის რიგებიდან“. (საქ. კ.პ. (ბ) დადგენილებიდან).

ზოგიერთ რაიონებში სას.-სამეურნეო კამპანიისათვის სამზადისის და კოლმეურნეობების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ შეასუსტეს ყურადღება სიმინდის დამზადების კამპანიის ამოცანებისადმი. ზოგან ვერ შესძლეს მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკური კამპანიების ერთმანეთთან დაკავშირება, რაც ძალზე ცუდ გავლენას ახდენს ყველა კამპანიების და განსაკუთრებით, სიმინდის დამზადების კამპანიის წარმატებაზე.

ამ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებასთან ერთად, ყოველმხრივ უნდა გაძლიერდეს მუშაობის სოციალისტური ფორმების გაშლა: დამკვრელობა, სოციალისტური შეჯიბრება, შემხვედრი გეგმების წამოყენება და სხვ.—აი ის მეთოდები, რომელთა მასიურად გაშლაც უდიდეს დახმარებას გაუწევს დამზადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეს.

სიმინდის დამზადების ტემპი აშკარად არადამაკმაყოფილებელია. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება და მთელი ძალების დარაზმვა ამ ჩამორჩენილ ფრონტის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. საჭიროა კულაკთა წინააღმდეგობის მედგარი შეტევით დამსხვრევა და სიმინდის დამზადებაში მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტულ დამახინჯებათა დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია. მხოლოდ ასეთი ღონისძიებების გატარებით შევძლებთ ამ ჩამორჩენილი ფრონტის გამოსწორებას და სიმინდის დამზადების გეგმის მთლიანად შესრულების უზრუნველყოფას.

მ. ე.

გეგმა შესრულებული იქნება უახლოეს დღეებში

მცხეთა, 29 იანვარი. (საკ. კორ.) მცხეთის რაიონში 25 იანვრისათვის დამზადებული იყო—5.580 ფუთი სიმინდი, **გეგმა შესრულებულია 93 პროცენტით.**

დამზადებული სიმინდის რაოდენობა სექტორების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: კოლმეურნეობებიდან მიღებულია 3.664 ფ., კონტრაქტაციით ჯგუფურ განაერთებიდან — 207 ფ., ინდივიდუალურ მეურნეობებიდან — 490 ფუთი; შეძლებულ გლეხურ მეურნეობებიდან — 583 ფუთი, კულაკებისაგან მიღებულია მტკიცე დავალების სახით — 150 ფ., საბჭოთა მეურნეობებმა დამამზ. პუნქტებს ჩააბარეს — 280 ფუთი. ამის გარდა შეგროვილია სესხად გაცემული სიმინდი — 205 ფ. რაოდენობით.

სიმინდის დამზადების გეგმა შესრულებული იქნება უახლოეს დღეებში.

გ. პაპავა.

დამზადება ზუგდიდის რაიონში

ზუგდ. რაიპარტკომმა სიმინდის დამზადების გეგმის შესრულებისათვის 20 იანვრიდან თავი გამოაცხადა დამკვრელად. 20-დან 23 იანვრამდე დამზადებული იყო 2059 ფუთი სიმინდი. **დამატებით აღმოჩენილია 48 კულაკური და 73 შეძლებული მეურნეობა.**

რაიონში სულ დამზადებულია 11985 ფუთი სიმინდი, რაც გეგმის 48 პროცენტს უდრის. სოფელ ოქტომბერში, დამზადებას ხელს უშლის სპეკულიანტები—**ხურცილავა და ქირია**, რომელთა წინააღმდეგაც არაა საკმაო ზომები მიღებული. **კახათში** პარტიიდან გამორიცხეს მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომლებიც გამოვიდნენ სიმინდის დამზადების წინააღმდეგ. ესენი არიან: **ვ. თოდუა და ბელენავა.**

22 იანვარს კულაკები თავს დაესხნენ მოსაკლავად ორულერგეტის საბჭოს თავმჯდომარე—**აბლოთიას**, რომელიც შემთხვევით გადარჩა. კულაკები დაპატიმრებული არიან. გლეხობა მოითხოვს მათ საჯაროდ გასამართლებას.

სიმინდის დამზადების ტემპები ძლიერდება.

ი. იზორია.

სიმინდის დამზადება 25 იანვრისათვის

ცენტნერებში

რაიონები	წლიუ. დამზადება	დამზად. 25 იანვრ.-თვის	გეგმის შესრ. % -ში	დამზ. 20—25 იანვრამდე
ზუგდიდის	40950	19840	48,4	933
ხობის	18840	7947	42,2	—
სენაკის	42590	15218	35,7	918
აბაშის	46680	12370	26,5	935
ლანჩხუთის	16380	14750	90	28
ვანის	9000	4152	46,1	33
ხონის	5733	3777	65,9	103
სამტრედიის	19658	16502	83,9	287
აფხაზეთი	44227	32188	72,8	508
წალენჯიხის	4914	2606	53	—
ჩხოროწყუს	3276	2150	65,6	21
მარტვილის	9009	6754	75	155
ოზურგეთის	7368	6098	82,8	151
ქუთაისის	11466	5062	44,1	215
ჭიათურის	1638	1616	98,7	176
სტალინისის	5733	4628	80,7	294
კასპის	2460	1843	74,9	534
გორის	1638	3224	196,8	—
თელავის	4914	4231	86,1	667
ლაგოდეხის	4914	5107	103,9	387
საგარეჯოს	2460	2489	101,3	—
ყვარელის	3931	3890	99	33
ბათომის	1312	1193	90,9	169
ქობულეთის	1148	950	82,8	—
მცხეთის	982	863	87,9	64
სულ	811230	179448	57,7	6611

ოპორტუნისტები ხელს უშლიან სიმინდის დამზადებას

(სამტრედიის რაიონი)

სამტრედიის რაიონის ზოგიერთ სოფლებში არ არის საკმაოდ გამომჟღავნებული კულაკობა და შეძლებული მეურნეობები. არის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც პარტიისა და კომკავშირის წევრები მფარველობენ კულაკებს და შეძლებულებს. სამტრედიის თემის ილორის უბანში სიმინდის დამზადების კამპანიის გასატარებლად მიმაგრებული იყვნენ ბურკაძე და კვახაძე (ორივე პარტიის წევრია) მათ გეგმა მიიყვანეს ღარიბ და საშუალო გლეხობამდე. მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამო ისინი გაწვეულ იქნენ უკან.

ილორის უბნის პარტიის წევრ ნიკოლეიშვილმა არ მიიღო მონაწილეობა სიმინდის დამზადებაში. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლეიშვილს ჰქონდა 7 ქცევა სიმინდის ნათესი არც ერთი ფუთი სიმინდი არ ჩააბარა კოოპერაციას.

ილორის უბანში მიმაგრებული **ბურკაძე** აცხადებდა, რომ მის უბანში შეძლებული გლეხები არ არიან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ უბანში 26 შეძლებული და 3 კულაკია.

დიდი ჯიხაიშია თემში ადგილი აქვს საშუალო გლეხებისათვის მტკიცე დავალების მიცემას.

აღსანიშნავია ქალების მონაწილეობა ამ ფრიად მნიშვნელოვან კამპანიაში. ყველა სოფლებში მუშაობდა ქალთა ბრიგადები, ქალთა ბრიგადები ერთი მეორეს იწვევდნენ სოც. შეჯიბრებაში და მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს სიმინდის დამზადებაში.

ამავე უბანში პარტიის წევრმა ხუჭუამ ღარიბთა კრებაზე შეიტანა წინადადება, რომ უბანში მყოფი სამი კულაკი ამოეშალათ კულაკობის სიიდან. საჭიროა ზომების მიღება ოპორტუნისტ ხუჭუას ასალაგმავად.

23 იანვრისათვის სამტრედიის რაიონში სიმინდი სულ დამზადებულია 99.005 ფ. (გეგმის 66 პროცენტი) აქედან კოლმეურნეობებში დამზადებულია გეგმის 99 პროც., კულაკებიდან გეგმის 60,4 პროც., შეძლებულებიდან—81,5 პროც., თავისუფალი დამზადებიდან გეგმის—91,2 პროცენტი.

კონტრაქტაციის სახით სიმინდი სრულებით არაა ჩაბარებული. სათესლე სესხი შეგროვილია 2.993 ფუთი, გეგმის 25,1 პროცენტი.

როგორც ვხედავთ დამზადების მთელ რიგ დარგებში გეგმა შეუსრულებელი რჩება, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოსწორებული.

ბრიგადირი.

კოლმეურნეობები მოწინავე რიგებში

(ჭიათურა)

ჭიათურის რაიონში ზოგიერთ კოლმეურნეობებმა დამამზადებელ პუნქტებს სიმინდი და სოია წითელი ქარავნების საშუალებით ჩააბარეს, რომელიც საზეიმო ხასიათს ატარებდა.

არგვეთის, მერევის, ქვაციხის-ქალის სას. საბჭოების კოლმეურნეობებმა 18 იანვარს, ინდივიდუალურ გლეხებთან ერთად, დამამზადებელ პუნქტებს დიდის ზეიმით ჩააბარეს სიმინდი.

კოლმეურნეობებში სიმინდის დამზადების გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, ინდივიდუალურ სექტორში კი სიმინდის და სოიას დამზადების დავალება დღემდე მთლიანად არ არის შესრულებული.

ძ. ცხელიშვილი.

აღვკვეთოთ დაბრკოლებანი რიონჰესის მშენებლობაში

რიონჰესის მშენებლობის ოპერატიული ცნობები

იანვრის მეორე დეკადა

ბეტონის სამუშაოები

1 უბანი. გეგმით მოცემული იყო მეორე დეკადაში 500 კუბომეტრის დამუშავება. შესრულებულია 322.27 კ. მ. ანუ გეგმის 64,45 პროცენტი. მუშა - ხელის რაოდენობა გათვალისწინებულ სამუშაოზე გეგმით იყო 640, ფაქტიურად იმუშავა 418 კაცმა. შრომის ნაყოფიერება შემხვედრი გეგმით უნდა გაზრდილიყო 0,75 პროც., ფაქტიურად გაიზარდა 0,73.

მე-2 უბანი. გეგმით გათვალისწინებულ 633 კ.მ., მაგიერ შესრულდა 570 კ.მ., ანუ გეგმის 90 პროცენტი. მუშა-ხელის რაოდენობა გეგმით იყო 975 კაცი, ფაქტიურად იყო 852 შრ. ნაყოფიერება 121,7.

მე-4 უბანი. გეგმით უნდა სამუშაოების შესრულება, ფაქტიურად მეორე დეკადაში შესრულდა 96,80 კ.მ., ანუ გეგმის 96,8 პროც., მუშა-ხელის რაოდენობა გეგმით გათვალისწინებული იყო 77, ფაქტიურად იყო 81. შრომის ნაყოფიერება გეგმით 1.50, ფაქტიურად მიღებულია 3,12. ანუ შესრულების 208 პროც.

ქვის სამუშაოები

1-ლი უბანი. გეგმით გათვალისწინებული იყო 167 კ.მ. ქვის სამუშაოების შესრულება ფაქტიურად შესრულდა 189,08, ანუ გეგმის 113,11 პროცენტი, მუშა-ხელის რაოდენობა გეგმით იყო 167. ფაქტიურად მუშაობდა 122 კაცი, შრომის ნაყოფიერება შესრულებულია 155 პროცენტით.

მე-2 უბანი. გვირაბებში გეგმით გათვალისწინებული იყო 1066 კ.მ. დამუშავება, ფაქტიურად შესრულდა 1080 კ.მ. გეგმა შესრულდა 101,31 პროცენტით. მუშა-ხელის რაოდენობა გეგმით იყო 1830, ფაქტიურად მუშაობდა 2182, შრომის ნაყოფიერება შესრულდა 88 პროც.

მიწის სამუშაოები

მე-4 უბანი. (ხელით დამუშავება) გეგმით გათვალისწინებული იყო 3867 კუბ. მეტრი. ფაქტიურად შესრულდა 3662 კ.მ., ანუ გეგმის 94,67 პროცენტი. მუშა-ხელის რაოდენობა გეგმით იყო 2275 კაცი, ფაქტიურად იმუშავა 1447 კაცმა. შრომის ნაყოფიერება 1,70, ფაქტიურად ავიდა 2.53, ანუ 148 პროც.

ამრიგად იანვრის მეორე დეკადაში მშენებლობის თითქმის ყველა უბანზე გაჩაღებულია ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად და იმ დანაკლისების შესავსებად, რომელიც ჰქონდა რიონჰესს განსაკუთრებულ კვარტალში და იანვრის პირველ დეკადაში. საერთოდ მშენებლობაზე შრომის ნაყოფიერებამ აიწია 29,4 პროც. სამუშაოების გეგმა ყველა უბანზე იანვრის მეორე დეკადაში შესრულდა 93,55 პროცენტით. **იანვრის მესამე დეკადამ მეტი გარდატეხა უნდა მოგვცეს.**

ვა—ლი.

შრომის დეზერტირები შავ დაფაზე

რიონჰესის 1 უბნიდან ამ რამოდენიმე დღის უკან სამუშაო მიატოვეს და წავიდნენ შემდეგი პირები:— კ. რუსეიშვილი, გიორგი ზაუტაშვილი, მიხ. კაკაბაძე, ბარქაია ლავრ. ზაუტაშვილი ივ. ს. გურაბანიძე მიშ. და კაკაბაძე ბიკენტი. აღნიშნულ პირებს მიღებული ჰქონდათ ვალდებულება რიონჰესში დამთავრებამდე დარჩენის შესახებ. მიუხედავად ამ ვალდებულებისა, მათ მიატოვეს სამუშაო და წავიდნენ ოჩამჩირისკენ ახალი სამუშაოების საძებნელად იმ დროს, როდესაც უბანში მუშახელის სიმცირეს განიცდის, მათ ადგილობრივ ორგანიზაციისათვის არც კი უცნობებიათ სამუშაოდან წასვლა.

რიონჰესის 1 უბნის გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა სამუშაო საჭიროთ სთვლის გაკრულ იქნენ ისინი შავ დაფაზე, როგორც შრომის დეზერტირები.

რიონჰესის 1 უბნ. საგუშაგო
ბოკერია.
დუნდუა.
ბიბილეიშვილი

შეუფერხებლად მივაწოდოთ სათბობი მასალა რიონჰესს

გაზ. „კომუნისტი“-ს მე-13 №-ში (15 იანვარი) მოთავსებული იყო რიონჰესის პარტკომის მდივნის ამხ. გიორგობიანის წერილი სტალინისის რაიკომის მდივნის ამხ. წითლიძის სახელზე სათაურით: „სტალინისის სადგური აფერხებს რიონჰესის მშენებლობას“. წერილში ამხ. გიორგობიანი აღნიშნავს, რომ სტალინისის რკინის გზის სადგურის დაუდევრობით რიონჰესი ყოველდღიურად ვეღარ ღებულობს კუთვნილ ერთ ქვაბ მაზუთს, რაც აფერხებს რიონჰესის მშენებლობას. ამხ. გიორგობიანი სთხოვდა სტალინისის რაიკომის მდივანს ამხ. წითლიძეს მიეღო ზომები სტალინისის სადგურზე რიონჰესის კუთვნილი მაზუთის შეჩერების წინააღმდეგ.

რედაქციამ მიიღო ამხ. წითლიძის პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ სტალინისის სადგურზე ადგილი არ ჰქონია რიონჰესის კუთვნილ მაზუთის შეჩერებას. ამასთან ამხ. წითლიძე წინადადებას იძლევა რიონჰესის კუთვნილ მაზუთის ქვაბი მობმული იქნეს საგზაო მატარებელზე, რომელსაც ნაკლები გაჩერება აქვს სადგურებზე.

„კომუნისტი“-ს რედაქცია შეეკითხა ამიერ - კავკასიის რკინის გზათა უფროსის მოადგილეს ამხ. ვ. ორჯონიკიძეს, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი: საერთოდ ქვაბების გაჩერება სადგურებზე სასტიკად აკრძალულია. გამოყოფილია ხუთეულები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ საგზაო და საბარგო მატარებლების თავის დროზე გაშვებას სადგურებიდან და აწარმოებენ ბრძოლას მატარებლების ხანგრძლივ გაჩერების წინააღმდეგ. ასე, რომ შეუძლებელია მაზუთით დატვირთული, რომელიმე ქვაბის გაჩერება, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ქვაბის გაჩერებისათვის სადგურებზე დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში. რაც შეეხება რიონჰესის მაზუთის ქვაბის საგზაო მატარებელზე მიბმას, ამაზე ამხ. ვ. ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საგზაო მატარებელზე მიბმული იქნეს ასეთი ქვაბი. ადგილებზე გამოყოფილ ხუთეულებს მიცემული აქვთ წინადადება თვალყური ადევნონ მატარებლების მოძრაობას და მიიღონ გადამწყვეტი ზომები ისეთ შემთხვევების წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს საერთოდ გადაზიდვას და ჩვენს მშენებლობას.

ბოროტმოქმედი „ქაქუთია“

რადიო კურსების მოსამზადებელ მიზნით ტფილისში გახსნილია 6 თვიანი კურსები, რომელზედაც სწავლობენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული კომკავშირელები.

კურსის მიზანია, მოკლე ხანში მოამზადოს რადიო ინსტრუქტორები რაიონებში გასაგზავნად.

კურსანტებმა თავი გამოაცხადეს დამკვრელად, ფართოდ გაშალეს სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა... ამოძრავდა მოსწავლე ახალგაზრდობა, მაგრამ მათ ამ გამოცოცხლებულ კურსების გამგე ბაგრატ ქაქუთია, რომელიც მიუხედავად მოსწავლეების რამდენიმეჯერ თხოვნისა არ შეადგინა გაკვეთილების ცხრილი, კურსანტებმა დღემდე არ იციან, თუ რომელი გაკვეთილი აქვთ ამა თუ იმ დღეს და დაბნეულები დადიან სკოლაში. ცხრილის უქონლობის გამო მასწავლებლების უმრავლესობა გაიზარდა გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.

ქაქუთია ფულის დიდი მოყვარულია, ის გარდა ამისა მსახურობს რამდენიმე ადგილას და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ კურსები უყურადღებოდ დარჩენილა. იანვრის პირველ რიცხვებში ქაქუთია ზედი-ზედ 6 დღე არ გამოცხადებულა. ჯამაგირს კი იღებს.

ა.ლ.კ.კ. უჯრედის მითითებებს ის სასაცილოდ იღებს, ის ამბობს, უჯრედის სხდომის ოქმები დამტკიცებული უნდა იქნეს ჩემ მიერო. იყო შემთხვევა, როცა მან ნება არ მისცა უჯრედს მოეწყო კრება.

ქაქუთია კურსების საქმეს ყურადღებას არ აქცევს, ხოლო პირად [illegible] ძალიან ზრუნავს. აი მაგალითად: მან საქ. სახელგამიდან გამოიტანა სხვადასხვა [illegible] საქონელი „კურსანტებისათვის“, ხოლო რაც კარგი იყო თვითონ წინასწარ გადაირჩია. საწყობიდან გამოტანილი 2,000 მან. მეტი ღირებული საქონელი. საქონელი მან წაიღო პირდაპირ თავის ბინაში, რის შემდეგ დაურიგა კურსანტებს შემცირებული ნორმით, სამაგიეროთ თავისი ახლობლების უზრუნველყოფა რამდენიმე [illegible]. ეს ფაქტი, [illegible] კომკავშირელების ხელით შემთხვევით ჩავარდნილი ქაქუთიას რვეული:

„შოთას (ბაგრატ ქაქუთიასშვილია) 3 თბილი საცვალი, 8 წყვ. „ნასკები“, პერანგი 3, ხელთათმანი, ერთი „სერი“ შარვალი.

ანიჩკას 9 წყვილი ჩულქი, 3 ც. ტრიკო, 2 კომბინეზონი, ერთი უბრალო პერანგი და ხალათი. მაჩიტაძეს 8 ც. საცვალი, 4 წყვილი ნასკები, ერთი „სერი“ პერანგი. თამარს ქალის პალტო“. შემდეგ მიდის ვინმე ილუშა, ქაჯური და სხვა.

თავისთავად ქაქუთიას აღებული აქვს იმდენი სამ. საქონელი, რომ 3—4 წელიწადს უზრუნველყოფილია.

ამ უკანონო მოქმედებაზე ქაქუთიას მიუთითეს კრებაზე კურსანტებმა, რის შემდეგ მან ნიშანში ამოიღო ზოგიერთები. კურსანტების კრიტიკით „შეურაცხყოფილი“ გამგემ 22 დეკემბერს მოუარა „ბოხობდრიაში“ და დახია კურსანტებისათვის ფეხსაცმელების მისაღები ორდერი—განკარგულება, რის გამო კურსანტები დღემდე დარჩენილი არიან უფეხსაცმელოდ.

ქაქუთია სხვა ბოროტმოქმედებასაც სჩადის, ის უკანონოდ იღებს ფულს, [illegible] ლექტორს [illegible]. ასეთი ხერხით მან გაფლანგა ასეული მანეთები. კურსები [illegible] ფულად. ის არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს, მის წინააღმდეგ ამხედრებულ კურსანტებს იმით აშინებს, რომ მას დიდი ნდობა აქვს დამსახურებული. ერთხანს თურმე კურსანტებს იმასაც კი უქადდა, რომ მე პარტიის წევრი ვარო. გამოირკვა, რომ ის აპირებს პარტიაში შესვლას, მაგრამ ასეთი ტიპები პარტიაში შესვლას ვერ ეღირსებიან.

ქაქუთიას „მოღვაწეობაში“ არის მრავალი სხვა ბოროტ-მოქმედებანი, მაგრამ აქ მოყვანილი ფაქტებიც საკმარისია.

კურსანტები ერთხმად მოითხოვენ ქაქუთიას გაძევებას და მის პასუხისგებაში მიცემას.

ა. ნადარეიშვილი.

ქრონიკა

ცვალებადელთა შეკრება

ფრუნზეს სახ № ქართ. მსროლ. დივიზიის ცალკე მესანგრე ასეული ამით აცხადებს, რომ 6 თებერვალს 7 საათიდან იწყება 1905, 1906 და 1907 წლებში დაბადებულ ცვალებადელთა მოკლევადიანი შეკრება, ტანსაცმელი ცვალებადელთა შემადგენლობას მიეცემა 4 და 5 თებერვალს 16 საათიდან. დანიშნულ ვადაზე გამოცხადება ყველა ცვალებადელთათვის სავალდებულოა; გამოცხადების ადგილი—მესანგრეთა ყაზარმები.

◆ **მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზ. გამგეობის პლენუმი.** 30 იანვარს, საღ. 7 საათზე პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნება მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების გამგეობის მორიგი პლენუმი.

◆ **საექიმო პერსონალის საყურადღებოთ.** ყველა უმუშევარი ბებია-ქალები, ექიმების თანაშემწენი და მედიცინის დები, რომლებიც აღრიცხული არიან თბილისის კადრების სამმართველოში (შრომის ბირჟა), ვალდებული არიან სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ გამგზავნ ბიუროში.

ვინც აღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდება, მოხსნილი იქნება აღრიცხვიდან.

შემთხვევები

ტრამვაის დაჯახება

გუშინ, დილის 9 საათზე, მუშტაიდიდან პლეხანოვის პროსპექტზე მომავალი ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი **სიმონ ალექსის-ძე ქამხაძე**, სამხედრო სასწავლებლის წინ დაეჯახა წითელარმიელებს და მძიმედ დააშავა სამი წითელარმიელი: **მიხეილ მკირტუმოვი, აპოლონ გაბლიანი და ივანე მაკულიანი.** დაჯახება მოხდა შემდეგ პირობებში: ვატმან ქამხაძეს ვაგონი მოჰქონდა დიდი სისწრაფით. სამხედრო სასწავლებლის ეზოდან ქუჩაში გამოდიოდა წითელარმიელი მემუსიკეები. წითელარმიელებმა ვერ გადაასწრეს ვაგონს, ხოლო ვატმანმა ვაგონი ვეღარ შეიკავა და სამი კაცი გაიტანა, დაშავებული წითელარმიელები მოთავსებული არიან სამხედრო ჰოსპიტალში. ვატმანი მიიმალა. მიღებულია ზომები მის დასაპატიმრებლად.

◆ **დაპატიმრება.** გასული წლის 30 დეკემბერს, გატეხეს ა.-კ. პოლიტ.-სამმართველოს საწყობი, საიდანაც მოიპარეს დიდძალი ნივთები. სისხლის სამართლის მილიციის მიერ შესაფერი ზომების მიღების შემდეგ დაპატიმრებული იქნა ქურდების ერთი ჯგუფი, რომლებიც აღმოჩნდნენ: რუბენ გასპაროვი, გრიგოლ ეღენტი და ვახტანგ ხოსროშვილი.

გავაუმჯობესოთ თორნის პურის ცხობა

თბილისში ქართული პურის ცხობის საქმე ჩაბარებული აქვს მუშკოოპს და ამხ-ბა „რაჭა“-ს. საცხობებში ყოველგვარი საქმე მიმდინარეობს ძველი წესით, რაც სრულებით ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს.

საქმე შემდეგშია:

საცხობებში მოუწესრიგებელია ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი პირობები. სრულიად არ არის დაცული საჭირო სანიტარული პირობები. ადგილი აქვს ბოროტმოქმედებასაც. მაგალითად, კარგი ხარისხის ფქვილის გადამალვა და გაყიდვა კერძო ბაზარზე, რაც იწვევს პურის ხარისხის გაუარესებას, ხშირად ამის გამო კერძო ბაზარზე კარგი პური ცხვება. შეშის დაზოგვის მიზნით თონის გახურება არასაკმაოდ ხდება. პური საკმაოდ გამომცხვარი არ არის. ადგილი აქვს ცხელი პურის გაყიდვას პურის ნამატის დატოვების მიზნით. კოოპერატიული პურის მცხობელთა დიდ ნაწილს სხვის სახელზე აქვთ კერძო პურის საცხობიც.

თორნეებში არიან დაზღვეულნი, კავშირის წევრები, მაგრამ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც დაქირ. მუშებს სრულიად უკანონოდ ითხოვენ. დაცული არ არის შრომა. ცომის მზელავი, თორნეზე მომუშავე და სათი დამხმარე—ამავე დროს პურის გამყიდველიც არის. ფქვილის და შეშის მომტანიც და ძნა. თორნეებში მუშაობა სწარმოებს დღე-ღამე. თავისუფალი დროის უქონლობა იწვევს მცხობელ მუშების პოლიტიკურ-კულტურულ ჩამორჩენას.

მთელი წლის განმავლობაში პურის მცხობელს არ აქვს საშუალება, რომ გარკვეული დღეები დაისვენოს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას.

ეს მდგომარეობა, რასაკვირველია. დიდ გავლენას იქონიებს მომუშავეთა ჯანმრთელობაზე; ამავე დროს ეს ერთ-ერთი მიზეზია პურის ცუდათ ცხობის; არც შეშის მომარაგებაა მოწესრიგებული.

ყველა ამ არანორმალურ მოვლენების შექმნაში დამნაშავეა არა მარტო მეფურნეები, არამედ კოოპერატივის გამგეობებიც. დეფექტები პურის ცხობის საქმეში აღმოჩენილი იქნა კოოპერატივის კონტროლის გარეშე.

მაგალითად, „რაჭა“-ს გამგეობას სრულიად არ ეწყოა კონტროლი. ხშირია ბოროტმოქმედების შემთხვევები, მაგრამ დამნაშავენი ჯერ კიდევ დაუსჯელნი არიან.

მუშკოოპს ჰყავს საცხობებში „რწმუნებული“ ბესო ჩაჩანიძე. ბ. ჩაჩანიძე ნათლად ხედავს უწესობებს საცხობებში, მაგრამ არავითარ ზომებს არ ღებულობს მათ გამოსასწორებლად.

ქართული პურის საცხობების მდგომარეობის სრული გაჯანსაღების მიზნით საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად. ძირითადათ უნდა გაუმჯობესდეს კოოპერაციის გამგეობის ხელმძღვანელობაც პურის საცხობებზე;

ჩვენის აზრით—საჭიროა დაისვას საკითხი—ქართული პურის საცხობების გაერთიანების შესახებ. სანამ ჯერ კიდევ მექანიკური თორნეები არ არის მოწყობილი, სასურველია მოხდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, საცხობების ცენტრალიზაცია და მათი რაციონალური მოწყობა.

გარდა ამისა—დაკვირვით წესით უნდა გაუმჯობესდეს საცხობებში სანიტარული პირობები.

სიტყვა სათანადო ორგანოებს ეკუთვნის.

ვ. მაგრაქველიძე.

სასამართლო

ღირსეული სასჯელი პატიოსან მუშაკის მკვლელს

აგრონომ ვარაჟევს მუხრანის ახლო-მახლო სოფლებში დიდი სიყვარული ჰქონდა მოპოვებული გლეხებში თავისი დაუღალავი და პატიოსანი შრომით.

ის 35 წელიწადი მუშაობდა ალიანის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც თითქმის მის მიერაა შექმნილი. ეს მეურნეობა საუკეთესო მეურნეობად ითვლება. აგრონომი ვარაჟევი მამულში მუშაობის გარდა ეხმარებოდა გლეხობას თავისი გამოცდილებით და ცოდნით. მან მრავალ გლეხებს შეასწავლა ვაზის კულტურული მოვლა და მყნობა. მან ვაზის მყნობა შეასწავლა უღარიბეს თურქ გლეხებსაც, რომელთაც ეხლა მშვენიერი ვენახები აქვთ გაშენებული მისივე დახმარებით.

აი ასეთი მუშაკი და სოფლისათვის გამოსადეგი კაცი მოკლული იქნა გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში.

ალიანის მეურნეობის გამგეთ დანიშვნისთანავე პირველ დღიდანვე თაყნიაშვილმა რატომღაც აითვალისწუნა აგრონომი ეფრემ ვარაჟევი. მათ შორის ხშირად ჰქონდა ადგილი უსიამოვნებას სრულიად წვრილმან მიზეზების გამო.

სამაგიეროდ „გამგემ“ მჭიდრო მეგობრული კავშირი დაამყარა დარაჯ ივანე ბელიაკოვთან, რომელიც, როგორც სასამართლოში გამოირკვა, გამოდგა მეფის ციხის ყოფ. ზედამხედველი. ამ ბნელი წარსულის მქონე პირმა შესძლო გამგის გულის მონადირება. გამგე და დარაჯი მუდამ ერთად იყვნენ, ისინი ხშირად ითვრებოდნენ მეურნეობის მარანში. მოვალეობის ასრულებაზე კი არც ერთი არ ფიქრობდა, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევდა როგორც აგრონომ ვარაჟევში, ისე მეურნეობის მუშებში.

აგრონომისა და გამგის დამოკიდებულება დღითი დღე მწვავე ხასიათს იღებდა, ისინი ერთ სახლში სცხოვრობდნენ და თაყნიაშვილი ოთახშიც არ ასვენებდა აგრონომს. თაყნიაშვილმა განიზრახა აგრონომის მოხსნა: მიმართა სხვადასხვა ხრიკებს. ამ ამბავმა მიაღწია საბჭოთა მეურნეობების ტრესტამდე, რომელმაც დანიშნა კომისია საქმის გამოსარკვევად, გამოკვლევის მიხედვით აგრონომი ვარაჟევი ცნობილ იქნა სრულიად უდანაშაულოდ, ხოლო თაყნიაშვილს გამოეცხადა საყვედური. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაითხარა უფსკრული მათ შორის. გამგე ყოველნაირად ცდილობდა „შელახულ“ თავმოყვარეობის აღდგენას. როცა ვერაფერი გააწყო, მან განიზრახა შურისძიება.

გასული წლის 3 დეკემბერს, საღამოს თაყნიაშვილი და დარაჯი ბელიაკოვი ჩვეულებრივად დაითვრნენ. ღვინით გალეშილებს შემთხვევით, მათ საცხოვრებელ სახლის ახლო წინ შეხვდათ აგრონომი ვარაჟევი, რომელსაც ეცა გამხეცებული თაყნიაშვილი და ჩაიგდო ფეხქვეშ. თაყნიაშვილი უწყალოდ სცემდა მოხუც აგრონომს. ამას უცქეროდა იქვე მდგომი დარაჯი ბელიაკოვი, მაგრამ ოდნავადაც არ ცდილა გაშველების დამშვიდებას.

როცა ეს სურათი დაინახა მეორე დარაჯმა, ის გაემართა მათკენ და მოინდომა აგრონომის განთავისუფლება, მაგრამ ვარაჟევის გულზე შემჯდარმა თაყნიაშვილმა მხარიდან გადმოიღო თოფი და გამშველებელი ახლოსაც არ მოუშვა.

აგრონომი როგორც იქნა დაუძვრა ხელიდან გამხეცებულ გამგეს და შევარდა თავის ოთახში. მალე გამგე და დარაჯი ბელიაკოვი მოხუცს ოთახშიც შეუვარდნენ და დაუწყეს ცემა, რის დროსაც თაყნიაშვილმა აგრონომს თავში კონდახი დაარტყა და მოკლა.

მკვლელებმა მოინდომეს გარეთ გამოსვლა, მაგრამ კარი გარედან ავტომატიურად ჩაკეტილი აღმოჩნდა. ამასობაში მოცვივდნენ გლეხები და მკვლელები დანაშაულის ადგილზევე შეიპყრეს.

აგრონომ ეფრემ ვარაჟევის მოკლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ რაიონში. დაინიშნა სასწრაფო გამოძიება.

კასპის უბნის სასამართლომ მოსამართლე წერეთლის თავმჯდომარეობით და აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის ამხ. ჯვარშეიშვილის მონაწილეობით თაყნიაშვილის და ბელიაკოვის საქმე განიხილა 25 იანვარს ადგილობრივ. გასამართლებას ბლომად ხალხი დაესწრო.

გამოირკვა, რომ თაყნიაშვილმა მკვლელობა ჩაიდინა პირადი ინტერესების და შურისძიების ნიადაგზე. მას დახმარებას უწევდა ბელიაკოვი.

სასამართლომ გადაგვარებულ თაყნიაშვილს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით უფლებების აყრა. დარაჯ ბელიაკოვს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და 5 წლით უფლებების აყრა.

განაჩენით დამსწრე გლეხები კმაყოფილი დარჩნენ.

რ.

საგანგებო ხუთეული წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად

გაზაფხულზე ამიერ-კავკასიაში მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად და აგრეთვე თავის დროზე საჭირო ღონისძიებების მიღების მიზნით, ამიერ-კავკასიის საჯკომსაბჭომ დაადგინა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსოს წყალდიდობის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო ხუთეული. ხუთეულის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. რედენსი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ მათაც ჩამოაყალიბონ წყალდიდობის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო ხუთეულები.

ჭადრაკი

ვ. მოგლიძის რედაქტორობით.

(ამოცანა) შ. ხვინგია (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ქ. ძიძიგური (ს. მათხოჯი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

30 ივლისის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა კ. ფირცხალავასი მდგომარეობა; თეთრები: მეფg8, ლe1 ეb7, ეd6, მa5, მb1, კh3 პაიკი: c2 შავები: მეფa4, ლd4, ეg?, ეg4, კc1 პაიკები: a5, d5, e7, g7 შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ლe1-e4! (მc5× მუქარით).

I. 1.., e:d 2. ლe8× II. 1.., ე:e4 2. კd7× III. 1.., კa3 2. მc3× და სხვა...

ამოცანა ა. გვეენავასი (სენაკი) შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. g3-g4!

I. 1.., მეe4 2. მf[illegible]× II. 1.., მეc6 2. მe7× III. 1.., მეe6 2. მf4× IV. 1.., მეc4 2. მე[illegible]×

9 აგვისტოს №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ი. კოტრიკაძესი (სამტრედია) შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. მc7-d5 (მe3× მუქარით).

I. 1.., კ:d5 2. ლf1× II. 1.., c:d 2. კb5× III. 1.., ეc3 2. მb6× და სხვა...

ამოცანა მ. შედანიასი (დიდი-ხუცი) შამათი სამ სვლაში. გადაწყვეტა: 1. მეd8-c8!

I. 1.., b[illegible] 2. ლc3, b:3, ლ:b4× II. 1.., მეa[illegible] 2. ლd7!, მეa6 (ან b[illegible]) 3 ლa4× (ან ლ[illegible]7×). მეტად სადა და მასთან მნიშვნელოვანი ამოცანაა.

21 აგვისტოს №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ა. ჩირაძესი, შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეd5 f:! (ლf4× მუქარით).

I. 1.., კ:f5 2. ლc6× II. 1.., ეg4 2. კ:b1× III. 1.., კe3 2. ეc5× და სხვა..

ეტიუდი ა. შათირიშვილის (ქუთაისი) მდგომარეობა. თეთრები: მეფe4, კg8, მd6 პ-ბი: e3, d4, g2, g3 და h5. შავები: მეფh6, ლa6, კb4 პ-ბი: c6, f4, f6 თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს. გადაწყვეტა: 1. მf5+, მ:h5 2. კ:f7+, მეg4 3. კc4! (კ:a[illegible] და მასთან შემთხვევისად კe2× მუქარით) ლ:c4 (ერთად-ერთი სვლა) 4. მe3, მე:g[illegible] (თუ f:e3 მაშინ ადგილი ექნებოდა ჩიხს, ე. ი. სვლა თეთრებისა იქნება და მათ მისი გაკეთების შესაძლებლობა არა აქვთ) 5. მ:c4, მე:g2 6. მd2 და ყაიმია.

პასუხი მკითხველებს

კ. ფირცხალავას ამოცანის სწორედ გადაწყვეტა გამოგზავნეს: კ. სანაძემ, ლ. თევზაძემ, ლ. მაღნარაძემ, ა. ჯაბუამ (ზუგდიდი) და მ. კარტოზიამ (ახალსენაკი).

ა. გვეენავას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჯაბუამ, ლ. თევზაძემ, კ. სანაძემ, ო. ჯინორიამ, ლ. მაღნარაძემ, ი. კოტრიკაძემ, მ. კარტოზიამ და მ. ფარცვანიამ (ზუგდიდი).

ი. კოტრიკაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: მ. ფარცვანიამ და მ. კარტოზიამ.

მ. შედანიას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: მ. ფარცვანიამ, ი. კოტრიკაძემ, ო. ჯინორიამ, ა. ჯაბუამ და ლ. მაღნარაძემ.

ა. ჩირაძეს ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ლ. თევზაძემ, კ. სანაძემ, მ. კარტოზიამ, ა. ჯაბუამ, ა. გვეენავამ, ალ. კუპრაძემ და მ. მოცაბერიძემ (ტყიბული).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევა ისეთი შემადგენლობით, რომ წევრთა რიცხვი არ აღემატებოდეს 35 კაცს, მხოლოდ კანდიდატთა რიცხვი არ აღემატებოდეს 9 კაცს.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს თავის წრიდან პრეზიდიუმს ისეთი შემადგენლობით, რომ წევრთა რიცხვი არ აღემატებოდეს 11 კაცს, ხოლო კანდიდატთა რიცხვი არ აღემატებოდეს 5 კაცს.

2. გაუქმებული იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წლის აგვისტოს 23-ს „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის დამტკიცებისა და ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების მოწყობის შესახებ“ გამოცემული დადგენილების 4 მუხლის „ბ“ ლიტერის „ბ“ და „გ“ პუნქტები (საქ. სსრ კან. კრებ. 1929 წ. მე-17 ნომერი, მუხ. 190).

3. ეს დადგენილება სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. სუხიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. იანვრის 29.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 30 იანვარს, დღის 12 საათზე ამხ. კილაძესთან (ოთახი № 51): ალექსანდრე შარაძე (თბ. აღმასკომი), კონსტანტინე ფიროევი („გრუზგოსტორგ“-ი), იაკ. საბაშვილი (საქ. სახმედვაჭრობა), კეშელავა (ს.პ.კ.ს.), კაკაბაძე (საქ.ს.მ.უ.ს.), სულაველიძე (საქართველოს ვაჭრობის კომისარიატი), ვოლსკი ამიერ-კავკ. რკ. გზ.).

—:—

სამშაბათს, 3 თებერვალს, საღამოს სრულ 7 საათზე საქ. კომპ. (ბ) ცეკას პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პრ. № 21, მე-3 სართული) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპის წარმომადგენლის ამხ. გ. კ. ბაქრაძის ჯგუფური კონსულტაცია „ფილოსოფიური დისკუსიის შედეგებისა და მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის მორიგი ამოცანების შესახებ“.

კონსულტაციაზე მოწვეული არიან საქ. კ.პ. (ბ) ბიურო-კოლექტივების წევრები, თბილისის ყველა ინსტიტუტების და ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის ასპირანტები, სამეცნიერო მუშაკები და კომუნისტი მასწავლებლები, საქ. კ.პ. (ბ) თბილისის რაიკომების პარტგანათლების ქსელის ხელმძღვანელები და დაინტერესებული ამხანაგები.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. შესვლა პარტბილეთებით.

საქ. კ.პ. (ბ) ლენრაიკომი იტყობინება, რომ 2 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ტრამვაელთა კლუბში მოწვეულია რაიკომის და რაიონულ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების მდივნებთან, კომუნისტ საწარმოო მუშაკებთან და ფაბქარხადგილკომების ფრაქციის წევრებთან ერთად.

დღის წესრიგი: დამკვრელი კვარტალის შედეგები და მორიგი ამოცანები 1931 წელში; საბჭოთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგები.

26-ის სახელობის რაიონის საარჩევნო კომისია იტყობინება, რომ 31 იანვარს, საღამოს 5 საათზე ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის შენობაში (კეცხოველის ქ. № 5) შესდგება დიასახლისების საარჩევნო კრება შემდეგი დაწესებულებებიდან: „ზაკგოსტორგი“, „სოიუზმიასო“, ვ.ტ.ო. ამის სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, მოშუაკი, „ზაკუტილ“-ი, „სოიუზხლებ“-ი.

იგივე კომისია იტყობინება, რომ დღეს, 30 იანვარს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლის კლუბში შესდგება შემდეგი დაწესებულებების დიასახლისთა საარჩევნო კრება. „გრუზსნაბტორგ“-ი, „ზაკ[illegible]“, საქ. ს.მ.უ.ს., ამიერ-კავკ. სამთომტრესტი, სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპი სთხოვს ამხ. პატარაიას (სახელმწიფო ოპერა), [illegible] (ხელოვნების განყოფილება), პოპოვს (ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატი) და საქართველოს შრომის კომისარიატის და ხელოვნების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლებს გამოცხადდნენ 30 იანვარს, დღის 12 საათზე, ამხ. გურჯიშვილთან (ოთახი № 21)

—:—

31 იანვარს, სრულ 1 საათზე ქალაქის რაიკომში ამხ. გიორგობიანთან (ოთახი № 66) შესდგება თათბირი, „სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მსვლელობის შესახებ“, სადაც მოსმენილი იქნება ქვემოდ დასახელებული დაწესებულებების კადრების განყოფილებათა გამგეების (სადაც კადრების განყოფილება არ არსებობს—დაწესებულების წარმომადგენლის) მოხსენება აღნიშნულ საკითხის გარშემო; ა.მ.ე. საბჭო, საქ. ფინსახკომი, კავკავშირი, მუშკოოპი, კომუნალური ბანკი.—საქ. კოლმეურნეცენტრი, „სოიუზხლები“ და განსახკომი.

თათბირზე უნდა გამოცხადდნენ სატრანს. კოოპ. ინსტიტუტიდან ამხ. კვიცარიძე და შერაძე. პედინსტიტუტიდან ამხ. ყალიჩავა, ხარატიშვილი და რუხაძე.

ქართული
სახელმწიფო
დ რ ა მ ა
მარჯანიშვილის
ხელმძღვანელობით

29 იანვარს	31 იანვარს	1 თებერვალს
მე-13 აბონემ. მე-4 წარმ.	მე-4 აბონ. მე-4 წარმოდგ.	აბონემენტის გარეშე
არსენას ლექსი	არსენას ლექსი	ყვარყვარე თუთაბერი

ვინც წარმოდგენის დღის 2 საათისათვის არ შემოიტანს მორიგ 4 შემოსატანს წარმოდგენას ვეღ დაესწრება და მათი ადგილები გაიყიდება სალაროში.
პრემიერა „სამი ბლენძი“ შესდგება 7 თებერვ. შეღავათიანი ბილ. გამოდგება ამ დღისათვის.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 30 იანვარს	შაბათს, 31 იანვარს	კვირას, 1 თებერვალს
მე 2 აბონემენ. მე-7 წარ.	მე-6 აბონ. მე-7 წარმ.	მე-15 აბონემ. მე-2 წარმ. ქართულ ენაზე
აიდა	რიგოლეტო	კარმენი

მიიღება ყველა აბონემენტის მე-6 მორიგი შემოსატანი.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.	ცნობილი ძაღლი რიტ-ტინ-ტინ სურათში კბილ-და-კბილ პირველი დამატებითი სეანსის დასაწყისი 4 ს. 30 წუთზე
სპარტაკი საღამოს სეანსები 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.	სოციალისტური ნაწარმოები ორიგინალური კომედია გვამი დე-იურე
სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.	ე. ცესარსკაია, ნ. ფერდინანდოვი, ნ. როგოჟინი სურ-ში იუდა
საზამთრო დარბაზი 1 სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.	პოლა ნეგრი სურათში მჩხვლეტავი მავთული

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. [illegible]) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.
ახალი მხატვრული ფილმი წმინდანის ქალიშვილი რეჟისორი ოლეგ ფრელიხი
კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30
ახალი მხატვრული ფილმი ცისფერი ფავი რეჟისორი ჰ. მალახოვი

სახ. ცირკი
დღეს და ყოველდღე ახალი საატრაქციონო პროგრამა
პირველი საბჭოთა ატრაქციონის გასტროლები. საჰაერო აქტი, სარეკორდო ტრიუკები ედერბერგის მფრინავ აეროპლანზე. სასიკვდილო კიბე—4 ლურიხი. საუკეთესო საზღვარგარეთული იტალიელი მსახიობები 2 ფირპო. მელანჟაქტ იუნგშტურმი 5 აკრობატი (საცირკო ხელოვნების მოსკოვის ტექნიკუმის გამოშვება). რუდინი გაწვრთნილი ძაღლების ჯგუფით; ხაკარრო 50 გაწვრთნილი მტრედით და ბევრი სხვა ატრაქციონი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სახ. ცირკი
პარასკევს, 30 იანვარს
დიდი საბავშვო დილა
მთელი შემოსავალი გადაიდება მე-11 შრომის სკოლის დამხმარე საბჭოს საშუალებათა გასაძლიერებლად
მონაწილეობს მთელი დასი დასაწყისი დღის 2 საათზე. ნ. 221

ა. წ. 30 იანვარს, საღამოს 6 საათზე
რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში
შესდგება
ქ. თბილ. მშრომელი ინტელიგენციის
საპროტესტო მიტინგი
ბურჟუაზიული და სოციალ-ფაშისტური პრესის მიერ ამხ. მაქსიმ გორკის დევნისა და ფაშისტური პოლონეთის მხეცური თარეშის გამო დასავლეთ უკრაინაში.
სხდომაზე მოწვეული არიან მეცნიერების მუშაკნი, მწერლები, ინჟინრები, ექიმები, აგრონომები, ეკონომისტები და ხელოვნების მუშაკები.
საქ. მეცნ. მუშაკთა სექციის ც. ბიურო
საქ. ინჟინერ ტექნიკოსთა სასექციათაშორისო ბიურო.
საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ც. გამგეობა.
საქ. მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ც. გამგეობა
საქ. საბჭოთა და სავ. მუშაკთა კავშირის ც. გამგეობა.
საქ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ც. გამგეობა.
საქ. პროლეტმწერალთა ასოციაცია
საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაცია. 762

ა.-კ. ენერგეტიული ინსტიტუტი
დირექცია წინადადებას აძლევს
ყველა იმ სტუდენტებს, რომლებიც ამთავრებენ ა.-კ. მ. ი- ყოფ. საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროგრამით, გაატარებნ აღრიცხვაზე სათანადო დეკანატებში ა/წ. 27/1 დან 6/21-ამდე თან უნდა იქონიონ მატრიკული და ცნობა სამსახურის და თანამდებობის შესახებ.
ის პირნი რომელნიც არ გამოცხადდებიან ამ აღრიცხვაზე, გამოირიცხებიან ინსტიტუტიდან და ამის შემდეგ არავითარი განცხადებები დირექციის მიერ მხედველობაში არ მიიღება.
ა.-კ. ენერგეტიულ ინსტიტ. დირექცია. 2—2 ნ. 200

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8 9 საათ. და საღ. 6 7 ნახ. საათ მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყ. დიდომთავრის ქუჩა). 5 21

ნ. კონსტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9.
(ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა
ყოველგვარი ფიზიკური მეთოდების მკურნალობა
ელექტრომკურნალობა, მკურნ. ნახშირმჟავათი-ტალახით მკურნალობა, მკურნ. სხივით, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინჰალაცია, რენტგენო-დიაგნოსტიკა
შინაგან სნეულებათა (სპეც. გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელ ორგანოების სნეულებანი, რევმატიზმით დაავადება და სხვ.)
ნერვიული და ქალთა სნეულებანი
კონსულტაცია: ქალ. სნეულ. 12—1 ს-მდე პროფ. გ. ლამბარაშვილი შინაგ. სნეულ. 12—1 ს-მდე დოც. ი. კონიაშვილი—სამშ. და პარასკევი; ექ. ჯავახიშვილი—სამშ. და პარასკ. ნერვ. სნეულ. 11—12 ს-დე ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე
დილაობით ავადმყოფები მიიღებიან ყოველდღე დილის 9 ნახ. დან დღის 1 საათამდე ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8 ნახ. დან 10 ნახ. ს-მდე. საღამოობით ავადმყოფნი მიიღებიან საღამოს 5—8 საათ., კვირის გარდა ავადმყოფთა ჩაწერა საღ. 4—7 ნახ. ს., კვირის გარდა.

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე საღ. 5—6 საათამდე

კანის სნეულებანი და სიფილისი	ექ. ნ. ჯავრიშვილი.
ქალთა სნეულებანი და მეანობა	ექ. ე. სებასტიანსკი.
ბავშვთა სნეულებანი	ექ. ზავრიევი
შინაგანი და სპ. ფილტვების	ექ. ფ. აკოფაშვილი.

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე საღ. 6—7 საათამდე

შინაგანი და სპეც. ფილტვების	ექ. ნ. გეგეჭკორი.
ქალთა და მეანობა	პროფ. მ. მგალობელი.
ქირურგია	ექ. ი. ახმეტელი.
კანის და სიფილ. ქალებისათვის	ექ. ნ. მირიახაშვილი.

(ღებულობს მხოლოდ ქალებს და ბავშვებს)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე საღ. 7—8 საათამდე.

შინაგანი სნეულებანი	ექ. ი. ალადაშვილი.
უროლოგია	ექ. ვ. ხაზარაძე.
ყური, ყელი, ცხვირი	ექ. დ. თევზაძე.
ქირურგია	ექ. დ. იოსელიანი.
ნერვიული სნეულებანი	პროფ. ხ. ყიფშიძე

(სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი).
კონსულტაცია ყოველდღე შეთანხმებით: პროფ. ალადაშვილი, პროფ. მუხაძე, პროფ. მაჭავარიანი, პროფ. მიქელაძე, პროფ. ლამბარაშვილი, პროფ. შურუხდოლფი, პროფ. ასათიანი, პროფ. [illegible], პროფ. უგრელიძე, პროფ. მახვილაძე, პროფ. აბაკელია, დოცენტი კონიაშვილი, ექ. თუმანიშვილი, ექ. პონდოევი და ე. ნ. ყიფშიძე.
ფასი პოლიკლინიკაში ავადმყოფთა მიღებისათვის: კავშირის წევრთათვის 1 მანეთი, დანარჩენთათვის— 2 მან.
ყოველგვარ კლინიკური დიაგნოსტიურ ანალიზების მიღება.
მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.
ნ. 93 12—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
სიფილისის, ვენერიული და საშარდე-სასქესო სნეულებათა სპეციალისტი,
ავადმყოფების მიღება—დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 7. (შესავალი კუთხიდან, ნარიყალას ქ. № 1). 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ, ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. ღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

დაიწყო
მოსამზადებელი მუშაობა სას. სამ.
კოოპერაციის კავშირის
„საქღვინოზილკავშირი“-ს
ცენტრალურ აპარატის თანამშრომელთა წმენდისათვის
ვსთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც აქვთ მასალები „საქღვინოზილკავშირი“-ს შესახებ, ასეთები გამოაგზავნონ გამწმენდ კომისიის მდივნის ა. ჩხეიძის სახელზე.
მისამართი: ელბაქიძის დაღმართი № 12
3—1 ნ. 130 გამწმენდი კომისია.

პ. ს. ფონ-ირტელი
სპეც საშარდე და სასქესო ორგანოებია (სქესობრივი სისუსტე ნერვების სისუსტე), სიფილისის, კანის ავათმყოფობის, ვენერიული (რიპტერი) და ქირურგ. ავათმყ. (სიმსივნე, ბუასილი). ავათმყოფების მიღება დილის 9 - 12 და საღ. 5—8 საათზე. პლეხანოვის პრ. № 10, ვორონცოვის მახლობლად. 13—8

ექიმი ქალი
ნინო მირიანაშვილი
ანაახლა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი: ტრიპერი, სიფილის. მკურნ. „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6 8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14 23. 25—3

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის მოწაფე
ილია ბექაია
14 წლის, მაგვრეანი; 1930 წლის [illegible] გავიდა სახლიდან, [illegible] არაფერი ვიცით მის შესახებ. მნახველს ვთხოვ, [illegible] მიღებით, შემატყობინოს [illegible] დავით ბიბიტოს-ძე ბექაიას. 77ι

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კაცისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისის მკურნალობა „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. კაცთა მიღება: დილით 9—4 ს. და საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 3—5 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 ყოფილი დიდი მთავრის ქ., [illegible] მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 643ხ 25—1

ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად სიფილისის და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობის, სქესობრივი ნევრასტენიის, ფსიქოთერაპია. მიღ. დილით 10½—12 საათ., საღ. 6—8 საათამდე ა/კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 2—1 392

ექიმი
ს. ანდრეევისა
ახლა ავადმყოფების მიღება ჯირკვლების და ძვლების ტუბერკულოზ. მკურნალობა ხელოვნური მზის სხივებით (კვარც-თერაპია). ავადმყოფებს ღებულობს 5—7 ს [illegible] დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29 ყოფ. ვერის ხიდთან. 25—1

დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წავლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. პლეხანოვის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათზე გარდა კვირადღეებისა. ტელ. 23—58 25—12 5116

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრ. სისუსტის მკურნალობა ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 3.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— მუშკოოპს წიგნაკი 77519 ოლიმპია პავლეს ას აგლაძის სახ.	789
— დამხლვევ სალაროს წ-გნ. 17 პეტრე ა ლასის ძე ენუქიძეს სახ.	786
— პურის წიგნაკი 124 6 პელაგია მაყაშვილის სახელზე	787
— მუშკოოპის წიგნაკი 140096 სოკრატ ყურაშვილის სახელზე.	763
— დამზღვევ სალაროს წიგნაკი ანა ოგანეზოვას სახელზე	764
— მეტრიკული ამონაწერი ლუკა კარგარეთელის სახ.	761
— პურის წიგნაკი ლიტერი „ა“ ევგენია ივანეს ას. ბალდაველის სახ	768
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი 13 930 ბარნაბ რევიშვილის სახ.	767
— პირადობის მოწმობა და ცხენის რეგისტრაციის ბარათი მიხეილ ახვერდოვის სახელზე.	770
— პურის წიგნაკი 31 ბარბარე ბესარიონის ას. ბოროზდინას სახ	772
— მუშკოოპის წიგნაკი მიხეილ ბებიაშვილის სახელზე.	782
— პროფკავშირის საწევრო წიგნაკი 8394 ზინობი მაჭარაშვილის სახ.	
— დამხლევი სალაროს წიგნაკი 5C4 605 ყარამან ქარცივაძეს სახ	780
— კავშირის წიგნაკი 9487 იასონ კანთელიძეს სახელზე.	778
— მუშკოოპის წიგნაკი 102070 იასონ კანთელიძეს სახელზე.	779
— კოოპერატივის წიგნაკი 3103 ქრისტინე ძნელაძის სახელზე.	728
— ქ. ხონის საკომხმარებლო საზოგადოების „იმედის“ საწევრო წიგნაკი მელქისედეკ ჭუბაბრიას სახელზე.	756
— კოოპერატივის წიგნაკი 452 ვლადიმერ ჩაჩუას სახელზე.	756
— პურის ტალონი 659 შოთა ყავრელიშვილის სახელზე.	756
— პურის ტალონი 690 მიტრო ყავრელიშვილის სახელზე.	756
— კავშირის წიგნაკი 34893 სერგო დოლიძის სახელზე.	759
— დაზღვევის წიგნაკი № 3 ვარა მერებაშვილის სახელზე.	759
— კავშირის წიგნაკი 433140 გიორგი ახალკაცის სახელზე.	759

დამწუხრებული მეუღლე გრიგოლ ლორთქიფანიძე შვილებით: ლევიკო და ეთერი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ

დონია ხარიტონის ას. ლორთქიფანიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან ქუთაისში, ჯუღაშვილის მეოთხე შესახვევი 4 ნახ საათზე. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე შაბათს, 31 იანვარს. 775

გულდამწვარი მშობლები: ხარიტონ და ნინა, დები: ელიკო და მარიამ ფაჩულიები, სიძე ნიკოლოზ ჯანდიერი იუწყებიან დაუვიწყარი

დონია ხარიტონის ას. ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას 775

ბებია თეო, ბიძები: ნოე, ბიტო, ვალამ ფუხიძეები ცოლშვილით, დეიდები: ბაბილინა მაჭავარიანი, ალვასი კეკნაძე, სარა საყვარელიძე ქმარშვილით იუწყებიან

დონია ხარიტონის ას. ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. 775

საქატცენტროს თანამშრომლები იზიარებენ თავიანთ ბუხჰალტერის შალვა ჯანგავაძის მწუხარებას დედის

ირინა ჯანგავაძის

გარდაცვალების გამო. დასაფლავება შაბათს, 31 იანვარს, ქ. ქუთაისში. 783

ერთგული მეგობრები თეოფილე კეკელაძე, ომან ერისთავი, ირაკლი ბალანჩივაძე, სერგო ნაჭიტაძე, გიორგი ახვლედიანი, არჩილ ოჩხაია, ვანიჩ ბაკურაძე, გიგლო ჩიქოვანი და დათიკო მინდელი იზიარებენ შალიკო ჯანგავაძის მწუხარებას დედის

ირინა ჯანგავაძის

გარდაცვალების გამო. დაფლავება შაბათს, 31 იანვარს ქ. ქუთაისში. 783

დამწუხრებულნი: შვილი შალვა მეთოდეს ძე მეუღლით ნინა იაკობის ასულით, ქალიშვილი ლარისა, შვილიშვილები: ომარი და ჯგუში ჯანგავაძეები იუწყებიან, რომ 28 იანვარს, ქ. ქუთაისში, გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

ირინე ლევანის ასული ჯანგავაძისა

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 31 იანვარს. 785

ს. ს. ინსტ. ზოოტექნიური ფაკულტეტის მე-2 კურსის 8 ჯგუფი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტ

ვასილ ივანეს-ძე კობახიძის

უდროოდ დაკარგვას. 754

საქ. სას. სამ. ინსტიტუტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი და მეაქ. ფაკულტეტის № 5 უჯრედის ბიურო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძველი აქტიური კომკავშირელის

ამხ. ვასო კობახიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 757

უახლოესი ამხანაგები ი. [illegible]ოავა, გ. ბერუაშვილი. ძ. ხუცია, დ. [illegible]იშვილი, მ. სესკაშვილი, ნ. რატმაძე, ო. ჯავრიშვილი, რ. ლოლაძე, ი. დედაბრიშვილი, ვ. წერეთელი, მ. სიხარულიძე, ბ. ხარაზი, მ. კანდელაკი, ე. ჯაკობია. ქ. სვანიძე, ა. ცომაია, ბ მუსერიძე, ვ. ტოროტაძე, ა. გუჯაბიძე, თ. ჭიჭინაძე, ბ. ელბაქიძე, კ. აივაზოვი, ვ. მასხარაშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ სას. სამ. ინსტ. მე 2 კურსის სტუდ.

ვასო კობახიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 758

თავზარდაცემული მეუღლე ჩესი, შვილი ნუცა, შვილისშვილი ზურიკო, სიძე ვალოდია თევდორაშვილი. ძმები: იოსე, ფილიპე, კოსტა შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ

ჯარუ ივანეს-ძე ფარულავას

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას, 1 თებერვალს 4 საათზე გამოსვენება ბინიდან ქ. ახალ-სენაკი, [illegible] ქ. № 10.

დამწუხრებული რძალი კატო შვილებით: სონია, კოლია, მარუსია, ლოლა და ძაკუ, ფარულავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარი

ჯარუ ივანეს-ძე ფარულავას

უეცრად გარდაცვალებას. 773

დამწუხრებული ძმისწულები: ეგნატე, მალაქია, ანდრო [illegible] ფარულავები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ დაუვიწყარი ბიძის

ჯარუ ივანეს-ძე ფარულავას

უდროოდ გარდაცვალებას. 773

სამუდამოდ გულდამწვარი მშობლები: პელაგია და კონსტანტინე წურწუმია აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ერთად-ერთი იმედის, პატარა გოგონა

როზიკოს

გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ლეწურწუმეში, ჩხოროწყუს თემი, 31 იანვარს, შაბათს. 799

სამუდამოდ დამწუხ.: ბაბუა კვაჭა ესართია ცოლით და შვილებით: სანდრო, ნადია, ბესარიონი, ბიძია პავლე ესართია ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პატარა

როზიკო კონსტანტინე წურწუმიას ას.

დასაფლავება სოფ. ლეწურწუმეში, ჩხოროწყუს თემი, 31 იანვ. 790

სამუდამოდ გულდათუთქული ბაბუა ბოკა, ბებია დავიაია შვილებით: ცაცა, გოდორნია, ლიდა, სონია, ჩეფე და ლაისატი აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს პირველის შვილიშვილის და უკანასკნელის ძმის შვილის საყვარელი

როზიკო კონსტანტინე წურწუმიას ას.

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ლეწურწუმეში ჩხოროწყუს თემი. 31 იანვარს. 790

გულმოკლული [illegible] და ვალიბა, სიძე მიხეილ კაპანაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 1 თებერვალს, 4 საათზე, ქუთაისში. საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

ნინიჩკა (ნინა) ნესტორის ასული მშვილდაძე-კუპრაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 766

დამწუხრებულნი: მეუღლე ქრისტინა, შვილი ვაჟლამი, რძალი ნინიჩკა, შვილის-შვილები: ბუდუ[illegible]ლა, სულიკო, ეთერი, რუსიკო კვირკველიები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

კონსტანტინე იესეს ძე კვირკველია

გამოსვენება პიროგოვის ქუჩა № 33 30 იანვარს, 6 საათზე, დასაფლავება ჩხოროწყუში 3 თებერვალს. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათიდან. 78[illegible]

დამწუხრებული მშობლები ნინა და ეძიძი ილარიონ ტოგონიძეები, ძმა ჟორჟი, დები: თამარი, ნინა, ეთეიანი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 30 იანვარს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

დათუშა ტოგონიძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 721 2—2

ბიძა ბესარიონი, ბიცოლა ეპრაქსი, ბიძაშვილები ვაჟლამ და ვლადიმერ თავიანთი ცოლშვილით და აკაკი ტოგონიძეები იუწყებიან, რომ 30 იანვარს, 5 საათზე დანიშნულია დაუვიწყარ

დათუშა ტოგონიძის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 770

მწუხარებაში მყოფნი: ბებია ოლღა, ბაბუა პავლე, პალიკო და გოგია მოსეშვილები შვილებით იუწყებიან, რომ 30 იანვარს 5 ს.-ზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ

დათუშა ტოგონიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 776

მწუხარებაში მყოფნი თამა და ვანია ჩხეიძეები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 30 იანვარს, 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ

დათუშა ტოგონიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 775

ოლღა ლუარსაბის ასული ეპიტაშვილისა ქმრით და შვილებით და დეიდაშვილი ეკატერინე ნიკოლოზის ასული პაპლოვიაა ქმრით გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ალექსანდრა კორინთელი-ბელცმანისა

გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ყ. არამიანცის საავადმყ. დან ავლაბრის სასაფ., ოკ. გზის გადაღმა. დაკრძალვა შაბათს, 31 იანვ. 785

ქასრაძე ნინა ქმრით გენო ბელთაძეთი, პატარა თენგიზით და მეგობრებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, საყვარელ და დაუვიწყარ მეგობრის

ილიკო ხუციშვილის

გარდაცვალებას. 788

საქართველოს ღვინოზილკავშირის საქართველოს კომბინატის ადმინისტრაცია, კომუჯრედი, ა. ლ. კ. კ. უჯრედი, ადგილკომი, მუშები და მოსამსახურეები იუწყებიან, რომ 29 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომბინატის მუშის ამხ. ძოსე გულაშვილის შვილი

ნიკოლოზი

გამოსვენება ბაშხალის შეს. № 17, 30 იანვარს, დღის 3 ნახ. საათზე. 783

შვილი ფუნიკი, მეუღლე ძაოიამით, ქალიშვილები ივდითი და ნატალია, შვილისშვილები: გიორგი და იუზი, ვალიხა, კოლია და გივი ჯაშები იუწყებიან, რომ 30 იანვარს შესრულდა ერთი წელი დაუვიწყარ მშობლების

სოფრომ და ეკატერინე ჯაშების

გარდაცვალებიდან. ნ. 229

ზესტაფონში, 31 იანვარს, 3 საათზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი თბილისის ყოფ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტ

სავლე ვლადიმერის-ძე ქურციკიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან მწუხარებაში მყოფნი. მეუღლე ლიდა ნიკურაძე-ქურციკიძისა, დედა აკვილინა, მამა ვლადიმერი, და თამარი, ძმები: შალვა, კოლია და შოთა ქურციკიძეები. ნ. 2[illegible]7

ღრმად დამწუხრებული მშობლები: გიორგი და ეკატერინე ედელაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი შვილის

გივიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. დუშეთში, 29 იანვარს.

დამწუხრებული შვილები: მარუსა, სონიჩკა, თიმოთე, იპოლიტე, სიმონიკა, ნინა, ვალიკო, რძლები: მარიკა. დონიკა, შუშანა, დესპინე, იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი დედა

ესაკია ილიპეს ას. წითლაშვილისა

გამოსვენ. შაბათს, 31 იანვარს, დღის 3 ს.. სოფ. კლდეეთში. ნ. 231

ტირაჟი — 68.539
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904